ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი

№4, დეკემბერი

Journal of Young Researchers

No. 4, December

ელექტრონული სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი

2016

ISSN: 2346-7754

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ანა დიაკონიძე
საერთაშორისო რეიტინგები თუ რეფორმატორთა იდეები: რითი აიხსნება შრომის ბაზრის ლიბერალიზაცია საქართველოში?…….....2

2. ნანა კვირკველია,მარიამ ციცაგი, მერი გუგეშაშვილი
ზვავსაშიში რელიეფის ანალიზი და მოდელირება საქართველოს სამხედრო გზის გუდაური-კობის მონაკვეთის მაგალითზე.....……..21

3. თინათინ მაჭარაშვილი
საგაზეთო ფოტოს სემიოტიკური ანალიზი (თანამედროვე ქართული ბეჭდვითი მედიის მაგალითზე).....31

4. გიორგი მელიქიძე
საარჩევნო კამპანიის ამერიკანიზაცია საქართველოში.....…59

5. Natia Partskhaladze
Quality of Life of Deinstitutionalized Children as an Outcome Measure of the Child Care System Reform in Georgia
.....81

6. თამთა ჭრიკიშვილი
საქართველოში ბიუროკრატიული აპარატის ფუნქციონირების ეფექტურობა ელექტრონული მმართველობის პირობებში 93

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი. №4, დეკემბერი, 2016

Journal of Young Researchers. No. 4, December, 2016

საერთაშორისო რეიტინგები თუ რეფორმატორთა იდეები: რითი აიხსნება შრომის ბაზრის ლიბერალიზაცია საქართველოში?

ანა დიაკონიძე*

დოქტორანტი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

კვლევის მიზანს წარმოადგენს 2004 წლიდან საქართველოში განხორციელებული შრომის ბაზრის პოლიტიკის ლიბერალიზაციის გამომწვევი ფაქტორების იდენტიფიცირება. პროცესზე მიდევნების მეთოდოლოგიის გამოყენებით სტატიაში აღწერილია თუ რა ზეგავლენა იქონია მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსმა ქართველი რეფორმატორების გადაწყვეტილებებზე. პოლიტიკური ეკონომიკისა და ეკონომიკის სოციოლოგიის სფეროში არსებული კვლევებისაგან განსხვავებით, ნაშრომი ასკვნის რომ საერთაშორისო აქტორთა ზეგავლენა ყოველთვის იდეების პირდაპირი ტრანსფერით არ გამოიხატება და იგი შეიძლება მხოლოდ ინსტრუმენტს წარმოადგენდეს ადგილობრივი აქტორებისათვის. აღნიშნული თვალსაზრისით ნაშრომი განავრცობს პოსტ-საბჭოთა სივრცეში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების გაგებას.

საკვანძო სიტყვები: *ნეოინსტიტუციონალიზმი, იდეების ტრანსფერი, საერთაშორისო აქტორები და რეიტინგები, შრომის ბაზრის პოლიტიკა*

Abstract

The paper aims at identifying the causes of labour market policy liberalization which started in Georgia in 2004. By applying the process-tracing methodology the study describes how the World Bank Ease of Doing Business Index (EDBI) affected the thinking of Georgian policy-makers and channeled the reforms in certain direction. The paper utilizes neo-institutional theory and builds on the research in the area of Political Economy and Economic Sociology.

E-mail: ana.diakonidze706@sps.tsu.edu.ge

Unlike previous studies, which portray transfer of ideas as a direct process from international to national actors, I argue that ideas could serve only as instruments to legitimize the deep core beliefs and policy actions of the local actors. From this perspective, the paper advances understanding of economic and political processes in the post-soviet space.

Key Words: Neo-institutionalism, Transfer of Ideas, International Actors and Ranking, Labour Market Policy

შესავალი

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში ყოფილი კომუნისტური ბლოკის ქვეყნებში მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები მოხდა. ზოგადი ტენდენცია აღნიშნულ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, დერეგულაცია და ლიბერალიზაცია იყო. აღნიშნულ პროცესში რიგი ავტორების (Orenstein, 2008; Deacon, 2000) აზრით ძალიან დიდია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების (მსოფლიო ბანკის, სავალუტორ ფონდის და ა.შ.) გავლენა, რომლებიც განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს პოლიტიკის რეფორმირების თვალსაზრისით კარნახობენ მოდერნიზაციის რეცეპტებს.

მოცემული სტატიის მთავარი მიზანია დაადგინოს საქართველოში შრომის ბაზრის პოლიტიკის ცვლილების მთავარი გამომწვევი მიზეზი, რისთვისაც გამოყენებულია ნეო-ინსტიტუციონალური თეორიული ჩარჩო. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საერთაშორისო აქტორების გავლენას პოლიტიკის კურსის ცვლილებაზე. წინამორბედი კვლევებისაგან განსხვავებით, სტატიის მთავარი არგუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ განვითარებადი თუ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები საერთაშორისო აქტორების მიერ გავრცელებული იდეების უპირობო გამტარებლები ყოველთვის არ არიან და პოლიტიკის ცვლილებაში წამყვან როლს აქტორთა იდეოლოგიური შეხედულებები თამაშობს. ინსტიტუციური ცვლილებები განსაკუთრებით ადვილი განსახორციელებელია ასეთ ქვეყნებში იმის გამო რომ ინსტიტუტები ზოგადად სუსტადაა განვითარებული და მათი რეფორმირება დიდ წინააღმდეგობას მოსახლეობის მხრიდან არ იწვევს. საერთაშორისო აქტორები საქართველოს შემთხვევაში გამოყენებულია როგორც რეფორმების განხორციელებისათვის საჭირო ინსტრუმენტი და გატარებული რეფორმების ლეგიტიმაციის წყარო.

აღნიშნული საკითხის კვლევისათვის გამოყენებული იქნა დოკუმენტების ანალიზი და სიღრმისეულ ინტერვიუები დარგის სპეციალისტებთან, პოლიტიკის შემქმნელებთან და პროცესში მონაწილე სხვა პირებთან. კვლევის ზოგადი მეთოდოლოგიური მიდგომა პროცესზე მიდევნების სტრატეგიაა, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა შრომის ბაზრის ლიბერალიზაციის გამომწვევი მიზეზ-შედეგობრივი მოვლენების ჯაჭვი.

სტატია შემდეგი სახით არის სტრუქტურირებული: მომდევნო თავში მოცემულია იმ ლიტერატურისა და თეორიების მიმოხილვა, რომლებიც ხსნიან განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყნებში სოციალურ პოლიტიკაში განხორციელებული ცვლილებების გამომწვევ ფაქტორებს. შემდეგ წარმოდგენილია კვლევაში გამოყენებული მეთოდების აღწერა. ბოლოს კი ამ მეთოდების გამოყენებით მიღებული შედეგების ანალიზი და შეჯამება.

ინსტიტუციური ცვლილების გამომწვევი ფაქტორები - ლიტერატურის მიმოხილვა

მოცემული თავი მიმოიხილავს ლიტერატურას სოციალურ პოლიტიკაში ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელების გამომწვევი მიზეზების შესახებ. კეთილდეობის პოლიტიკის ცვლილების კვლევას ხანგრძლივი ისტორია აქვს დასავლეთის განვითარებულ ეკონომიკებში, რაც შეეხება განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს აქ მსგავსი კვლევები შედარებით მცირეა და ისინი ძირითადად დასავლეთში შემუშავებული თეორიების ტესტირებას ისახავს მიზნად. აღნიშნული კვლევების ერთობლიობას თუ შევხევდავთ ვნახავთ რომ კეთილდღეობის პოლიტიკის ცვლილებაზე სამი ძირითადი ფაქტორი ახდენს გავლენას, ესენია: პოლიტიკური, ინსტიტუციონალური და იდეური ფაქტორები.

პოლიტიკური ფაქტორები

კეთილდღეობის პოლიტიკაზე პოლიტიკური პარტიების გავლენა დიდი ხნის შესწავლის საგანია დასავლეთის განვითარებულ ეკონომიკებში. მას საფუძველი ესპინ-ანდერსენის (Esping-Andersen, 1990) კვლევით ჩაეყარა, რომელიც იკვლევდა დასავლეთ ევროპაში სხვადასხვა სახის კეთილდღეობის რეჟიმების ჩამოყალიბების გამომწვევ ისტორიულ ფაქტორებს. ესპინ-ანდერსენი ასკვნის, რომ მემარცხენე პოლიტიკური პარტიების ხანგრძლივი მმართველობის პირობებში შრომითმა მოძრაობებმა შეძლეს საკმაოდ მოცულობითი და ეფექტური შრომის ბაზრის პოლიტიკების განვითარება სკანდინავიის ქვეყნებში, მაშინ როდესაც კონტინენტალურმა ევროპამ ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ზეგავლენით კეთილდღეობის სრულიად განსხვავებულ მოდელი შექმნა (Esping-Andersen, 1990). აღნიშნული მოსაზრება მოგვიანებით დაადასტურეს სხვა ავტორებმაც. მაგალითად, ჰუო (Huo et. al. 2008) ევროპის მასშტაბით ჩატარებულ რაოდენობრივ კვლევაში ასკვნის, რომ მემარცხენე პოლიტიკურ ძალებსა და შრომის ბაზრის პოლიტიკაზე (კერძოდ, შრომის ბაზრის აქტიურ პოლიტიკაზე) დანახარჯებს შორის პოზიტიური კავშირია.

პოლიტიკური კონკურენცია და ინტერესეთა ჯგუფების ლობირება ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე კეთილდღეობის პოლიტიკის ცვლილებაში. როგორც ჰაგარდი და კაუფმანი (Haggard & Kaufman, 1995) აღნიშნავენ ცვლილებების მთავარი განმაპირობებელი აქ პოლიტიკურ ძალთა განლაგება და მათ შორის ძალაუფლების განაწილებაა. კერძოდ, ავტორები ასკვნიან რომ პოლიტიკურ პარტიებს, პროფესიულ კავშირებსა და მოქალაქეთა ჯგუფებს შორის ძალაუფლების გადანაწილების მიხედვით იცვლება კეთილდღეობის ინსტიტუციური ჩარჩო ქვეყანაში. ეს არგუმენტი, თავის მხრივ ესპინ-ანდერსენის მიერ ჩამოყალიბებულ თეზისს ადასტურებს იმის თაობაზე რომ "პოლიტიკური ფაქტორები" მნიშვნელოვანია სოციალური პოლიტიკის ცვლილებაში.

ინსტიტუციური ფაქტორები

სოციალური და ეკონომიკური ინსტიტუტების გავლენის კვლევამ საფუძველი ჩაუყარა კვლევის ახალ მიმართულებას ნეო-ინსტიტუციონალიზმს. ნეოინსტიტუციონალიზმის ფარგლებში შეიქმნა რიგი სკოლებისა, რომლებიც ინსტიტუციური განვითარებისა და ცვლილების შესახებ განსხვავებულ წარმოდგენებს აყალიბებენ.

ნეოინსტიტუციონალიზმის სკოლებს შორის ყველაზე ძველი ისტორიული ინსტიტუციონალიზმი ინსტიტუტებს განიხილავს როგორც წარსულზე დამოკიდებულს (path dependent), ანუ მოუქნელსა და

ცვლილებებისადმი ნაკლებად მიდრეკილ სუბიექტებს, რომელთა განვითარება მათი ისტორიული წარსულითაა განპირობებული. სხვა სიტყვებით, აღნიშნული თეორია გულისხმობს, რომ მას შემდეგ რაც კეთილდღეობის გარკვეული ინსტიტუტების ფორმირება მოხდება და ისინი ადგილს დაიმკვიდრებენ, პოლიტიკის მწარმოებლებისათვის მომავალში ძალიან რთულია განვითარების წინასწარ განსაზღვრულ ბილიკს გადაუხვიონ (Hall & Soskice, 2001).

პირსონის (2000) თვალსაზრისით წარსულზე დამოკიდებულება ორი მექანიზმითაა განპირობებული. ეს უკანასკნელი არსებული ინსტიტუციური მოწყობისადმი პოზიტიურ უკუგებასა და მისგან მიღებულ სარგებელს აღნიშნავს. კერძოდ, მოცემული თვალსაზრისით, რაც უფრო დიდი ხნის არსებობის ისტორია აქვს ინსტიტუტებს, მით უფრო მეტად ერგებიან მათ აქტორები და მით უფრო რთულდება მომავალი თაობის აქტორებისთვის სხვა მიმართულებით ნაბიჯის გადადგმა. ამასთან ერთად, ყალიბდება "გამარჯვებულთა" გუნდი, რომელთათვისაც არსებული ინსტიტუციური მოწყობა სარგებლის მომტანია და შესაბამისად, მომგებიანი.

ისტორიული ინსტიტუციონალიზმის სკოლის მიმდევრები თვლიან, რომ ცვლილება მხოლოდ "კრიტიკულ მომენტებში" ხდება. ეს უკანასკნელი გულისხმობს ისეთ გარე მოვლენებს (შოკებს), როგორებიცაა ეკონომიკური კრიზისები, რევოლუციები, მმართველი გუნდის ცვლილებები და ა.შ.

თუმცა ისტორიული ინსტიტუციონალიზმის ყველა წარმომადგენელი როდი ეთანხმება ამ მოსაზრებას. მაგალითად, შტრეკი და თელენი (Streeck and Thelen 2005) ემიჯნებიან ამ მიდგომას და ამტკიცებენ რომ ცვლილება შეიძლება მოხდეს თანდათანობით/ინკრემენტალურად, კრიტიკული მომენტების გარეშეც. მსგავსი სახის, თანდათანობითი ცვლილება შეიძლება შინაარსით უტოლდებოდეს კიდეც იმას, რაც მოყვება რევოლუციებსა თუ სხვა მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების შედეგად გამოწვეულ ცვლილებებს (Streeck, 2005).

ისტორიული ინსტიტუციონალიზმი გარკვეულწილად აღიარებს იდეების როლს. თუმცა ეს უკანასკნელი ცვლილების პროცესის ნაწილად გვევლინება და ის არ განიხილება, როგორც ცვლილების მაპროვოცირებელი.

იდეოლოგიური ფაქტორები

ვაიზჰაუპტი (2011) ამტკიცებს, რომ მართალია შტრეკმა და თელენმა მნიშვნელოვანი გარღვევა მოახდინეს ისტორიული ინსტიტუციონალიზმის ტრადიციულ სკოლაში, მაგრამ მათ ანალიზში დამოუკიდებელი აქტორის განზომილება ცალკე არ არის გამოყოფილი. მართალია, ისინი ამტკიცებენ, რომ ფუნდამენტური ცვლილება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც აქტორთა დიდი ნაწილი ერთი ლოგიკიდან მეორეზე გადაერთვება - ისინი საკმარისად არ განიხილავენ თუ როგორ ხდება ამ აქტორების მიერ აღნიშნული იდეების განხორციელება და რა როლს თამაშობენ იდეები აღნიშნულ პროცესში. შესაბამისად, ვაიზჰაუპტი გვთავაზობს აქტორზე ცენტრირებულ რამდენიმე მიზეზშედეგობრივ მექანიზმს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია განვასხვავოთ თუ როგორც ხდება პროცესების განვითარება და ცვლილება (Weishaupt, 2011).

ერთ-ერთი მათგანია გადაფასება (reassessment), რომელიც აქცენტს იდეებზე აკეთებს. ავტორის თანახმად იდეები ცვლილების მოხდენაში წამყვან როლს თამაშობენ. ვაიზჰაუპტი (2011) ერთმანეთისგან

განასხვავებს კოგნიტურ და ნორმატიულ იდეებს. ნორმატიული იდეები გვაწვდის კრიტერიუმებს, რომელთა საფუძველზეც შეგვიძლია სამართლიანი გავარჩიოთ უსამართლოსგან, სწორი პოლიტიკა არასწორისგან და ა.შ. ამდენად, ისინი ქმნიან „იდეურ საზღვრებს“ პოლიტიკის შემქმნელების მოქმედებისათვის. რაც შეეხება კოგნიტურ იდეებს ისინი გულისხმობს იმ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას, რომლებსაც ეფუძნება პოლიტიკის შემქმნელების სტრატეგიები და წარმოდგენები პრობლემური სიტუაციის მოგვარების შესახებ. მსგავსი იდეები ცვლიან სტატუს ქვოს და შესაბამისად შეუძლიათ შეცვალონ ცვლილების მიმართულება ან ზეგავლენა იქონიონ ცვლილების მოხდენის ტემპზე (Weishaupt, 2011).

ის ავტორები, რომლებიც იდეურ პროცესებს სერიოზულად განიხილავენ შეიძლება ორ ჯგუფად გავყოთ. პირველი ჯგუფი (e.g., Blyth 2002; Hall 1989) ისტორიული ინსტიტუციონალიზმის ფარგლებში რჩებიან და იდეების როლს მხოლოდ კრიტიკული ქარტეხილების/მომენტების პერიოდში ხედავენ. მათი აზრით, მხოლოდ ამ მომენტში არიან აქტორები მზად ახალი იდეების მისაღებად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იდეები ამ მიდგომაში რეზიდუალურ ცვლადებს წარმოადგენენ, ხოლო პოლიტიკის შემქმნელები რაციონალურ აქტორებად წარმოგვიდგებიან (Weishaupt, 2011).

ავტორთა მეორე ჯგუფი (Heclo 1974; Béland and Hacker, 2004; Béland 2005; Hemerijck 2007; 2008) იდეას განიხილავს, როგორც მიზეზ-შედეგობრივ ცვლადს, რომელსაც შეუძლია ახსნას ინკრემენტალური, თუმცა ტრანსფორმაციული ცვლილება. ბელანდის (2009) მიხედვით აქტორები განსაზღვრავენ გარკვეულ „რიტორიკულ ჩარჩოებს“ და ცდილობენ და ისწრაფვიან თავიანთი იდეების „ღირებულებების/მნიშვნელობის გაძლიერებაზე“. ეს უკანასკნელი გულისხმობს „ერთი ან რამდენიმე ღირებულების/იდეის იდენტიფიცირებას, იდეალიზაციასა და წინ წამოწევას საზოგადოებრივ ფლანგზე (პოტენციურ ამომრჩეველზე), რომელთაც გარკვეული მიზეზების გამო ჯერ არ მოუხდენიათ კოლექტიური მოქმედების ინსპირირება (Snow et al. 1986: 469). მსგავსი მცდელობები იმაზეა მიმართული რომ ახსნას როგორ ხდება გარკვეული საკითხების წამოწევა საზოგადოებრივი განხილვის საგნად, იგულისხმება ისეთი თემები, რომლებიც ამჟამად არ წარმოადგენენ წამყვან თემებსა თუ საზოგადოებრივ შეხედულებებს (Beland, 2009).

საიდან მოდის იდეები?

მას შემდეგ რაც გავიაზრებთ რომ იდეებს კრიტიკული როლი უჭირავთ პოლიტიკის ცვლილების პროცესში, ასევე მნიშვნელოვანია იმის გააზრება თუ საიდან მოდიან ეს იდეები. ზოგადად შეიძლება გამოვყოთ იდეების ორი წყარო: ისინი შეიძლება ეფუძნებოდეს ადგილობრივ დონეზე ცდისა და შეცდომის მეთოდით მიღებულ გამოცდილებას ან გარე წყაროებიდან მოსულ ინიციატივას. როდესაც საუბარი გარე წყაროებზეა, ძირითადად განიხილავენ ტრანსნაციონალური აქტორების, როგორც იდეების გენერატორის როლს. პოლიტიკის წარმოების შესახებ კონკრეტული იდეები ხშირად კვეთს ნაციონალურ საზღვრებს ტრანსნაციონალური აქტორების, აკადემიკოსების, პოლიტიკოსების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ კვლევითი ინსტიტუტების წყალობით. ნაციონალური საზღვრის გადაკვეთის შემდეგ ხშირია შემთხვევა როდესაც საერთაშორისო აქტორების საშუალებით (მაგ. მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი) ისინი მსოფლიოს მასშტაბით ვრცელდება (Beland, 2009).

დოლოვიცისა და მარშის (Dolowits, 2000) თვალსაზრისით, პოლიტიკის იდეების ტრანსფერი შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი ან თავს მოხვეული. თუმცა ალბათ უმჯობესია იდეების ტრანსფერი

წარმოვიდგინოთ ისეთ ფენომენად, რომელიც ამ ორ წერტილს შორის მდებარეობს. თუმცა, ადგილობრივი/ნაციონალური აქტორები მაინც რჩებიან მნიშვნელოვან აქტორებად, რომლებიც იძლევიან ექსპერტიზას ადგილობრივი საკითხების შესახებ, განსაკუთრებით ეს ეხება განვითარებულ ქვეყნებს, სადაც მსგავსი შესაძლებლობები უფრი დიდი დოზით არის წარმოდგენილი ვიდრე განვითარებად ქვეყნებში (Beland, 2009). ეს უკანასკნელნი უფრო ადვილად ექცვიან ტრანსნაციონალური აქტორების ფინანსური და იდეოლოგიური წნეხის ქვეშ ვიდრე განვითარებული ქვეყნები (Orenstein, 2008).

როგორ იყენებენ აქტორები იდეებს?

ვაიზჰაუპტის (2011) აზრით ინსტიტუციური ცვლილება ძველი და ახალი იდეების შერკინების საფუძველზე ხდება. განსაკუთრებით თუკი ეს ახალი იდეები საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ იდეებს წარმოადგენენ. საერთაშორისო ორგანიზაციებს პოლიტიკის დისკურსზე ორი თვალსაზრისით შეუძლიათ გავლენის მოხდენა. პირველ რიგში, ისინი შეიძლება იქცეოდნენ პოლიტიკის სხვადასხვა ალტერნატიული გზის გამავრცელებლებად. იმდენად რამდენადაც, საერთაშორისო ორგანიზაციები მეტნაკლებად დამოუკიდებელი ექსპერტის სტატუსით სარგებლობენ, ეროვნულმა აქტორებმა ისინი შეიძლება გულღიად მიიღონ, რადგან მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია მტკიცებულებებსა და "საუკეთესო გამოცდილების" ემპირიულ მაგალითებს ეყრდნობა. მეორე რიგში, საერთაშორისო ორგანიზაციები კონკრეტული საკითხის განხილვის დროს შეიძლება ჩამოყალიბდნენ ეპისტემიურ თემებად, სადაც პოლიტიკის შემქმნელები, ექსპერტები და სხვა დაინტერესებული მხარეები ერთად იყრიან თავს პრობლემებისა და მათი მოგვარების გზების შესახებ სამსჯელოდ, ერთმანეთის გამოცდილების გასაზიარებლად ან საუკეთესო გამოცდილების მოსასმენად. ამ პროცესს შეიძლება "საგონებელში ჩავარდნის" ეტაპი ვუწოდოთ (Beland, 2009). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ორგანიზების მიერ წარმოდგენილი ყველა იდეა როდი ხდება ადგილობრივი ინსტიტუციური ცვლილების საფუძველი. ვაიზჰაუპტი (Weishaupt, 2011) გვთავაზობს სამ პირობას, რომელთა სახეზე ყოფნა საჭიროა იმისათვის რომ იდეები მართლაც ითარგმნოს პოლიტიკის ენაზე და მის ცვლილებაზე რაიმე ზეგავლენა მოახდინოს: პირველ რიგში, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ პროპაგირებული იდეები, თეორიულად მაინც, უნდა გვთავაზობდნენ სტატუს ქვოს გარკვეულწილად გაუმჯობესებას. მეორე, იმის გარდა რომ პოლიტიკის ცვლილებისა და ინსტიტუციური ცვლილების საშუალებას იძლეოდეს, იდეები ასევე კონტექსტუალურად ადექვატური უნდა იყოს და ინსტიტუციურადაც სპეციფიური, რომ არსებული სტატუს ქვოს რეალური ალტერნატივა შემოგვთავაზოს. მესამე, იმისათვის რომ პოლიტიკაზე რაიმე ეფექტი ქონდეს, იდეებმა უნდა მოახერხონ აქტორთა კრიტიკული მასის მობილიზება, ელექტორატი იქნება ეს თუ ინსტიტუციების წარმომადგენლები, ეს მასა საკმაოდ ძლიერი უნდა იყოს იმისათვის რომ სიტყვები მოქმედებად აქციოს (Weishaupt, 2011).

აღნიშნული აზრის გაგრძელებაა ბლისის (2002) არგუმენტი, რომ იდეები შეიძლება გამოვიყენოთ როგორც: 1. ბრძოლის ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება აქტორებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ სტატუს-ქვო და ეძებონ რაიმე ახალი. 2. წინასწარ განსაზღვრული გეგმა/მოდელი (blueprint) - განსაკუთრებით კრიზისულ პერიოდებში, როდესაც აქტორები არ არიან დარწმუნებული როგორი იქნება მათ მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგი და ამიტომ კომფორტულად გრძნობენ თავს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ უკვე ნაცადი მოდელის განხორციელებაში. და ბოლოს, იდეები შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც "კოგნიტური საკეტები" იმ თვალსაზრისით, რომ იდეები ცოცხლობენ იმაზე მეტ ხანს ვიდრე მათი ავტორები და გვთავაზობენ აზროვნების ჩარჩოს, რომლის მიღმა გასვლა აქტორების შემდეგ თაობებს უჭირთ და შესაბამისად სამყაროს აღქმას სწორედ ამ იდეების საშუალებით აგრძელებენ (Blyth, 2002).

მეთოდოლოგია

მოცემული კვლევა განხორციელდა როგორც შემთხვევის ანალიზი. შემთხვევად აღებულია საქართველოში შრომის ბაზრის პოლიტიკის რეფორმები დაწყებული 2003-დან 2012 წლამდე პერიოდში. აღნიშნული პერიოდის ანალიზისათვის ორი მეთოდი იქნა გამოყენებული: 1. დოკუმენტების ანალიზი და 2. ჩარღმავებული თვისებრივი ინტერვიუ. დოკუმენტების ანალიზის დროს გაანალიზდა სახელმწიფო

სტრატეგიები შრომის ბაზრის დარგში, შრომითი კანონმდებლობა, სახელმწიფოს ანგარიშები საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ და ამ უკანასკნელთა ანგარიშები საქართველოს შესახებ. მეორე ეტაპზე, დოკუმენტების ანალიზით მიღებული ინფორმაციის შევსება და ვალიდაცია მოხდა ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუების საფუძველზე, რომლის რესპონდენტები შეირჩნდენ თოვლის გუნდის პრინციპით. ორივე ეტაპზე მიღებული მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი გახდა პროცესზე მიდევნების მეთოდის გამოყენება: ჩვენთვის საინტერესო მოვლენის (შრომის ბაზრის ლიბერალიზაციის) გამომწვევი მიზეზების დასადგენად.

პროცესზე მიდევნების მეთოდი (Process Tracing Method)

როგორც ბიჩი და პედერსენი (2013) აღნიშნავენ პროცესზე მიდევნების მეთოდი, როგორც წესი, გამოიყენება ინდივიდუალური შემთხვევის ანალიზის დროს, როდესაც მკვლევარს სურს დაადგინოს კაუზალური კავშირი X –სა და Y-ს შორის. შეიძლება ორ ცვლადს შორის კორელაცია უკვე დადასტურებულია, მაგრამ მკვლევარს სურს ამოხსნას და გაშიფროს ის კაუზალური მექანიზმი, რომლის საშუალებითაც X იწვევს Y-ს. სხვაგვარად, ეს მეთოდი აღნიშნავს კვლევას, რომლის დროსაც მკვლევარი იწყებს კონკრეტული მოვლენიდან (Y-დან) და მიზეზ-შედეგობრივ პროცესს მიყვება უკან X-მდე (Beach & Pedersen , 2013).

პროცესის მიდევნების მეთოდში გამოიყენება მიზეზ-შედეგობრიობის მექანისტური და არა ჰუმისეული გაგება. შესაბამისად, აქ კაუზალობა გვესმის არა როგორც რეგულარული ასოციაცია X-სა და Y-ს შორის, არამედ როგორც იმ მექანიზმის შესწავლა, რომელიც ამ ორს აკავშირებს (X → მექანიზმი → Y). მექანისტური გაგება არ გულისხმობს რომ კავშირი აუცილებლად რეგულარული უნდა იყოს და მექანიზმი შეიძლება არ ხორციელდებოდეს ხშირად. მთავარია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ორ ცვლადს შორის კავშირის ახსნა შესაძლებელი იყოს მოცემული კაუზალური მექანიზმით (Beach & Pedersen , 2013).

პროცესზე მიდევნების მეთოდში განზოგადების პრინციპი განსხვავდება რაოდენობრივი მეთოდებისაგან. კერძოდ, ასეთ შემთხვევაში მკვლევარი აკეთებს შემთხვევის შიდა განზოგადებას (within-case inference) და არა შემთხვევათა შორის (cross-case) განზოგადებას. ანუ ამ შემთხვევაში მკვლევარი აკეთებს დასკვნას იმის შესახებ სახეზეა თუ არა ნავარაუდები კაუზალური მექანიზმი მოცემული შემთხვევის ფარგლებში. ამავდროულად, ჩვენ გვაინტერესებს მოცემული მტკიცებულებები რამდენად მიუთითებს კაუზალური მექანიზმის არსებობაზე.

მოცემულ კვლევაში გამოყენებულია *შედეგის ახსნაზე მიმართული პროცესზე მიდევნების* მეთოდი, იმდენად რამდენადაც მთავარი საკვლევი თემა შრომის ბაზრის ლიბერალიზაციის გამომწვევი მიზეზების კვლევაა. ასეთ შემთხვევაში მკვლევარმა უნდა დაადგინოს რა არის შედეგის გამომწვევი საკმარისი პირობა. პირობა საკმარისია მაშინ, როდესაც არ არსებობს შედეგის რაიმე ისეთი ელემენტი, რომლის ახსნაც არ შეგვიძლია ჩვენს მიერ მოძიებული მტკიცებულებებით.

პროცესზე მიდევნების მეთოდის გამოყენების დროს მკვლევარი ემპირიულ ტესტებს ატარებს თავისი ჰიპოთეზის დასადასტურებლად. აღნიშნულისათვის კი აუცილებელია ნათლად იყოს ჩამოყალიბებული X-სა და Y-ს შორის ჰიპოთეტური კაუზალური მექანიზმი. კერძოდ, მექანიზმის თითოეული ნაწილისათვის ჩამოყალიბებული უნდა იყოს აქტორი და მოქმედება, რომელსაც ის ასრულებს. სულ არსებობს ოთხი სახის ტესტი, რომლებიც ემპირიული მასალის უნიკალურობასა და აუცილებლობის პარამეტრების მიხედვით

კლასიფიცირდება. კერძოდ, შეიძლება არსებობდეს მტკიცებულება, რომელიც იმდენად უნიკალურია, რომ მისი აღმოჩენის შემთხვევაში ძალიან დიდია ჰიპოთეზის დადასტურების ალბათობა. მეორე, გახლავთ აუცილებელი მტკიცებულება, რომლის აღმოჩენის გარეშეც შეუძლებელია ვამტკიცოთ ჰიპოთეზა, თუმცა მისი აღმოჩენა ჯერ კიდევ არ ადასტურებს ჰიპოთეზის ვალიდურობას. აღნიშნული პარამეტრების გადაკვეთით შეიძლება მივიღოთ განსხვავებული სახის მტკიცებულებები, რომელიც დაგვეხმარება დავადასტუროთ ან უარვყოთ ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული კაუზალური მექანიზმი X-სა და Y-ს შორის.

აღნიშნული მტკიცებულების მოსაძიებლად მკვლევარი ატარებს სხვადასხვა სახის ტესტს. მაგ. სალტეს ტესტი (hoop test), ისეთი ტესტია, როდესაც მტკიცებულების ვერ აღმოჩენის შემთხვევაში ჩვენი რწმენა ჰიპოთეზის ვალიდურობაში საკმაოდ იკლებს, თუმცა მისი აღმოჩენა, ჯერ კიდევ ვერ გვაძლევს ჰიპოთეზის ვალიდურობის დამტკიცების საშუალებას. მაგალითად, თუკი დანაშაულის ჩადენის დღეს ეჭვმიტანილი ქალაქში არ იმყოფებოდა, მას ვერ დავუმტკიცებთ ბრალს. საწინააღმდეგო შემთხვევაში კი დამატებითი მტკიცებულება გვჭირდება, რომ დავადგინოთ მისი ბრალეულობა. უფრო ეფექტური "კვამლიანი თოფის" (smoking gun) ტესტია, რომლის აღმოჩენა აუცილებლობით მიგვანიშნებს ჰიპოთეზის ნამდვილობაზე. თუმცა, მსგავსი სახის მტკიცებულებების მოძიება სოციალურ მეცნიერებში ძალიან რთულია.

შესაბამისად, ყველაზე ოპტიმალური ორმაგი მნიშვნელობის ტესტია. მაგალითად, ვიდეო ჩანაწერი, რომელზეც ჩანს როგორ ჩადის ეჭვმიტანილი დანაშაულს. ეს მტკიცებულება უნიკალურიც არის და სხვა ალტერნატივასაც გამორიცხავს.

კვლევის შედეგები

შრომის ბაზრის ტრაექტორიის მოკლე მიმოხილვა საქართველოში: 1990-2014

1990-იანი წლებიდან მოყოლებული, საბჭოთა კავშირისაგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ევროპის პერიფერიაზე მდებარე საქართველომ მნიშვნელოვანი სოციო-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები განიცადა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ბოლო 25 წლის განმავლობაში სოციალური პოლიტიკის სფეროში მიმდინარე ცვლილებები. ეს უკანასკნელნი იმდენად სწრაფად და რადიკალურად ხორციელდებოდა რომ ამ მხრივ რთულია საქართველოს ანალოგი მოვუძებნოთ სხვა, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის. მოვლენების თუნდაც ზედაპირული ანალიზი აჩვენებს რომ ქართული სოციალური მოდელი (თუკი ასეთზე საერთოდ შეგვიძლია ვისაუბროთ) იცვლებოდა და ბოლო 25 წლის განმავლობაში დასავლური კეთილდღეობის მოდელის თითქმის ყველა ტიპთან ჰქონდა რაღაც საერთო დროის გარკვეულ პერიოდში. საწყისი მოდელი სოციალისტური იყო, თუმცა საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის შემდეგ ჩნდება კონტინენტალური კეთილდღეობის მოდელის ჩანასახები (დაზღვევის სქემების შემოტანა), შემდეგ კურსი რადიკალურად შეიცვალა და უკიდურესი ნეოლიბერალური მოდელი მივიღეთ, რასაც ისევ მოყვა შედარებით მოთოკილი ეკონომიკური ლიბერალიზმის ან თუ გნებავთ, სოციალ-დემოკრატიული კურსი (გზირიშვილი, 2013).

შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის შესწავლა საქართველოში განსაკუთრებით საინტერესოა იმის გათვალისწინებით, რომ ამ კონკრეტულ სფეროში არსებული დრამატული ცვლილებები არც-ერთ სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში არ განხორციელებულა. 1990-იანი წლების დასაწყისში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნების უმეტესობამ გაზრდილ უმუშევრობასა და ეკონომიკის რესტრუქტურიზაციას იმით უპასუხა რომ დაიწყეს დასავლეთის განვითარებულ ეკონომიკებში ჩამოყალიბებული შრომის ბაზრის ინსიტუტების გადმოტანა. თუმცა, აღნიშნული ინსტიტუტები არ იყო

მორგებული გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე, იმდენად რამდენადაც მათში სახეზე არ იყო ამ ინსტიტუტების არსებობისათვის საჭირო წინაპირობები. უმუშევრობის საოცრად მაღალი დონე ამცირებდა შემოსავლებს სახელმწიფო ბიუჯეტში, რის შედეგადაც უმუშევრობის დაზღვევის ფონდი ფაქტიურად არაეფექტური და გამოუსადეგარი იყო (Lubyova, 2009). ამ ქვეყნების მთავრობებმა მალე გააცნობიერეს აღნიშნული შრომის ბაზრის ინსტიტუტების არაეფექტურობა და დაიწყეს მათი "შემცირება", რაც ძირითადად იმაში გამოიხატებოდა რომ გამკაცრდა უმუშევრობის შემწეობის მიღების წინაპირობა ან შემცირდა ბენეფიტების მოცულობა და გაცემის ხანგრძლივობა და ჩანაცვლების დონეები.

უმეტეს შემთხვევებში, აღნიშნული რეფორმები საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების რეკომენდაციების მიხედვით ხორციელდებოდა. მოგვიანებით ნათელი გახდა, რომ მსგავსი შეზღუდვების გამო მოსახლეობის დიდი ნაწილი უმუშევრობის შემწეობისა და ზოგადად დასაქმების აქტიური პოლიტიკის მიღმა რჩებოდა. ამიტომაც ქვეყნებმა მიატოვეს უმუშევრობის დაზღვევის ფონდის იდეა, თუმცა გააგრძელეს დასაქმების სხვადასხვა პროგრამა. ნავთობზე გაზრდილმა ფასმა საშუალება მისცა რუსეთს, ყაზახეთსა და აზერბაიჯანს შეენარჩუნებინათ შრომის ბაზრის ინსტიტუტები და უმუშევრობის შემწეობები (ეს უკანასკნელი ყაზახეთმა გააუქმა). მათგან განსხვავებით, სომხეთს, ყირგიზეთს, ტაჯიკეთს და უზბეკეთს ძალიან გაუჭირდათ შრომის ბაზრის ინსტიტუტების დაფინანსება. თუმცა მაინც შეინარჩუნეს ისინი, მიუხედავად იმისა რომ მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილს ფარავდნენ. ამასობაში, საქართველომ, რომელსაც ანალოგიური პრობლემები ქონდა, საერთოდ გააუქმა შრომის ბაზრის ინსტიტუტები და პროგრამები და შრომის კოდექსის რადიკალური ლიბერალიზაცია მოახდინა (Lubyova, 2009). უცნაურია, რომ აღნიშნული ნაბიჯების შემდეგ ხელისუფლებამ შრომის ბაზრის პოლიტიკაში ჩარევა ისევ გადაწყვიტა 2008 წლის ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის შემდეგ, მაშინ როდესაც დანარჩენ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში სოციალური დანახარჯების შემცირება წამყვანი პოლიტიკა გახდა და ხელისუფლებებმა შრომის ბაზრის პროგრამების შეკვეცა დაიწყეს. 2012 წლიდან მოყოლებული, შეცვლილი ხელისუფლების პირობებში საქართველო განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება შრომის ბაზრის ინსტიტუტების ხელახლა ჩამოყალიბების იდეას. დაიწყო რიგი ინსტიტუტების აღდგენა (Diakonidze, 2016). აღნიშნული თვალსაზრისით საქართველო განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს იმდენად რამდენადაც სოციალური პოლიტიკების ლიბერალიზაცია გლობალიზაციის პირობებში ლამის ბუნებრივ მოვლენადაა მიჩნეული, თუმცა ლიბერალიზაციის შემდეგ პოლიტიკის რე-რეგულირების მცდელობა ძალიან იშვიათია.

შრომის ბაზრის ლიბერალიზაცია და მისი გამომწვევი მიზეზები

როგორც წინა სექციაში აღინიშნა ქართული შრომის ბაზრის პოლიტიკის განვითარებაში რამდენიმე ეტაპი შეიძლება გამოიყოს, თუმცა მოცემულ სტატიაში ამათგან მხოლოდ ერთ ეტაპზე შევაჩერებთ ყურადღებას, რომელსაც პირობითად შეგვიძლია ლიბერალიზაციის ფაზა ვუწოდოთ.

აღნიშნული ეტაპი 2003 წელს ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილის მოსვლით დაიწყო, რასაც ქვეყანაში რადიკალური ლიბერალური რეფორმების წყება მოჰყვა. მმართველი გუნდის ძირითადი წარმომადგენლები თავიანთ თავს ლიბერტარიანელებს უწოდებდნენ. როგორც ყოფილმა პრემიერ მინისტრმა ლადო გურგენიძემ აღნიშნა: "ჩვენ ლიბერტარიანელები ვართ, ჩვენი გეგმა არ არის რაიმეს გაკეთება და არც წარმოების კონკრეტული სექტორების განვითარებისკენ მივისწრაფვით - ეს არ

წარმოადგენს სახელმწიფოს ფუნქციას, მთავარია ეკონომიკური ზრდა და არა აქვს მნიშვნელობა რა საშუალებით მიიღწევა იგი".[1]

კვლევის საწყის ეტაპზე ცნობილია გამომწვევი მიზეზი (X) - მემარჯვენე ხელისუფლება და საბოლოო შედეგი (Y) შრომის ბაზრის პოლიტიკის ლიბერალიზაცია. თუმცა უცნობია ამ ორ მოვლენას შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვი. მოცემული თავი სწორედ X-სა და Y-ს შორის დამაკავშირებელი მექანიზმის ახსნას ცდილობს და განსაკუთრებული ყურადღება ამ პროცესში საერთაშორისო აქტორების გავლენას ექცევა.

კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ შემდეგი მიზეზ-შედეგობრივი მექანიზმი:

1. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ლიბერალური მთავრობა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას მთავარ პრიორიტეტად სახავს, რის გამოც იწყება ლიბერალური რეფორმების გატარება და ინსტიტუტების გაუქმება
2. საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები განვითარებადი ქვეყნებისათვის გრანტის გაცემის წინაპირობად ამ ქვეყნებში ბიზნესის კეთების სიმარტივეს აყენებენ და ამავდროულად თავაზობენ ამ ქვეყნებს შესაბამის ინდიკატორებს
3. საქართველოს მთავრობა იწყებს აღნიშნული ინდიკატორებით ხელმძღვანელობას
4. იქიდან გამომდინარე, რომ ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსში შრომითი ურთიერთობების ლიბერალიზაცია ქვეყნის რეიტინგს მაღლა წევს, საქართველო იწყებს აღნიშნულ სფეროში რადიკალური რეფორმების გატარებას.

ნაშრომის შემდგომ ნაწილში მოცემულია აღნიშნული მიზეზ-შედეგობრივი მექანიზმის თითოეული ეტაპის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

- *პირველი ეტაპი: რეფორმები და ინსტიტუტების გაუქმება*

სააკაშვილის ხელისუფლებას ნათლად ქონდა ჩამოყალიბებული ეკონომიკური ზრდის მისაღწევი სტრატეგია: სახელმწიფოს როლი მაქსიმალურად უნდა შემცირებულიყო ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორში და უნდა მომხდარიყო ინვესტორების მოზიდვა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაზრდის მიზნით (Schueth, 2015). პრეზიდენტის სიტყვებით: "ნათელი იყო რომ ღია და თავისუფალი ეკონომიკის გარეშე (საქართველოს) წარმატების შანსები ნულს უდრიდა. მხოლოდ თავისუფლების ძალიან მაღალ დონეს შეეძლო უარყოფითი მოვლენების განეიტრალება: რუსული ოკუპაცია, განადგურებული ინფრასტრუქტურა და მცირე შიდა ბაზარი. ამ გამოწვევების საპასუხოდ რადიკალური რეფორმების გატარება იყო აუცილებელი (Saakashvili & Bendukidze, 2014). რეფორმებმა მოიცვა სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკების ფართო სპექტრი: შემცირდა საჯარო ბიუროკრატია, მოხდა საგადასახადო და კეთილდღეობის პოლიტიკის ლიბერალიზაცია, შემცირდა რეგულაციები, ნებართვები და ლიცენზიები და დაიწყო მასიური პრივატიზაცია.

აღსანიშნავია, რომ შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკაში რეფორმები 2004 წლამდე არ

---

[1] http://www.milkeninstitute.org/events/conferences/global-conference/2009/panel-detail/1923

დაწყებულა. ამ ეტაპისათვის პოლიტიკის აღნიშნულ დარგში შემდეგი მდგომარეობაა: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში არსებობს შრომისა და დასაქმების დეპარტამენტი, რომელიც პოლიტიკას იმუშავებს აღნიშნულ სფეროში. მისი განმახორციელებელია დასაქმების საჯარო სამსახური. ეს უკანასკნელი ატარებს დასაქმების რიგ პროგრამებს: მაგ. გასცემს უმუშევრობის შემწეობას, ახორციელებს უმუშევართა მომზადება-გადამზადებას და დასაქმების საჯარო პროექტებს (Ivanidze, 2015). ქვეყანაში მოქმედებს შრომის კოდექსი, რომელიც საბჭოთა პერიოდში არსებული კოდექსის მცირედით სახეცვლილი ვერსიაა (Muskhelishvili, 2011). ამავდროულად ფუნქციონირებს შრომის ინსპექცია.

2004 წლიდან მოყოლებული იწყება რეფორმები შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკაში. 2004 წლის 29 დეკემბრის საპარლამენტო დადგენილებით ცვლილება შევიდა "დასაქმების შესახებ აქტში", რომლის საფუძველზეც შეიქმნა "დასაქმებისა და სოციალური დახმარების სააგენტო". ამ უკანასკნელმა ჩაანაცვლა დასაქმების საჯარო სამსახური (Council of Europe, 2006). ეს გახლდათ სოციალური სერვისების გაერთიანებისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი. ამასთანავე, იწყება დასაქმების თემის ზოგადი გარიყვა სოციალური პოლიტიკის სპექტრიდან. ახლადშექმნილი სააგენტოს მთავარი ფუნქცია მიზნობრივი სოციალური შემწეობის ადმინისტრირება იყო, რომელიც მთავრობამ 2003 წელს დანერგა მსოფლიო ბანკის აქტიური დახმარებით. 2007 წელს ევროპული სოციალური ქარტიის ყოველწლიურ ანგარიშში მთავრობამ აღნიშნა რომ: მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის შემოტანამ შეამცირა დასაქმების პროგრამების დაფინანსებისათვის საჭირო ბიუჯეტი. ამასთანავე, სოციალური დახმარების მიმღებთა უმეტესობა უმუშევარი იყო. შესაბამისად, გადაწყდა რომ გაუქმებულიყო უმუშევრობის შემწეობა. ამდენად, სოციალური პოლიტიკის ორი სხვადასხვა ინსტრუმენტი: სოციალური დახმარება და უმუშევრობის შემწეობა ერთ სქემაში გაერთიანდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ უმუშევრობის შემწეობის გაგრძელებას იურიდიული საფუძველი მაშინ გამოეცალა, როდესაც გაუქმდა კანონი დასაქმების შესახებ და შესაბამისად გაუქმდა "უმუშევრის" ლეგალური გაგება. მიუხედავად აღნიშნული ცვლილებებისა, მთავრობა განაგრძობდა სოციალურ დახმარებაზე გაწეული დანახარჯების დასაქმების პროგრამებზე გაწეულ ხარჯად დათვლას (Council of Europe, 2006).

აღნიშნული არ წარმოადგენდა ერთადერთ ცვლილებას შრომის ბაზრის პოლიტიკის არქიტექტურაში. 2006 წელს დასაქმების კანონის გაუქმებას მოყვას სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის კანონის გაუქმება, შესაბამისად გაუქმდა შრომის ინსპექცია, როგორც კანონის აღსრულების მექანიზმი (საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, 2008). 2006 წელს ასევე დაიხურა შრომისა და დასაქმების დეპარტამენტი და "შრომა" მხოლოდ ცარიელი სიტყვის სახით შემორჩა სამინისტროს სახელწოდებაში. 2007 წელს "სოციალური დახმარებისა და დასაქმების" სააგენტოს ჩამოსცილდა "დასაქმების" კომპონენტი და სააგენტო გადაიქცა მხოლოდ "სოციალური სერვისების სააგენტოდ" (Council of Europe, 2007).

მართალია, ერთი შეხედვით აღნიშნული მოვლენები რადიკალურ ცვლილებებზე მიუთითებს, მაგრამ თუკი დასახელებული ინსტიტუტების ეფექტურობის კუთხით შევაფასებთ მოსახლეობას მათი გაუქმება თითქმის არ უგრძვნია. აღნიშნული მიზეზი არაფორმალური დასაქმების ძალიან დიდი წილი იყო, ხოლო თავად ინსტიტუტებში კორუფციის არსებობა ფორმალურ სექტორში დასაქმებულთათვისაც მათ არსებობას უმნიშვნელოს ხდიდა. იმ პერიოდის პოლიტიკის შემქმნელები არ უარყოფენ კორუფციის არსებობას (Sakvarelidze, 2015). სწორედ, კორუფცია და ზედმეტი ხარჯი იყო ის ძირითადი არგუმენტი რაც სააკაშვილის გუნდს გააჩნდა ამ ინსტიტუტების გასაუქმებლად. თუმცა, როგორც მაშინდელი მინისტრის

მოადგილე აღნიშნავს: "კორუფცია ძალიან დიდი პრობლემა იყო, თუმცა ეს რომც არ ყოფილიყო ამ ინსტიტუტებს აუცილებლად გავაუქმებდით" (Megrelishvili, 2015). აღნიშნული კარგად გამოხატავს, იმას რომ პოლიტიკის აქტორების იდეოლოგიური განწყობები გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ ინსტიტუციურ ცვლილებაში.

საინტერესოა ავღნიშნოთ, რომ შრომის ბაზრის ინსტიტუტების გაუქმების გადაწყვეტილებები მომდინარეობდა მთავრობის წევრების ზოგადი იდეოლოგიური შეხედულებებისაგან. კერძოდ, კი იმ იდეისაგან რომ მთავრობა დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ურთიერთობაში არ უნდა ერეოდეს (Megrelishvili, 2015). ინტერვიუებიდან არ იკვეთება საერთაშორისო აქტორების პირდაპირი ჩართულობა აღნიშნულ საკითხში. თუმცა მას ირიბად ქონდა გავლენა. მსოფლიო ბანკმა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემის შემუშავებაში (Sturua, 2015), რაც თავისთავად ლიბერალური სოციალური პოლიტიკის უმთავრესი მახასიათებელი შტრიხია. აღნიშნული, თანხვედრაში იყო რეფორმატორთა შეხედულებებთან. მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემის დასანერგად კი მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების გამოთავისუფლება იყო საჭირო. ამიტომაც, 2004 წელს, როდესაც შრომის ბაზრის პროგრამები ფორმალურად ჯერ კიდევ არსებობდა, დასაქმების პროგრამების განსახორციელებლად ბიუჯეტი საერთოდ არ დამტკიცებულა, იმდენად რამდენადაც ეს რესურსები სოციალური დაცვის სისტემის რეფორმაზე იყო მიმართული (Sturua, 2015).

მეორე ეტაპი: საერთაშორისო დონორების მოთხოვნები

საქართველოში დაწყებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ტრანსფორმაცია საინტერესოდ ემთხვევა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების გადაწყვეტილებას შეეცვალათ განვითარებადი ქვეყნებისათვის სესხის გაცემის წინაპირობები. 2003 წელს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (IDA) ადგენს რომ სესხის მიღების წინაპირობა ქვეყანაში ბიზნესის დასაწყებად საჭირო დროისა და ხარჯების შემცირებაა (World Bank, 2007). საერთაშორისო განვითარების სააგენტო მსოფლიო ბანკის შემადგენელი ინსტიტუტია, რომელიც დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებზე სესხს შეღავათიანი პირობებით გასცემს და როგორც ასეთი, მსგავსი ქვეყნებისათვის ფინანსური რესურსის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. მის სესხზე პროცენტი ძალიან დაბალია ან ნულის ტოლია და გადახდის ვალდებულება 38 წლამდე შეიძლება გაიწეროს, რომელთაგან პირველი 5-10 წელი მთავრობა საერთოდ არ იხდის პროცენტს (World Bank 2007).

აღსანიშნავია, რომ 2004 წელს აშშ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი იგივე პირობას აწესებს განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების გასაცემად (World Bank, 2007). ფონდი ორ კრიტერიუმს იყენებს: ბიზნესის დასაწყებად საჭირო დღეებისა და თანხის რაოდენობა, რომელსაც ერთიანად "ბიზნესის დაწყების ინდიკატორს" უწოდებენ.

2003 წელს მსოფლიო ბანკი ქმნის "ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსს", რომელიც იმ პერიოდიდან მოყოლებული განვითარებად ქვეყნებში რეფორმების განხორციელების რეცეპტად აღიქმება. ინდექსის შექმნის მთავარი მოტივაცია, ავტორების განცხადებით, იმით იყო განპირობებული რომ ქვეყნებისათვის შეეთავაზებინათ პოლიტიკის ინსტრუმენტები და საუკეთესო გამოცდილება, რაც ქვეყანაში ბიზნესის წარმოების გამარტივებისათვის არის საჭირო. აღნიშნული კი, სოციალური და ეკონომიკური განვითარების უპირობო წინაპირობად ითვლება (World Bank, 2007). როგორც ინდექსის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი ჯანკოვი აცხადებს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილებასა და ინდექსის შექმნას შორის რაიმე კავშირი არ ყოფილა. თუმცა ინდექსის შექმნის შემდეგ მისი გამოყენება

დაიწყო როგორც აშშ განვითარების სააგენტომ (USAID), ასევე თავად IDA-მ (Djankov, 2016).

ზემოთაღნიშნული ცხადყოფს, რომ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები (IDA, USAID, MCA) ერთის მხრივ ადგენენ ფინანსური რესურსების (სესხის) გაცემის წინაპირობას და მეორეს მხრივ, შემოაქვთ რა ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსი, ქვეყნებს სთავაზობენ კონკრეტულ მეთოდოლოგიას თუ როგორ უნდა დააკმაყოფილონ მათ მიერვე დადგენილი სესხის გაცემის წინაპირობები. გარდა იმისა რომ, აღნიშნული ინდექსი დონორების მთავარი ინსტრუმენტია სესხის გასაცემად, იგი ასევე წარმოადგენს ინვესტორებისათვის მთავარ გზამკვლევს საინვესტიციო ქვეყნის ასარჩევად. ყოველივე აქედან გამომდინარე, ცხადია განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, რომლებიც დამოკიდებულნი არიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე და დონორებზე აღნიშნული ინდექსი ძალიან დიდი მნიშვნელობის იქნებოდა.

მესამე ეტაპი: რეიტინგის გავლენა ქართველ რეფორმატორებზე

სანამ უშუალოდ იმის განხილვაზე გადავალთ თუ როგორაა დაკავშირებული ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსი (EDBI) შრომის ბაზრის სფეროში გატარებულ რეფორმებთან აუცილებელია დავადასტუროთ რომ ქართველ რეფორმატორთა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აღნიშნული ინდექსი მართლაც დიდ როლს თამაშობდა.

სააკაშვილის გუნდის წარმომადგენლები ცალსახად უარყოფენ ინდექსის რაიმე ზეგავლენას მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე. მათი განცხადებით მათთვის ძალიან კარგად იყო ცნობილი რომ შრომის ბაზრის ლიბერალიზაცია ეკონომიკის მოდერნიზების აუცილებელი წინაპირობა იყო. მას შემდეგ კი, რაც რეფორმები გაატარეს, აღმოჩნდა, რომ ისინი ზედმიწევნით ემთხვეოდა ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსში მითითებულ ინდიკატორებს და ამ რეფორმებისათვის ქვეყანამ "ფოჩიანი კანფეტებიც" დაიმსახურა (Lezhava, 2015).

თუმცა ამ მოსაზრებას არ ადასტურებს კვლევის პროცესში წარმოჩენილი სხვა მტკიცებულებები. EDBI ინდექსის შემქმნელი სიმეონ ჯანკოვი აღნიშნავს, რომ იგი საქართველოს პირველად კახა ბენდუქიძის (რეფორმების კოორდინაციის მინისტრის) თხოვნით ეწვია. ისინი დამეგობრდნენ და "რომ არა კახა ბევრი არაფერი მოხდებოდა საქართველოში. ბენდუქიძე, ნოღაიდელი, სააკაშვილი, გილაური ძალიან დაინტერესებული იყვნენ EDBI ინდექსით და კარგად იცოდნენ მისი შინაარსი. ისინი ჩემი მეგობრები გახდნენ და ამ თემებზე ხშირად ვსაუბრობდით. ჩვენ რეფორმებამდე სამი წლით ადრე დავიწყეთ საუბარი და 2005-დან 2007 წლამდე ერთად ვმუშაობდით (Djankov, 2016). ამდენად, არაა გასაკვირი რომ ამ პერიოდში საქართველოში გატარებული რეფორმები სწორედ იმ სფეროებში მოხდა, რომელიც ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსშია მითითებული. აღნიშნული ერთობლივი შრომის შედეგად, 2007 წელს მსოფლიო ბანკი საქართველოს აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის რეგიონში ტოპ რეფორმატორად ასახელებს. აღნიშნულ წელს, საქართველომ 10-დან 6 ინდიკატორზე მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა და ლიდერი რეფორმატორი ქვეყნების სიაში პირველ ადგილზე მოექცა. წარმატებული რეფორმატორებისათვის დაწესებული პრიზი კი პირველად სწორედ საქართველოს იმჟამინდელ პრემიერ-მინისტრს - ზურაბ ნოღაიდელს გადაეცა (World Bank, 2007).

თუკი, სექციის დასაწყისში მითითებული მიზეზ-შედეგობრივი მექანიზმი სწორია, აღნიშნული რეფორმების შედეგად სავარაუდოა ქვეყანაში დონორების დახმარებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა.

მართლაც, 2006-დან 2008 წლებში ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები [2] ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა ორ მსხვილ პროექტს მოაწერა ხელი საქართველოსთან - პირველი 295 მლნ ღირებულების 2005 წელს, ხოლო მეორე 2013-ში[3]. საერთაშორისო განვითარების სააგენტომ კი მიზნობრივი სოციალური დახმარების რეფორმა დააფინანსა.

მეოთხე ეტაპი: რასაც ზომავენ, ის კეთდება კიდეც!

ამდენად, პოლიტიკის წარმოებაზე "ბიზნესის კეთების სიმარტივის" ინდექსს ძალიან დიდი გავლენა ქონდა. მსოფლიო ბანკი აღნიშნავს: "იმისათვის რომ რეფორმატორებისათვის აღნიშნული ანგარიში გამოსადეგი იყოს, საჭიროა ინდიკატორები ძალიან მარტივი, ადვილად განსახორციელებელი და ნათლად ჩამოყალიბებული იყოს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გახდებიან ისინი რეფორმების მოტივატორი (World Bank, 2007). აღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესოა ვნახოთ რა ზეგავლენა მოახდინა აღნიშნულმა ინდექსმა შრომის ბაზრის სფეროში მიმდინარე პროცესებზე საქართველოში.

ინდექსის თავდაპირველ ვერსიაში ქვეყნების საერთო ჭულა 10 ინდიკატორის მიხედვით ითვლებოდა. ესენია: ბიზნესის დაწყების სიმარტივე, ლიცენზირების საკითხები, სამსახურიდან დათხოვნისა და აყვანის სიმარტივე, ქონების რეგისტრირება, კრედიტის მიღება, ინვესტორების დაცულობა, გადასახადების გადახდა, საზღვრებს მიღმა ვაჭრობა, კონტრაქტების პირობის შესრულება და ბიზნესის დახურვა. მსოფლიო ბანკის ყოველწლიურ ანგარიშებში თითოეული ინდიკატორის შესახებ მოცემულია ის სასურველი მდგომარეობა და შესაბამისი რეფორმები, რაც ბიზნესის წარმოებას გაამარტივებს ქვეყანაში. ამდენად, ბიზნესის განვითარებაზე ორიენტირებული ხელისუფლებისათვის აღნიშნული ინდექსი პოლიტიკის წარმოების კარგ სახელმძღვანელოდ შეიძლება მივიჩნიოთ.

"სამსახურიდან დათხოვნისა და აყვანის სიმარტივის" ინდიკატორი თავის მხრივ შემდეგ საკითხებს მოიცავდა: დაქირავების სირთულის ინდექსი, სამუშაო საათების რიგიდულობა, გათავისუფლების სიმარტივის ინდექსი, გათავისუფლებისა და სამსახურში აყვანის ხარჯები[4].

აღნიშნული ინდიკატორის გამოყენებას თავისი მიზეზები აქვს. კერძოდ, მსოფლიო ბანკის ეკონომისტები შემდეგ განმარტებას გვთავაზობენ: იმისათვის რომ დასაქმებული არასამართლიანი მოპყრობისაგან დაიცვან ხელისუფლება რეგულაციას მიმართავს, თუმცა ხშირ შემთხვევაში რთულია ოქროს შუალედის დაცვა და ზოგიერთ ქვეყანაში რეგულირება იმდენად მკაცრია, რომ დასაქმებულთა დასაცავად შექმნილი კანონები მათვე აყენებს ზიანს. დასაქმების შესაძლებლობები კი მცირდება. მოქნილი შრომითი ურთერთობების შემთხვევაში კი სამუშაო ადგილები მეტია და დასაქმების მაჩვენებელი იზრდება. თუმცა მეტი მოქნილობა არ ნიშნავს უსაფრთხოებაზე უარის თქმას. "მაგალითად, საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მოქნილი რეგულაცია აქვს, თუმცა ამავე დროს იგი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყველა ძირითადი კონვენციის ხელმომწერია. ნამდვილად ვერ ვიტყვით რომ დასაქმებულების ექსპლუატაცია ხდება დანიაში, რომელიც ასევე 10 ლიდერ რეფორმატორი ქვეყნის

---

[2] http://www.osgf.ge/files/2013/publikaciebi%202013/Report_GEO_WEB.pdf
[3] https://www.fas.org/sgp/crs/row/RL32427.pdf
[4] http://www.doingbusiness.org/rankings

სიაშია".[5]

2005 წლიდან, აღნიშნულ ინდიკატორს "თანამშრომელთა დასაქმების ინდიკატორი" (Employing Workers Indicator) დაერქვა და გაიზარდა იმ საკითხების რიცხვი, რომელთა შესწავლაც ხდება. ძირითადად, ეს სამუშაოს ხარისხსა და შრომით პირობებს ეხება. აღნიშნული პროცესი იმ კრიტიკის დამსახურებაა, რაც "ბიზნესის კეთების სიმარტივის" ინდიკატორმა წლების განმავლობაში დაიმსახურა. კრიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, სწორედ ის გახლდათ, რომ გადამეტებული ყურადღება შრომითი ურთიერთობების ლიბერალიზაციაზე, სამუშაო ადგილისა და პირობების გაუარესების ფონზე ხდებოდა. ამდენად 2007-დან 2011 წლის განმავლობაში მსოფლიო ბანკმა საკონსულტაციო ჯგუფი შექმნა, რომელთაც აღნიშნული ინდიკატორის სრულყოფა დაეკისრათ[6].

მიუხედავად იმისა რომ "დასაქმების ინდიკატორი" ხაზს უსვამდა მოქნილობისა და უსაფრთხოების მნიშვნელობას, ამ კომპონენტის ყველა შემადგენელი ინდიკატორი იზომებოდა 0-დან 100 ქულამდე, სადაც დაბალი ქულა მიუთითებდა უფრო მეტ მოქნილობას, ხოლო რაც მაღალი იყო მოქნილობა მით უფრო მაღალი იყო ქვეყნის საერთო რეიტინგი (World Bank, 2007). პოლიტიკის შემქმნელებისათვის ეს ერთ მარტივ მესიჯს ნიშნავდა: მან უნდა გაამარტივოს ან გააუქმოს ყველა სახის რეგულაცია.

მართლაც, 2006 წელს კახა ბენდუქიძის ინიციატივით ხდება შრომის კოდექსის რევიზია. განხორციელებული ცვლილებების შედეგად 2007 წლის ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსის ანგარიშში მსოფლიო ბანკი აღნიშნავს: "ახალი შრომითი რეგულაციები (საქართველოში) შესაძლებლობას აძლევს ადამიანებს უკეთესი სამუშაო ადგილები იპოვონ. ასევე შემცირდა სოციალური გადასახადი 31-დან 20 პროცენტამდე, რაც დამსაქმებელს უადვილებს ახალი თანამშრომლების აყვანას. ასევე უფრო მეტად ხდება კორპორატიული გადასახადების შეგროვება, რის მაჩვენებელმაც 300 პროცენტს მიაღწია და სოციალური გადასახადების შემცირება გააბათილა. უმუშევრობა კი 2 პროცენტით შემცირდა." 2007 წლის ანგარიშში დასახელებული სამი ყველაზე მსხვილი რეფორმიდან, რომელმაც ქვეყნებს ინდექსში დაწინაურების საშუალება მისცა ერთ-ერთი საქართველოს მოქნილი შრომითი ურთიერთობაა, რაც ახალი შრომის კოდექსის მეშვეობით გახდა შესაძლებელი.

ცხრილი ნომერი 1 ასახავს ამ "დასაქმების ინდიკატორის" შემადგენელ კომპონენტებს და მათთვის მინიჭებულ ქულებს 2005-დან 2010 წლის პერიოდში. აშკარაა რომ 2006 წელს მიღებული შრომის კოდექსი ძალიან ბევრ ასპექტს იმდენად ამარტივებდა რომ ბევრი კომპონენტი აბსოლუტური მოქნილობით შეფასდა (0 ქულა).

ცხრილი 1: საქართველოს მაჩვენებლები "დასაქმების ინდიკატორზე" 2005-2010

ინდიკატორი	2005	2006	2007	2008	2009	2010
სამსახურში აყვანის სირთულე	17	0	0	0	0	0

[5] ibid

[6] 2010 წლიდან ეს ინდიკატორი საერთოდ ამოიღეს 10 ძირითადი ინდიკატორიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ რეიტინგში ქვეყნის ადგილის განსაზღვრაში აღნიშნული საკითხი არ ფიგურირებს. თუმცა იგი რჩება "დამატებით საკითხად", რომელზეც ინფორმაცია ყოველწლიურად გროვდება და ანგარიშში დანართის სახით არის წარმოდგენილი

სამუშაო საათების რიგიდულობა	60	60	20	20	20	20
სამსახურიდან დათხოვის სირთულე	70	70	0	0	0	0
დასაქმების რიგიდულობა[7]	49	43	7	7	7	7
სამსახურიდან დათხოვის ხარჯები	21	4	4	4	4	4
სამსახურში აყვანის ხარჯები		31	20	20		

შრომის კოდექსის რევიზიის დროს სამსახურიდან დათხოვის თემა ერთ-ერთი ყველა აქტუალური იყო (Alexandria, 2016) (Otiashvili, 2015). შრომის კოდექსის ახალი ჩანაწერის მიხედვით შრომითი კონტრაქტის შეწყვეტის რამდენიმე მიზეზი არსებობდა, მათ შორის მხარეთა სურვილის შემთხვევაში ორივეს შეეძლო შეწყვეტა. თუმცა, მაშინ როდესაც დასაქმებულს ქონდა ვალდებულება ერთი თვით ადრე შეეტყობინებინა აღნიშნულის შესახებ დამსაქმებლისათვის, იგივე სახის ვალდებულება არ ვრცელდებოდა თავად დამსაქმებელზე. ამ უკანასკნელს შეეძლო ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე გაეთავისუფლებინა დასაქმებული. ერთადერთ ვალდებულებად მას ერთი თვის ხელფასის გადახდა ეკისრებოდა. ამდენად მნიშვნელოვანდ შემცირდა სამსახურიდან დათხოვნის სირთულე და ხარჯები EDBI-ს ინდიკატორებზე. რეალობაში, აღნიშნული ცვლილების ხარჯზე დამსაქმებლები თავიანთი შეხედულებით უშვებდნენ თანამშრომლებს სამუშაოდან, რაც შრომითი უსაფრთხოების მნიშვნელოვან გაუარესებას მოასწავებდა (საჩალელი, 2012).

რაც შეეხება სამსახურიდან დათხოვნის ხარჯებს, წინამორბედი შრომის კოდექსისაგან განსხვავებით, ახალ ვერსია არ ითვალისწინებდა გამოუყენებელი დასვენების დღეების ფინანსურ ანაზღაურებას. ახალი შრომის კოდექსის შემქმნელები აღიარებდნენ, რომ მათი მთავარი საზრუნავი მაქსიმალურად გამარტივებული წესები იყო. ამ მიზეზით, საერთაშორისო კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებები საერთოდ არ ფიგურირებდა შრომის კოდექსში. მაგალითად, საქართველოს რატიფიცირებული ქონდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 52-ე კონვენცია ყოველწლიური შვებულების შესახებ, რომელიც დასაქმებულს აძლევდა ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების უფლებას. რადგანაც ეს ვალდებულება ქვეყანას საერთაშორისო კონვენციით ქონდა აღებული, შრომის კოდექსში ეს ჩანაწერი არ ფიგურირებდა, რადგან ითვლებოდა, რომ კონვენციებს უპირატესი ძალა აქვთ. თუმცა რეალობაში, დამსაქმებელთა ნაწილი თავს არ თვლიდა ვალდებულად აენაზღაურებინათ დასაქმებულის შვებულება, რადგან შრომის კოდექსში მსგავსი ჩანაწერი არ არსებობდა. დასაქმებული, კი რომელიც შეიძლება სულაც ვერ ერკვეოდა შრომის საერთაშორისო სტანდარტებში ვეღარ ბედავდა მოეთხოვა კუთვნილი ანაზღაურება (საჩალელი, 2012).

აღნიშნულის გარდა გატარდა ბევრი სხვა ცვლილება, რომელმაც საერთო ჯამში გაამარტივა შრომითი ურთიერთობები. მაგალითად, ახალი შრომის კოდექსი არ ავალდებულებდა დამსაქმებელს აეხსნა გადაწყვეტილება სამსახურში არ აყვანის თაობაზე, რის შედეგადაც შეუძლებელი ხდებოდა წინასახელშეკრულებო პერიოდში დისკრიმანციის ფაქტების აღრიცხვა. ამავდროულად, დამსაქმებელი

[7] აღნიშნული ინდექსი 3 ქვე-ინდექსის (სამსახურში აყვანის სირთულის, სამუშაო საათების რიგიდულობისა და სამსახურიდან დათხოვის სირთულის) საშუალო მაჩვენებელია

აღარ იყო ვალდებული აენაზღაურებინა ზეგანაკვეთური შრომა, რაც კიდევ უფრო ამცირებდა მის დანახარჯებს და საბოლოო ჯამში კიდევ უფრო ზრდიდა EDBI-ს მოქნილობის ინდიკატორს.

დასკვნა

სტატიაში გაანალიზებულია შრომის ბაზრის პოლიტიკის სფეროში მიმდინარე რეფორმები 2003-დან 2012 წლამდე. ამ პერიოდში დაწყებული ლიბერალიზაციის ძირითადი მიზეზები პოლიტიკური და იდეოლოგიურია და ნაკლებად ინსტიტუციონალური. აღნიშნულს, პირველ რიგში ის განაპირობებს, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ შრომის ბაზრის ინსტიტუტების კოპირება მოხდა, მაგრამ დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებით სადაც ისინი დეკადების მანძილზე ყალიბდებოდნენ, საქართველოში მათ ფეხის მოკიდება ვერ შეძლეს. შესაბამისად, სუსტმა ინსტიტუციურმა გარემომ ხელსაყრელი ნიადაგი შექმნა მემარჯვენე მთავრობისათვის რეფორმების გატარების კუთხით.

თავად, ლიბერალიზაციის პროცესი უმეტესწილად განსაზღვრული იყო სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენელთა იდეოლოგიური მოსაზრებებით. საერთაშორისო ორგანიზაციებმა ითამაშეს მნიშვნელოვანი, თუმცა არა გადამწყვეტი როლი აღნიშნულ პროცესებში. თუკი ამ სფეროში აქამდე გაბატონებულ მოსაზრებას დავუბრუნდებით საერთაშორისო აქტორების მიერ ნაკარნახები იდეები ხშირად წარმოჩენილია როგორც რეფორმების გატარებისათვის საჭირო "რეცეპტი", რომელსაც ეროვნული აქტორები უსიტყვოდ ემორჩილებიან და ასრულებენ. საქართველოს შემთხვევაში, იდეების გაზიარება ნამდვილად ხდებოდა და ამის კონკრეტული ინსტრუმენტი "ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსი" იყო. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულმა ინდექსმა უფრო მეტად მიმართულება მისცა სამთავრობო გუნდის მიერ გატარებულ რეფორმებს, და ის თავად არ წარმოადგენდა ცვლილების მთავარ მოტივატორს. მთავარი გამომწვევი მიზეზი ხელისუფლების "კოგნიტური იდეები" (Weishaupt, 2011) გახლდათ და მათი სურვილი მეტი ლიბერალიზაციით მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია მიეღოთ. EDBI ინდექსმა კი მათ აღნიშნული სურვილის განსახორციელებლად საჭირო ინსტრუმენტი მისცა.

აქვე აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო აქტორების მხარდაჭერა მთავრობის მიერ გამოყენებული იყო რადიკალური რეფორმების ლეგიტიმაციისათვის, რომელიც ხშირ შემთხვევაში მტკივნეული იყო მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით დასაქმებულებისათვის, რომელთა შრომითი უსაფრთხოება მნიშვნელოვნად შემცირდა შრომითი კანონმდებლობის ლიბერალიზაციისა და შრომის ინსტიტუტების გაუქმების შედეგად.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ბაზრის პოლიტიკის რეფორმა არ წარმოადგენდა სააკაშვილის ხელისუფლების მთავარ სამიზნეს. შრომის ბაზრის ინსტიტუტების გაუქმება უფრო მეტად იმის შედეგი იყო რომ სოციალურ პოლიტიკაში გატარებული სხვა რეფორმების ხარჯზე "დასაქმების" თემა გაირიყა სოციალური პოლიტიკის სფეროდან. მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემის ამოქმედებისათვის ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით საჭირო გახდა სოციალურ სფეროში არსებული ყველა დანარჩენი ინსტიტუტის თუ რეგულაციის თავიდან მოცილება, შრომის ბაზრის ინსტიტუტები კი სწორედ მათ რიგებში მოხვდა.

ბიბლიოგრაფია:

საჩალელი, ს. (2012). დამსაქმებლის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივი მოშლით გამოწვეული დავები. თბილისი.

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია. (2008). დასაქმების პროგრამები საქართველოში. თბილისი.

Alexandria, G. (2016). Director, Georgian Trade Union Confederation. (A. Diakonidze, Interviewer)

Beach, D., & Pedersen , B. (2013). *Process-Tracing Methods.* Michigan: The University of Michigan Press.

Beland, D. (2009). Ideas, Institutions and policy change. *Journal of European Public Policy , 16:5*, 701-718.

Blyth, M. (2002). *Great Transformations: Economic Ideas and Institutional Change in the Twentieth Century.* Cambridge and New York: Cambridge University Press.

Commission of the European Communities. (2009). *Implementation of the European Neighbourhood Policy in 2008. Progress Report Georgia.* Brussels: Commission of the European Communities.

Council of Europe. (2007). *1st National Report on the implementation of the European Social Charter.* Coundil of Europe.

Council of Europe. (2006). *European Social Charter, National report of the Government of Georgia.*

Deacon, B. (2000). Eastern European welfare states: the impact of the politics of globalization. *Journal of European Social Policy , 10* (2), 146-161.

Diakonidze, A. (2016). Superficial institutions and challenges of re-regulation in the Republic of Georgia. *Caucasus Survey , 4* (2), 149-164.

Djankov, S. (2016). Former senior economist at World Bank. (A. Diakonidze, Interviewer)

Esping-Andersen, G. (1990). *The Three Worlds of Welfare Capitalism.* New Jersey: Princeton University Press.

Haggard, S., & Kaufman, R. (1995). *The Political Economy of Democratic Transitions.* Princeton: Princeton University Press.

Hall, P., & Soskice, D. (2001). *Varieties of Capitalism: The Institutional Foundations of Comparative Advantage.* 2001: Oxford University Press.

Heinrich Boell Stiftung South Caucasus. (2013). *Discussion paper on Labour Code and Worker Movement.* Tbilisi.

Hsu, S. (2005). Advocacy coalitions and policy change on nuclear power utilization in Taiwan. *The Social Science Journal , 42*, 215-229.

Ivanidze, D. (2015, October 16). Former head of the Public Works program at the Public Employment Service. (A. Diakonidze, Interviewer) Tbilisi.

Lezhava, V. (2015). Former Advisor to the Prime Minister of Georgia . (A. Diakonidze, Interviewer)

Lubyova, M. (2009). *Labour Market Institutions and policies in the CIS: Post-transition outcomes.* Moscow: International Labour Organisation.

Megrelishvili, V. (2015). Former Deputy Minister for Labour, Health and Social Affairs. (A. Diakonidze, Interviewer)

Muskhelishvili, M. (2011). *Social Dialogue in Georgia.* Tbilisi: European Union & Friedrich-Ebert-Stiftung.

Orenstein A. Michelle, S. B. (2008). *Transnational Actors in Central and East European Transitions.* Pittsburg: University of Pittsburg Press.

Otiashvili, T. (2015). Chief advisor, Prime Ministers Economic Council. (A. Diakonidze, Interviewer)

Saakashvili, M., & Bendukidze, K. (2014). Georgia: The Most Radical Catch-up Reforms. In A. Aslund, & S. Djankov (Eds.), *The Great Rebirth: Lessons from the Victory of Capitalism over Communism.*

Sakvarelidze, R. (2015, November 17). Head of the department of Labour and Employment 2000-2004. (A. Diakonidze, Interviewer)

Schueth, S. (2015). Winning the rankings game: The Republic of Georgia, USAID, and the Doing Business Project. In A. Cooley, & J. Snyder (Eds.), *Grading States as a Tool of Global Governance* (pp. 151-177). Cambridge University Press.

Sturua, T. (2015). Former head of employement department, Social Service Agency. (A. Diakonidze, Interviewer)

The World Bank. (1993). *Georgia - A Blueprint for Reforms* . Washington D.C.: World Bank.

Weishaupt, J. (2011). *From the Manpower Revolution to the Activation Paradigm.* Amsterdam: Amsterdam University Press.

World Bank & International Financial Corporation. (2007). *Doing Business 2007: How to Reform.* Washington.

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი. №4, დეკემბერი, 2016

Journal of Young Researchers. No. 4, December, 2016

ზვავსაშიში რელიეფის ანალიზი და მოდელირება საქართველოს სამხედრო გზის გუდაური-კობის მონაკვეთის მაგალითზე

ნანა კვირკველია*

დოქტორანტი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარიამ ციცაგი, მერი გუგეშაშვილი

ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

თოვლის ზვავები ბუნების სტიქიურ პროცესებს შორის ერთ-ერთი საშიში მოვლენაა, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს და დიდ მატერიალურ ზარალს იწვევს. დასავლეთის ქვეყნებში შემუშავებულია მრავალფეროვანი მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც ხდება ზვავსაშიში რელიეფის და ზვავების, როგორც სტიქიური პროცესის მოდელირება. აღნიშნულ ნაშრომში მოხდა საქართველოს სამხედრო გზის – გუდაური-კობის მონაკვეთის ზვავსაშიში რელიეფის მოდელირება პროგრამა Arcgis 10.3.1-ში. ვინაიდან საკვლევი ტერიტორია ზვავების აქტიურობით გამოირჩევა, მოინიშნა ზვავსაშიში ადგილები და მოიხაზა მათი წარმოქმნის ალბათობის არეალები. მოდელირების შედეგებით განისაზღვრა ზვავის მოწყვეტის ალბათობის 4 კლასი – ძალიან მაღალიდან დაბალისკენ. აღნიშნული კვლევის სიზუსტე შედარებულ იქნა ამავე რეგიონში ფრანგი კოლეგების მიერ ჩატარებულ კვლევის შედეგებს.

საკვანძო სიტყვები: ზვავი, მთიანი რეგიონი, სამხედრო გზა, ზვავსაშიში რელიეფის მოდელირება

E-mail: nana.kvirkvelia@tsu.ge

Abstract

Snow avalanche is one of the most harmful natural hazards. Various methods have been developing for modeling avalanche hazard terrain and avalanche hazard as well by the western countries. The purpose of this paper is the analysis and modeling of snow avalanche terrain in ArcGIS 10.3.1 on Gudauri-Kobi section of the Military Road of Georgia. Study area which characterized by active snow avalanche has huge importance in country's economy. Four classes of avalanche tiger zones were identified as a results of our model. Accuracy assessment was made according to the results of the research held in the study area by our French colleagues.

Key words: Snow Avalanche, A Mountainous Region, The Military Road, Avalanche Terrain Modeling

შესავალი

ამა თუ იმ რეგიონის მდგრადი განვითარების შემაფერხებელ ფაქტორთა შორის არის ბუნებრივი სტიქიური პროცესებიც. საქართველო მთიანი ქვეყანაა და ხშირია ზვავები, მსხვერპლი და ზარალიც. აღნიშნული სტიქიური პროცესის შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ საავტომობილო მაგისტრალებზე, რომელიც დიდ როლს ასრულებს არა მარტო ქვეყნის ფარგლებში, არამედ საერთაშორისო მიმოსვლაშიც. სწორედ ასეთია მცხეთა-მთიანეთის რეგიონში არსებული საავტომობილო მაგისტრალი, რომელიც სამხედრო გზის სახელწოდებითაა ცნობილი (სურ. 1). ეს გზა ასრულებდა და დღესაც ასრულებს როგორც მცხეთა-მთიანეთის რეგიონისთვის, ასევე საქართველოსთვის სატრანზიტო, სავაჭრო-ეკონომიკურ, კულტურულ, ტურისტულ-რეკრეაციულ ფუნქციას. სწორედ ეს გზა აკავშირებს სამხრეთ კავკასიას ჩრდილოეთ კავკასიასთან და რუსეთთან. ამ გზის მნიშვნელობას კიდევ უფრო აძლიერებს გაზსადენი, რომელიც რუსეთიდან სამხედრო გზის გავლით სომხეთს მიეწოდება (კვირკველია, 2014). აღნიშნული გზის გასწვრივ, განსაკუთრებით კი კობი-გუდაურის მონაკვეთზე ხშირია ზვავების ჩამოსვლა, რომელიც სეზონზე დროებით აფერხებს მოძრაობას.



სურათი 1. საქართველოს სამხედრო გზის გუდაური-კობის მონაკვეთი

საქართველოს სამხედრო გზას ოდითგანვე დიდი ეკონომიკური და სამხედრო-სტარატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა ასეთი სახელწოდება მას მხოლოდ მე-19 საუკუნეში მიენიჭა. ადრეულ საუკუნეებში აქ იყო ძნელად სავალი ბილიკი, რომელიც კავკასიონის ქედის გადამკვეთ სხვა ბილიკებთან ერთად გარკვეულ როლს ასრულებდა ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებთან ურთიერთობის დამყარებაში. დარიალის ბილიკის არსებითი გაუმჯობესება დაიწყო მე-18 საუკუნის 70-ან წლებში, როცა დღის წესრიგში დადგა რუსეთის სამხედრო ნაწილების გადმოყვანა და სამხედრო ტექნიკის გადმოტანა ჩრდილოეთ კავკასიიდან

საქართველოში. მე-19 საუკუნიდან უმჯობესდებოდა გზის მშენებლობა და უკვე 1857 წელს დაიწყო ჯვრის უღელტეხის მშენებლობა, რაც დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული რთული ფიზიკურ-გეოგარფიული პირობების გამო. უკვე მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში სამხედრო გზის საუღელტეხილო უბანი, რომელიც 36 კმ-ს მოიცავდა, გადაიქცა ერთ-ერთ პირველხარისხოვან გზად რუსეთის იმპერიაში (კვერენჩხილაძე, 1981). გზა აშენდა, მაგრამ გადაუჭრელი დარჩა ზვავებისა და ნამქერის უბნის ჯვრის უღელტეხილისათვის გვერდის აქცევის პრობლემა. ეს პრობლემა გადაუწყვეტელია ფაქტიურად ამჟამადაც. აღნიშნული მიზეზების გამო გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა კვლევა ამ ტერიტორიაზე.

თოვლის ზვავები საქართველოს საშუალო და მაღალმთიანი ზონებისათვის არის დამახასიათებელი და დიდ მატერიალურ ზარალს იწვევს. ზვავების წარმოქმნასა და გავრცელებას ძირითადად განაპირობებს რელიეფის ზედაპირის დიდი დახრილობა, დანაწევრება, მცენარეული საფარისა და მეტეოროლოგიური ელემენტების თავისებურებანი. საქართველოს ტერიტორიაზე ზვავების რეჟიმზე შედარებით ხანგრძლივი სტაციონალური დაკვირვება მხოლოდ ჯვრის უღელტეხილის თოვლ-საზვავე სადგურზე ხდებოდა. მისი მონაცემებით ერთი და იგივე ზვავშემკრებიდან 18-20 ზვავის ჩამოსვლაა დაფიქსირებული. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რთული ზვავის კერების ციცაბო ფერდობებზე ახალმოსული თოვლის ზვავების მნიშვნელოვანი ნაწილი ზვავშემკრების ზედა ნაწილში ჩერდება ისე, რომ ვერ აღწევს საავტომობილო გზას (ქალდანი, 2003). საქართველოს ტერიტორიაზე თოვლის ზვავების განსაკუთრებული აქტივობა აღინიშნება 1970 წლიდან. კონკრეტულად, 1992 წლის თებერვალში კობი-ყაზბეგის საავტომობილო გზის მონაკვეთზე 15 ზვავი ჩამოწვა და 4 დღე-ღამე მოძრაობა შეწყდა. შესაბამისი სახელმწიფო სამსახურის მონაცემებით, 1996 წელს თოვლზვავი გუდაური-კობის მონაკვეთზე 149-ჯერ ჩამოწვა, რის შედეგადაც საავტომობილო გზა 42 დღის განმავლობაში დაიკეტა. იმავე წლის დეკემბერში, ,,თეთრი მთიდან“ (საქართველოს სამხედრო გზა) ჩამოწოლილ ზვავში 21 ადამიანი მოჰყვა. 1997 წელს გუდაური-კობის მონაკვეთზე თოვლზვავი 120-ჯერ ჩამოწვა, დაიღუპა 5 ადამიანი, საავტომობილო გზა დაკეტილი იყო 40 დღის განმავლობაში. 1998 წელს იმავე მონაკვეთზე ზვავი 54-ჯერ ჩამოწვა და 22 დღის განმავლობაში შეწყდა ტრანსპორტის მოძრაობა (საქართველოს გეგოგრაფია. ნაწილი I, 2000). მეტ-ნაკლები აქტიურობით ეს პროცესები აქ ყოველწლიურად მეორდება და მთელი ზამთრის განმავლობაში მოსახლეობას მუდმივად მიეწოდება ინფორმაცია არსებული ვითარების შესახებ[1].

მეთოდოლოგია

ზვავსაშიში რელიეფის მოდელირებისას გასათვალისწინებელია უამრავი პარამეტრი და უნდა აღინიშნოს, რომ რაც უფრო მრავალმხრივი და მრავალრიცხოვანია ეს პარამეტრები, შედეგიც უფრო ზუსტია (Biskupic & Barka, 2010). თუმცა ხშირად მათზე წვდომა ან ძალიან რთულია ან შეუძლებელი. პირველ რიგში აუცილებელია რელიეფის რაც შეიძლება მაღალი გარჩევადობის, ციფრული მოდელი (DEM), საიდანაც მივიღებთ ინფორმაციას რელიეფის იმ მახასიათებლების შესახებ, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს ზვავების ფორმირებას, მაგალითად ჰიფსომეტრია, ფერდობების დახრილობა და ექსპოზიცია. რელიეფის გარდა აუცილებელია ინფორმაცია ქვეფენილ ზედაპირზე, კერძოდ მცენარეული საფარის შესახებ (Selcuk, 2013). მიმდინარე კვლევისას, დასახული მიზნის მისაღწევად გამოვიყენეთ მოდელი, რომელშიც განთავსდა ზემოთხსენებული პარამეტრები (Ingold, 2013). მოქმედებები შესრულდა

[1] http://www.georoad.ge/?lang=geo&act=gallery&func=menu&pid=&type=2

პროგრამა Arcgis 10.3.1-ში ASTER-ის 30 მ გარჩევადობის რელიეფის ციფრულ მოდელზე[2]. თავდაპირველად გაკეთდა რეგიონის რელიეფის მორფომეტრიული ანალიზი. კერძოდ, გამოიყო რელიეფის ცალკეული ჰიფსომეტრიული საფეხურები, გამოთვლილ იქნა ფერდობების დახრილობა გრადუსებში და განისაზღვრა ფერდობების ექსპოზიცია. ასევე განისაზღვრა ზედაპირის უსწორმასწორობები, ამისათვის გამოყოფილ იქნა ფერდობების დადებითი და უარყოფითი ფორმები. რაც შეეხება მცენარეულ საფარს, მასზე ინფორმაცია მიღებულ იქნა Landsat 8 OLI-ს კოსმოსური სურათის კომპიუტერული დეშიფრირებით პროგრამა Arcgis 10.3.1-ში (სურ. 2).

სურათი 2. საკვლევი ტერიტორია Landsat 8 OLI-ს კოსმოსურ სურათზე

შემდეგ ეტაპზე, ანალიზისას მიღებული თითოეული რასტრული ფენა დაყოფილ იქნა ცალკეულ კლასებად და მიენიჭა რიცხვითი მნიშვნელობები, რის შედეგადაც მიღებულ იქნა სათანადო ფაქტორები, რომლებიც აღინიშნა ლათინური ასოებით (გუგეშაშვილი, 2016). უფრო დეტალურად, რელიეფის ჰიფსომეტრიულ საფეხურებს ზვავწარმოქმნის საშიშროების მიხედვით მიენიჭა განსხვავებული რიცხვითი მნიშვნელობები (ცხრ. 1). იგივე განმეორდა ზედაპირის დადებითი და უარყოფითი ფორმების შემთხვევაშიც. ფერდობების დახრილობის შემთხვევაშიც, ყველაზე მაღალი მნიშვნელობა მივანიჭეთ 35-45° დახრილ ფერდობებს, როგორც ზვავის წარმოქმნისათვის ყველაზე ხელსაყრელ პირობას (ცხრ.2). ამავე ცხრილშია მოცემული ფერდობების ექსპოზიციისა და მცენარეული საფარის შესაბამის ფაქტორთა მნიშვნელობები.

ცხრილი 1. ზვავის მოწყვეტის ზონების გამოყოფისას გამოყენებული ფაქტორები

სიმაღლე (მ)	H ფაქტორი	ზედაპირის უსწორმასწორობანი (პროფილი)	Pl ფაქტორი	ზედაპირის უსწორმასწორობანი (სქემატური)	Pf ფაქტორი
< -1700	1	(-5)-(-0.2)	1	(-7)-(-0.5)	0.5
1700-1950	2	(-0.2)-0.2	1	(-0.5)-(-0.2)	1
1950-2200	0.5	0.2-0.5	1	(-0.2)-0.2	1
2200->	0.1	0.5-5	0.5	0.2-6	1

ცხრილი 2. ზვავის მოწყვეტის ზონების გამოყოფისას გამოყენებული ფაქტორები

ფერდობების დახრილობა	S ფაქტორი	ფერდობების ექსპოზიცია	Ex ფაქტორი	მცენარეული საფარი	V ფაქტორი
0-10	0	ვაკე	0	მეჩხერი ტყე	1.5
10-19	0.4	N	0.8	ბალახი, მცირე ზომის ნაშალი	2.8
19-25	0.8	NE	0.5		

[2] ჩვენ არ გვქონდა წვდომა უფრო მაღალი გარჩევადობის რელიეფის ციფრულ მოდელზე.

25-30	1.2	E	0.7	მასალა	
30-35	1.6	SE	1.5	ბალახი, ალაგ-ალაგ შიშველი კლდეები	3
35-45	2	S	2		
45-50	1.6	SW	1		
50-55	1.2	W	1.7		
55-60	0.8	NW	0.4		
60-70	0.4				

დასკვნით ეტაპზე ზემოხსენებული ყველა ფაქტორი განთავსდა ერთ ფორმულაში, საიდანაც მივიღეთ საბოლოო რიცხვითი მნიშვნელობა:

Av=(H+Ex+Pf+Pl)*S*V (1)

სადაც Av არის ზვავის მოწყვეტის საშიშროების ზონები, H-ჰიფსომეტრიული ფაქტორი (სურ.3.ა), Ex-ექსპოზიციის გავლენის ფაქტორი (სურ.3.ბ), Pf-ფერდობთა ფორმის გავლენა (პროფილი) (სურ.3.გ), Pl-ფერდობთა ფორმის გავლენა (სქემატური) (სურ.3.დ), S-ფერდობების დახრილობის ფაქტორი (სურ.3.ე), V-მცენარეული საფარის ფაქტორი (სურ.3.ვ).

სურათი 3. ზვავსაშიში რელიეფის მოდელირებული ფაქტორები

ა)



ბ)





ცხრილი 3. ზვავის მოწყვეტის საფრთხე

Av ფაქტორი	ზვავის მოწყვეტის საფრთხე
0-15	დაბალი
15-22.5	საშუალო
22.5-30	მაღალი
30-36	ძალიან მაღალი

მიღებული შედეგების თანახმად, მაქსიმალური მნიშვნელობა იყო 36, რაც ზვავის წარმოქმნის ყველაზე მაღალ საშიშროებაზე მიუთითებს, ხოლო მინიმალური – 0. გამოთვლის შედეგად მიღებული მნიშვნელობები გადანაწილდა შემდეგნაირად (ცხრ. 3). მიღებული შედეგების სივრცული გამოისახულება იხილეთ (სურ.1.8)-ზე.


ზვავის მოწყვეტის ზონა
N
ფერდობის
0 - 15
15 - 22.5
22.5 - 30
30 - 36
0 650 1,300 2,600 3,900 5,200
მ

შედეგები

კვლევის პირველ ეტაპზე რელიეფის მორფომეტრიულმა ანალიზმა საინტერესო შედეგები მოგვცა. საკვლევ ტერიტორიაზე რელიეფის ჰიფსომეტრიული საფეხურებიდან ყველაზე მეტი უკავია 2200 მ-ზე მაღალ სიმაღლეებს – 80.03%, ხოლო ყველაზე ნაკლები (0.62%) წარმოდგენს 1700 მ-მდე საფეხურს (გრაფიკი 1).



გრაფიკი 1. რელიეფის ჰიფსომეტრიული საფეხურების პროცენტული განაწილება

ფერდობების დახრილობის ანალიზმა კი აჩვენა, რომ ყველაზე მეტი ფართობი 22.19% უკავია 35-45° დახრილობის მქონე ფერდობებს. როგორც ცნობილია, სწორედ 35-45° დახრილობის ფერდობები მიიჩნევა ზვავის წარმოქმნისათვის ყველაზე ხელსაყრელ პირობად. ყველაზე ნაკლები – 0.03% უკავია 60°-ზე მეტად დახრილ ფერდობებს, სადაც თოვლის დაგროვება და ზვავების წარმოქმნა პრაქტიკულად არ ხდება (გრაფიკი 2).



გრაფიკი 2. ფერდობების დახრილობების პროცენტული განაწილება

რაც შეეხება ზვავების წარმოქმნის ხელშემწყობ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს – ფერდობების ექსპოზიციას, ჩვენს შემთხვევაში ყველაზე მეტი 17.12% უჭირავს სამხრეთ-დასავლეთ ექსპოზიციის მქონე ფერდობებს, ხოლო ყველაზე მცირე – 0.01% ლოგიკურად სწორ ზედაპირებს (გრაფიკი 3).



გრაფიკი 3. ფერდობების ექსპოზიციის პროცენტული განაწილება

რელიეფის მორფომეტრიული ანალიზი თვალნათლივ მიგვანიშნებს საკვლევი რეგიონის რელიეფის მრავალფეროვნებასა და სირთულეზე, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ზვავების წარმოქმნას. მოდელირების დასასრულს მიღებული შედეგების ანალიზით ირკვევა, რომ რეგიონში ტერიტორიის დიდი

ნაწილი მოქცეულია დაბალი და საშუალო ზვავსაშიშროების ზონაში (გრაფიკი 4).



გრაფიკი 4. ტერიტორიის განაწილება ზვავსაშიშროების მიხედვით

ჩვენ მიერ მიღებული კვლევის შედეგების სიზუსტე შედარებულ იქნა ამავე რეგიონში ფრანგი კოლეგების მიერ ჩატარებულ კვლევის შედეგად მიღებულ ზვავების კადასტრის მონაცემებს.



სურათი 4. ზვავის მოწყვეტის ზონები და ზვავშემკრებები

სურათი 5-დან ჩანს, რომ ჩვენს მიერ გამოყენებული მეთოდით მიღებულია კარგი შედეგები, რაც მეტ-ნაკლებად ემთხვევა რეალურ სურათს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ აღნიშნული კადასტრი შესრულდა მაღალი გარჩევადობის რელიეფის ციფრულ მოდელზე, სპეციალურად ზვავების მოდელირებისათვის შექმნილ ძვირადღირებულ პროგრამა RAMS-ში, მაშინ იმედი გვეძლევა, რომ სამომავლო დეტალური კვლევისა და დახვეწის პირობებში, თამამად შეგვიძლია ამ მოდელის გამოყენება საქართველოს იმ მთიანი რეგიონების ზვავსაშიში კერების კვლევისას, სადაც სტაციონალური დაკვირვებები დღემდე არ ხდება.

დასკვნა

ნებისმიერი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას განაპირობებს მისი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა. ამ შემთხვევაში მცხეთა-ჭთიანეთის მოხერხებულ სატრანსპორტო-გეოგრაფიულ მდებარეობას განსაზღვრავს აქ არსებული სახმელეთო სატრანსპორტო მაგისტრალი – საქართველოს სამხედრო გზა. რეგიონის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მნიშვნელობა დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სტაბილურად ფუნქციონირებს ეს გზა. როგორც ცნობილია რეგიონი ხასიათდება მაღალი ჰიფსომეტრიულობით და საკმაოდ მკაცრი ბუნებრივი პირობებით. თოვლ-ზვავების სიმრავლის გამო ზამთარში ხშირია შეფერხებები. აქედან გამომდინარე, საჭიროა აღნიშნული მხარის მუდმივი მონიტორინგი და პროგნოზი. ბუნების სტიქიური პროცესების, განსაკუთრებით ზვავების, კვლევის თანამედროვე მეთოდებით შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საბუნებისმეტყველო, არამედ სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებითაც. ნაშრომში ზვავსაშიში რელიეფის მოდელირების მეთოდით გამოიყო აღნიშნული გზის – გუდაური-კობის მონაკვეთის ზვავსაშიშროების ზონები პროგრამა Arcgis 10.3.1-ში. შედეგად განისაზღვრა ზვავის წარმოქმნის მაღალი, საშუალო და დაბალი ალბათობის კერები. მიღებული შედეგები გათვალისწინებული უნდა იქნეს რეგიონის მდგრადი განვითარების პრობლემების შესწავლისას.

ბიბლიოგრაფია:

გუგეშაშვილი, მ. (2016). *ზვავსაშიში რელიეფის გეოეკოლოგიური შეფასება და GIS ანალიზი (რაჭის მაგალითზე). სამაგისტრო ნაშრომი.* თბილისი: თსუ.

კვერენჩხილაძე, რ. (1981). სატრანსპორტო მეურნეობა. *საქართველოს აღმოსავლეთ-ცენტრალური ეკონომიკური რაიონი* (155-165). თბილისი: მეცნიერება.

კვირკველია, ნ. (2014). ხევის მდგრადი განვითარების გეოგრაფიული პრობლემები. *ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომათა კრებული 6(85)*, 58-63.

საქართველოს გეგოგრაფია. ნაწილი I. (2000). თბილისი: მეცნიერება.

ქალდანი, ლ. (2003). *ზვავსაშიშროების შეფასება და ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებები (საქართველოს მაგალითზე).დისერტაცია.* თბილისი.

Biskupic, M., & Barka, I. (2010). Spatial Modelling of Snow avalanche Run-outs Using GIS. *GIS Ostrava*, 22-27.

Ingold, K. F. (2013). *Remote Analysis Of Avalanche Terrain Features: Identifying Routes, Avoiding Hazards. Master Thesis.*

Selcuk, L. (2013). An avalanche hazard model for Bitlis Province, Turkey, using GIS based multicriteria decision analysis. *Turkish Journal of Earth Sciences*, 523-535.

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი. №4, დეკემბერი, 2016

Journal of Young Researchers. No. 4, December, 2016

საგაზეთო ფოტოს სემიოტიკური ანალიზი
(თანამედროვე ქართული ბეჭდვითი მედიის მაგალითზე)

თინათინ მაჭარაშვილი*

დოქტორანტი, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

ჩვენი საკვლევი თემა - „საგაზეთო ფოტოს სემიოტიკური ანალიზი (თანამედროვე ქართული ბეჭდვითი მედიის მაგალითზე)“, ემპირიულ ბაზად მოიაზრებს 2012-2014 წლების ქართულ პრესას, კერძოდ, შემდეგ ჟურნალ-გაზეთებს: „კვირის პალიტრა“, „პრაიმ თაიმი“, „ტაბულა“, „ლიბერალი“. აღნიშნული გაზეთები შემდეგი კრიტერიუმებით შევარჩიეთ: ამ გამოცემების მაღალი ტირაჟით, სტაბილურობითა და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გავრცელებით; კომუნიკაციის განსხვავებული ფუნქციითა და მიზნით; სარედაქციო დამოუკიდებლობის სხვადასხვა ხარისხით; გამომსახველობითი საშუალებების სიჭარბით.

კვლევის მიზანია, შეისწავლოს თანამედროვე ქართული ბეჭდვითი მედიის მიერ გამოქვეყნებული ფოტოების თავისებურებანი სემიოტიკურ ანალიზზე დაყრდნობით, ამასთან, ისტორიულ-პოლიტიკურ, კულტურულ და სოციალურ კონტექსტთა გათვალისწინებით.

ჩვენ მიერ დაგეგმილი კვლევა ორიენტირებულია, დაადგინოს, აღნიშნული მედიასაშუალებების მიერ ინფორმაციის საილუსტრაციოდ გამოყენებული ფოტოები რა თანხვედრაშია ვერბალურ შემადგენელთან, რამდენად ზუსტად გადმოსცემს სათქმელს, შეიცავს თუ არა გარკვეულ ქვეტექსტსა და მინიშნებებს, რამდენად სიმბოლოზებულია ვიზუალური მასალა, გამოხატავს თუ არა სტატიის ავტორის პოზიციას და ზოგადად, სარედაქციო პოლიტიკას.

ვფიქრობთ, ჩატარებული კვლევა, რომლის აქტუალობა აიხსნება ბეჭდვით მედიაში ვიზუალური ინფორმაციის მომძლავრებით, საგულისხმო იქნება აღნიშნული თემატიკით დაინტერესებული სპეციალისტებისთვის.

*E-mail: Thinathin2002@yahoo.fr

საკვანძო სიტყვები: საგაზეთო ფოტო, არავერბალური მედიაკოდი, სემიოტიკური ანალიზი, კონოტაცია, იმპლიციტური ინფორმაცია.

Abstract

The study refers to the semiotic analysis of newspaper's photos. The empirical basis include the Georgian press in 2012-2014, in particular, the following newspapers: "Kviris Palitra", "Prime Time", "Tabula, "Liberal". For the study period we choose politically active years. The newspapers have selected by the following criteria: high-circulation and stability of publications, extending over the entire territory; Communication by different functions and purposes; Varying degrees of independence; Abundance of expressive means.

The research aims to study the photos published in the modern Georgian press according to semiotic analysis, at the same time, based on historical, political, cultural and social contexts.

Our planned exploration work focused on finding how the media information is illustrate by photos, how visual material is symbolized, the illustration express or not the author's position and, in general, the editorial policy.

We believe that the research, which is explained by the increasing of the visual information in the press, will be considerably interesting for the specialists.

Key words: newspaper photos, nonverbal media message, semiotic analysis, connotation, implicit information.

შესავალი

ინფორმაციის ვიზუალიზების თავისებურებები

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ წარმოშვა ვიზუალური კულტურის ეპოქა, რომელშიც ვერბალურ ინფორმაციაზე დიდი მნიშვნელობა ვიზუალურ ინფორმაციას ენიჭება, ამიტომ ეს უკანასკნელი აქტიურად იპყრობს ბეჭდვით მედიას, სადაც მომრავლდა კრეოლიზებული ტექსტები. 1990 წელს მეცნიერებმა - ი. ა. სოროკინმა და ე. ფ. ტარასოვმა გამოიყენეს ტერმინი - "კრეოლიზებული ტექსტები", რაც აღნიშნავდა ორი არაჰომოგენური ნაწილისგან (ვერბალური და იკონური გამომსახველობითი საშუალებებისგან) შემდგარ ტექსტს. გამოსახულებისა და ტექსტის ერთიან კონტექსტში განხილვისთვის დავიმოწმებთ მ. შამილიშვილის ნაშრომს "ზურაბ ქარუმიძის კრეოლიზებული მედიატექსტები". გამოყოფენ ნაწილობრივ ან მთლიანად კრეოლიზებულ ტექსტებს. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი ტექსტები, რომელშიც ვერბალური ნაწილი ავტონომიურია, ხოლო გამომსახველობითი ელემენტები მასზე დაქვემდებარებული. ასეთი ავტოსემანტიკური ურთიერთობა ვერბალურ და იკონურ კომპონენტებს შორის გვხვდება საგაზეთო, სამეცნიერო-პოპულარულ და ლიტერატურულ ტექსტებში, ხოლო ინსემანტიკური - გამოსახულებისა და ვერბალური ტექსტის სრული

შერწყმა - რეკლამაში, სამეცნიეროდა სამეცნიერო-ტექნიკურ ტექსტებში (შამილიშვილი,2014).

ინფრმაციის ვიზუალიზებისათვის მრავალ საშუალებას მიმართავენ, როგორიც არის ფოტო, კარიკატურა, დიაგრამა, ცხრილი, ზოგადად დიზაინის ის ხერხები, სტატიების გასაფორმებლად რომ გამოიყენებენ - ფერები, გრაფიკა, ფონტები, შრიფტი, ცარიელი სივრცე. აღნიშნული გამოსახულებები მხოლოდ მკითხველისთვის თვალისმოსაჭრელად რომ არ არის გამიზნული, ამაზე მეცნიერები დიდი ხანია, შეთანხმდნენ. ისინი, როგორც სიმბოლური მნიშვნელობის მატარებლები, რა თქმა უნდა, შეიცავენ ქვეტექსტებსა და იმპლიციტურ ინფორმაციას.

ფოტო - ინფორმაციის ვიზუალიზების ძირითადი საშუალება

მედიაში ყველაზე ფართოდაა გამოყენებული ნარატიული ანუ ვერბალური კოდი, განსაკუთრებით, ბეჭდვით მედიაში, სადაც ახალი ამბები წარმოდგენილია კონკრეტული ინფორმაციის თხრობით. თუმცა, თანამედროვე ჟურნალ-გაზეთებში არავერბალურ კოდს - ფოტოს, ილუსტრაციებსა და ვიზუალურ რეკლამას - იმდენად დიდი ადგილი ეთმობა, რომ ასეთი მიდგომა საკითხისადმი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ბიგნელმა ნაშრომში: „Media Semiotics"(2002) შემოგვთავაზა საგაზეთო ახალი ამბების განმარტება, რომელშიც კარგად არის ასახული თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებით განპირობებული სიახლე. ის წერს, რომ დღეს საგაზეთო ახალი ამბები არ არის მხოლოდ მოვლენებისა და ფაქტების ჩამონათვალი, არამედ კონკრეტული ფაქტის რეპრეზენტაციაა ენისა და/ან სხვა ნიშნების, მაგალითად, ფოტოსურათების საშუალებით.

ფოტო ინფორმაციის ვიზუალიზების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სახეა, ამიტომ მოიკიდა ასე მყარად ფეხი ჟურნალისტიკაში და ცალკე მიმდინარეობადაც - ფოტოჟურნალისტიკად ჩამოყალიბდა.

„დღევანდელი ფოტოჟურნალისტიკა სარეკლამო ფოტოგრაფიის ტექნიკას სესხულობს აბსტრაქტულ იდეებზე დამყარებული აზრის ილუსტრირებისთვის", - წერს კ. კოუბრე ნაშრომში „ფოტოჟურნალისტიკა, პროფესიული მიდგომა" (2005, 172) და მას სარედაქციო ილუსტრაციას უწოდებს, რაც ბეჭდვით მედიაში ახალმა ტენდენციამ - ფაქტის აღწერიდან ანალიზზე გადასვლამ წარმოშვა. ჟურნალისტურ გამომსახველობაში მომხდარმა ცვლილებამ სარედაქციო კონცეფციის ილუსტრირებისას იდეის ვიზუალიზებისთვის ვიზუალური მეტაფორები შექმნა. ვიზუალური მეტაფორა გულისხმობს ერთი საგნის მეორეთი შეცვლას, რათა აჩვენოს მათ შორის მსგავსება. ავტორს მაგალითად მოყავს ქვიშის საათი, რომლის ქვედა ნაწილში მეტი ქვიშაა, რაც მნახველს მიახვედრებს, რომ ეს საგანი მოხუცებულობას, ანუ ძალის, ენერგიისა და წლების ხარჯვას გამოსახავს.

კ. კოუბრეს მიერ ვიზუალური მეტაფორების განხილულ მაგალითებს შორის უნდა გამოვყოთ უილიამ დუკმას მიერ ჟურნალ „თაიმისთვის" საშიშროების მეტაფორად გამოყენებული ილუსტრაცია. ორ კომპიუტერს შორის გაჭიმულ გაცვეთილ თოკზე ჯამბაზივით გადის ბიზნესმენი, რომელსაც წონასწორობის დასაცავად ხელში უჭირავს ჯოხი, ერთ ბოლოზე დოლარის სიმბოლოჩამოკიდებული. თოკზე გავლის სხვა

მსურველებმა მარცხი განიცადეს და ჩამოცვივდნენ. აღწერილი ვიზუალური მეტაფორით გადმოცემულია ბირჟის სპეკულიანტების მცდელობა, რომ კომპიუტერის საშუალებით იწინასწარმეტყველონ რამდენიმე წამის ან წუთის განმავლობაში აქციებზე ფასების მკვეთრი ცვლილება. ამ წინასწარგანჭვრეტილ ფასებზე დაყრდნობით განახორციელონ საბირჟო სპეკულაციები, რაც გამდიდრებას პირდება, თუმცა, არც თუ იშვიათად, ყველაფერი პირიქით ხდება და ერთი შეხედვით საქმის კარგად მცოდნე მაკლერები კოტრდებიან (კოუბრე, 2005, 181). ამრიგად, უ. დუკმამ საშიშროების მეტაფორად გამოიყენა ჯამბაზივით თოკზე სიარული.

უნდა აღინიშნოს, რომ ბეჭდვითი მედიისთვის არავერბალურ კოდებს შორის ყველაზე დამახასიათებელი კოდია ფოტო, რომლის ძირითადი ფუნქციის განმარტების მიზნით დავიმოწმებთ რ. დოლიძისა და მ. რუსეიშვილის ნაშრომს „სემიოტიკა და მასმედია“ (2009). ავტორები მიიჩნევენ, რომ ფოტოსურათი, რომელიც აქტუალურობითა და რეალობის კონოტაციით ხასიათდება, ასახავს სინამდვილეს, ხოლო მისი პრაგმატული ფუნქცია მკითხველის ყურადღების მიპყრობაა. მკვლევართა აზრით, ინფორმაციის აღქმის პროცესზე მნიშვნელოვნად მოქმედებს ლინგვისტური და ვიზუალური კონოტაციური კოდები, რადგან მკითხველის მიერ ჟურნალ-გაზეთებით გადმოცემული ამბავი აღიქმება ფრეიმებით, რომლებიც კოდირდება ჟურნალისტის მიერ და დეკოდირდება რეციპიენტის მიერ მისი ინტელექტის, ინტერესების, სოციალური მდგომარეობისა და იდეოლოგიური შეხედულებების საფუძველზე (დოლიძე, რუსეიშვილი, 2009, 26-27).

ფოტოს მნიშვნელობის დეკოდირების ყველაზე ცნობილი მაგალითი რ. ბარტის მიერ განხილული „Paris Match“-ის (1955) გარეკანია, რომელსაც მისი ნაშრომის, „მითი დღეს“, ერთ-ერთ თავში - „მითი, როგორც სემიოლოგიური სისტემა“ (2011, 185-191) მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ფრანგ სემიოლოგს საპარიკმახეროში მიაწოდეს „Paris Match“-ის ნომერი, რომლის გარეკანზე გამოსახული ახალგაზრდა შავკანიანი მამაკაცი, ფრანგულ სამხედრო ფორმაში, სამხედრო სალამს იძლევა. მისი მზერა მიმართულია ზევით, უეჭველად სამფეროვანი დროშისკენ. აი, რას წერს მკვლევარი ფოტოს აზრის შესახებ: „ნაივური თუ კრიტიკული აზრის განხილვისას, სრულიად ნათელია, თუ რას ნიშნავს ის ჩემთვის: ეს ნიშნავს, რომ საფრანგეთი არის დიდი იმპერია, მისი შვილები განურჩევლად ფერისა, ერთგულად ემსახურებიან მას თავისი დროშის ქვეშ და ეს არის საუკეთესო პასუხი ე.წ. კოლონიალიზმის დამძრახველთა მიმართ - „როგორი მონდომებით ემსახურება შავკანიანი თავის მჩაგვრელებს“ (ბარტი, 2011, 191). ვიდრე უშუალოდ ამ ფოტოს მითოლოგიურ ანალიზზე გადავიდოდეთ, როგორც ავტორი აღნიშნავს, უპრიანი იქნება, შევთანხმდეთ ტერმინოლოგიაზე, რომელიც მან შემდეგ სქემაზე დაყრდნობით, დასახელებულ ნაშრომში წარმოადგინა:

ცხრილი 1



ცხრილში (ბარტი, 2011, 189) მოცემულია ფოტოს „ამოხსნისთვის“ სქემა, რომელიც შვეიცარიელი სტრუქტურალისტის, ფერდინანდ დე სოსიურის ლინგვისტურ მოდელს ემყარება. არაბული რიცხვებით აღნიშნულია ლინგვისტური სემიოლოგიური სისტემა, რომელშიც აღმნიშვნელისა და აღსანიშნის ერთობლიობა ქმნის ნიშანს, ჯაჭვის ბოლო წევრს. ხოლო რომაული რიცხვებით გადმოცემულია მითი, მეორე სემიოლიური სისტემა, რომელშიც ლინგვისტური სისტემის ბოლო წევრით - ნიშნით - იწყება ახალი სისტემა. მითის თვალსაზრისით, ავტორი აღმნიშვნელს უწოდებს ფორმას, რადგან ის იგივეა, რაც, ლინგვისტური თვალსაზრისით, აზრი, რომელიც არის სახის და ცნების ერთიანი ასოციაციის შედეგი. ბარტი აღსანიშნს ცნებას უწოდებს, ხოლო ნიშანს _ მნიშვნელობას.

ახლა შეგვიძლია, გავეცნოთ „Paris Match“-ის გარეკანის ფოტოს, როგორც მითის, ბარტისეულ ანალიზს. მითის ახსნა იწყება ლინგვისტური სისტემის ბოლო წევრიდან ანუ ნიშნიდან - შავკანიანი ჯარისკაცი ფრანგულ დროშას სამხედრო სალამს აძლევს, რომლის აღსანიშნი ანუ ცნება გამოხატავს ფრანგობისა და გასამხედროების მიზანმიმართულ ნაზავს, ხოლო ნიშანი, ანუ მნიშვნელობა, რაც მითმა შეიძინა არის „Paris Match“-ის მცდელობა, შექმნას ფრანგული იმპერიალიზმის დადებითი იერსახე.

უნდა აღინიშნოს, რომ ფერდინანდ დე სოსიურის მიხედვით, მნიშვნელობა, ანუ ლინგვისტური სისტემის ბოლო წევრი, ნიშანი არის შერჩევისა და შერწყმის ურთიერთქმედების შედეგი. ხოლო ნიშნებით გადმოცემული სამყაროს გააზრება აუცილებლად დამოკიდებილია კულტურაზე, რომელშიც ვცხოვრობთ.

ფრანგი ანთროპოლოგი კლოდ ლევისტროსიც თავის ნაშრომებში „პრიმიტიული“ მითის ანალიზის დროს ემყარება შვეიცარიელი სტრუქტურალისტის ლინგვისტურ მოდელს და ამტკიცებს, რომ მითი ენის მსგავსად მოქმედებს, ამიტომ ცდილობს აღმოაჩინოს ის წესები, რაც მითს საშუალებას აძლევს შეიძინოს მნიშვნელობა. ლევისტროსი ამტკიცებს, რომ მითები დალაგებულია „ბინარული დაპირისპირების“ პრინციპით, მაშასადამე, მნიშვნელობა წარმოიქმნება სამყაროს ერთმანეთის გამომრიცხავ კატეგორიებად დაყოფით. ფრანგი ანთროპოლოგი ასკვნის, რომ ურთიერთშეპირისპირებების პრინციპზე აგებული მითიური აზრი ვითარდება წინააღმდეგობების გაცნობიერებიდან მათ გადაწყვეტამდე. აქედან გამომდინარე, მითის სოციალურ-კულტურულ ფუნქციად მიიჩნევს საზოგადოების პრობლემებისა და დაპირისპირებების გადაწყვეტას, ხოლო მიზნად - იმ

ლოგიკური მოდელის შექმნას, რომელიც გადალახავს დაპირისპირებას.

მითის აღქმაში, როგორც რ. ბარტი „ფოტოგრაფიულ გზავნილში“ (1974) წერს, მნიშვნელოვან როლს თამაშობს პუბლიკაციის კონტექსტი. დავუბრუნდეთ კვლავ „Paris Match“-ის გარეკანის ფოტოს, რომელიც სოციალისტური ჟურნალის ყდაზე ირონიულად განწყობილი მკითხველის მიერ ფრანგული იმპერიალიზმის დადებითი სახის ნაცვლად, იმპერიული ექსპლუატაციის ნიშნად იქნებოდა აღქმული, რაც განპირობებულია საფრანგეთის ვიეტნამში (1946) დამარცხებისა და ალჟირში მარცხის (1954) ისტორიული კონტექსტებით.

კრისტიან მეცი სტატიაში “ანალოგიის მიღმა, სახე“ („Au–delà de l’analogie, l’image“) წერს, რომ ვიზუალური სახე არ ქმნის თავის თავში ჩაკეტილ და ავტონომიურ იმპერიას, ერთგვარ დახურულ სამყაროს. პირიქით, მის მნიშვნელობას სწორედ გარშემომყოფი ელემენტები განსაზღვრავს, ამიტომაც არავერბალური კოდი მუდმივად იქნება სიტყვათა თამაშის და საერთოდ ყველა იმ სიახლის მსხვერპლი, რაც მოცემულ სოციუმში ქმნის ნიშნის მნიშვნელობას (მეცი, 1970). კიდევ ერთი მტკიცებულება იმისა, რომ ერთი და იგივე ნიშანი, ვერბალური თუ არავერბალური, სხვადასხვა დროსა და სივრცეში სხვადასხვანაირად იქნება გაგებული და აღქმული.

ფოტოს ანალიზის კუთხით, აუცილებლად უნდა დავასახელოთ რ. ბარტის კიდევ ერთი წიგნი - „ნათელი ოთახი, შენიშვნა ფოტოგრაფიაზე“, რომელიც მან 1980 წელს გამოაქვეყნა. ელიზეო ვერონი, ბარტის ერთ-ერთი სტუდენტი, ნაშრომში „სემიოტიკური სახიდან დისკურსულობამდე“ (1994) განიხილავს ფრანგი სემიოლოგის წიგნს და წერს, რომ ტერმინი ფოტოგრაფია, რომელიც წიგნში ყველგან დიდი ასოთია დაწყებული, აღნიშნავს ტექნოლოგიას, ტექნიკური წყაროს იდენტიფიკაცია კი არ არის საკმარისი მისი დისკურსული ანალიზისთვის. კრიტიკოსი წიგნში განხილულ ფოტოებს სამ ძირითად ჯგუფად ყოფს: ფოტოხელოვნების ნიმუშები (ბარტის კომენტარები ფოტოხელოვანის, ნადარის ფოტოებზე), პირადი ფოტოები (მოყვარულთა ფოტოებისა და ოჯახის ფოტოალბომის განხილვა), რეპორტაჟის ფოტოები (Paris-Match-იდან აღებული ფოტოები). ბარტი მიიჩნევდა, რომ ფოტოგრაფიის ძირითადი დანიშნულება არ არის არც ხელოვნება და არც კომუნიკაცია, არამედ მინიშნება. ხოლო ეს მინიშნება განისაზღვრება არა სივრცით, არამედ დროით. „ისეთი რეალისტები, როგორიც მე ვარ, ფოტოს არ აღიქვამენ როგორც რეალობის ამსახველს, არამედ როგორც წარსული რეალობის გამოხატულებას. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ფოტო დროის კონსტატაციაა და არა საგნის“ (ბარტი, 1980, 138). ბარტი ამ დასკვნამდე ოჯახური ფოტოების ანალიზით მივიდა.

ე. ვერონი კი „პრესის ფოტოს“ სემიოტიკური ანალიზისას, მნიშვნელობას ანიჭებს დროის იმ მონაკვეთს, როდესაც ფოტო პრესის საშუალებით პირველად იყო გავრცელებული, რადგან ჟურნალგაზეთებში ვხვდებით ძირითადად სამი ტიპის ფოტოს. პირველ კატეგორიას მიეკუთვნება ისეთი ფოტო, რომელიც მის გავრცელებამდე რამდენიმე საათის ან მაქსიმუმ რამდენიმე დღის წინ მომხდარ მოვლენას ასახავს; მეორე კატეგორიას - პიროვნების „საიდენტიფიკაციოდ“ გამოყენებული ფოტო,

რომელიც არავინ იცის, როდის არის გადაღებული, ხოლო მესამეს - არქივიდან ამოღებული ფოტო, რომელზეც ნათლად არის მითითებული წყარო.

განვიხილოთ ფერთა გამაც. კ. კოუბრე აღნიშნავს, რომ თუკი ფოტოგრაფები შავ-თეთრი ფოტოებით ამჯობინებენ ადრესატთან საუბარს, კვლევებმა დაადასტურა, რომ მკითხველები უპირატესობას ფერად ფოტოებს ანიჭებენ, რადგან მათ კარგად ამახსოვრდებათ ფერები, რაც საგაზეთო რეკლამის ბიუროს მეხსიერების ტესტების მეშვეობით დაადგინა. ხოლო მკითხველის ყურადღების მიპყრობის მიზნით, პრინსტონში (ნიუ ჯერსი) გელაპის ორგანიზაციის მიერ ჩატარებული „თვალიერების ტესტის“ შედეგების მიხედვით, ინფორმაციის ვიზუალიზების ფერადი ნიმუშები გაცილებით უკეთესად მუშაობს (კოუბრე, 2005, 205-206). ფერი, რომელიც ზემოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე, შეტყობინებას დამატებით ინფორმაციას სძენს. ფერების ამ კუთხით შესწავლის მიზნით, დავიმოწმებთ ვ. კანდინსკის ნაშრომს „სულიერების შესახებ ხელოვნებაში“, რომელშიც ავტორი საუბრობს თითოეული ფერის ფსიქიკურ ძალაზე, რაც რეციპიენტში სულიერ ვიბრაციებს იწვევს. ვფიქრობთ, ფოტოს კონოტაციური ანალიზის დროს ფერები აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რადგან გარდა ფსიქიკური ძალისა, ისინი ატარებენ ლოკალურ კოდურ ინფორმაციას, ანუ ასოციაციას, რასაც მოცემულ სოციუმში კონკრეტული დროის მონაკვეთში შეტყობინების მიმღებში იწვევს. მაგალითად, წითელ ფერს ჩვენი საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც საბჭოთა პერიოდს მოესწრო, ასოციაციურად უკავშირებს სოციალიზმს, ხოლო ახალგაზრდა თაობა - ნაციონალური მოძრაობის სიმბოლოდ აღიქვამს.

კონოტაციების შექმნის ექვსი ხერხი

ფრანგმა სემიოლოგმა, რ. ბარტმა ფოტოს მნიშვნელობის დეტალური ანალიზის მიზნით ჩამოაყალიბა ექვსი ხერხი, რომელთა მეშვეობითაც ხდება კონოტაციების წარმოშობა. თითოეული ხერხის განხილვამდე, უნდა აღინიშნოს, რომ პირველი სამი ხერხით კოდირებული ფოტოები ძირითადად ახლავს ახალ ამბებს (ნიუსებს), ხოლო მომდევნო სამი ხერხი უფრო სარეკლამო ხასიათისაა.

პირველი კონოტაციური ხერხი გახლავთ „ხრიკების ეფექტი“ (trick effects), რაც გულისხმობს ფოტოს სპეციფიკურ გარდაქმნას კონკრეტული მითური მნიშვნელობის ფორმირების მიზნით. მაგალითად, ფოტოზე აღბეჭდილი პიროვნების სახის გამომეტყველების შეცვლა იმგვარად, რომ მას დამნაშავის საშიში იერი მიეცეს. მსგავს მეთოდს უმეტესად მიმართავენ სენსაციური, დანაშაულის ამსახველი ახალი ამბების გასაფორმებლად. ამ დროს „ხრიკების ეფექტი“ ერევა დენოტაციის ფუნქციებში, აპელირებს მკითხველის რწმენაზე, რომ ფოტო არსებული რელობის ანაბეჭდია და გამოსახულებას სასურველი კონოტაციებით ტვირთავს, ახდენს რა მის კოდირებას რომელიმე კონკრეტული ნიშნით.

კონოტაციების შესაქმნელი მეორე ხერხი იყენებს პოზას. ფოტოზე გამოსახული ადამიანის ფიზიკური მდგომარეობა ხშირად ზეგავლენას ახდენს სურათის აღქმაზე და აღძრავს პიროვნებასთან დაკავშირებულ მითს. მკითხველისთვის ჟესტები, პოზა და სახის გამომეტყველება მრავლისმეტყველია,

რადგან ისინი მიეკუთვნებიან იმ კოდებს, რომლებიც დამკვიდრებული და აღიარებულია რომელიმე კონკრეტული ერის კულტურაში. სურათში კონოტირებული მნიშვნელობები ხელს უწყობს ტექსტში ნაგულისხმევი კონოტაციების გამყარებას. სპეციალურად შერჩეულ პოზაში პიროვნების გადაღება არა მარტო იმას აღნიშნავს, როგორი დენოტაციის მატარებელი იქნება ეს ფოტო გაზეთში გამოქვეყნებისას, არამედ მიგვანიშნებს, თუ რომელი კულტურული კოდები შეირჩა ფოტოსურათში კონოტირებული მნიშვნელობების კოდირებისას.

მესამე ხერხი გახლავთ ფოტოკოლაჟი, რომელიც მიმართავს ფოტოში კონკრეტული „ობიექტების“ დენოტაციას, რომლებიც უკვე ფლობენ გარკვეულ კულტურულ კონოტაციებს, რაც საშუალებას იძლევა, ობიექტთან დაკავშირებული კონოტაციები ნიუსის შინაარსზეც გაავრცელონ.

მეოთხე - „ფოტოგენიურობა“ - დენოტირებულია გადაღების მაღალი ხარისხი ან ფოტოზე პიროვნების საუკეთესო სახით წარმოჩენა. ამ ხერხს ძირითადად პორტრეტის/პროფილის გასაფორმებლად მიმართავენ.

მეხუთე გახლავთ „ესთეტიკურობა“, როდესაც ფოტოები ხელოვნების სხვა დარგის კოდურ ელემენტებს იყენებენ და ამით სურათს ანიჭებენ ესთეტურ ან არტისტულ მნიშვნელობას. ესთეტიკურ კოდებს ახალი ამბების გასაფორმებლად იშვიათად იყენებენ, რადგან ისინი ეწინააღმდეგებიან ობიექტურობას.

ბოლოს, ბარტი განიხილავს „სინტაქსს“, კონოტაციის ხერხს, რომელიც გულისხმობს რამდენიმე ფოტოს ერთმანეთის გვერდით განთავსებას, მსგავსად სიტყვების ერთობლიობისა, რომელიც ემორჩილება ენის სინტაქსის კანონებს. თანმიმდევრული ფოტოები გვხვდება გაზეთში მაშინ, როცა დრამატული მოვლენების ამსახველ რეპორტაჟებს აქვეყნებენ.

ამრიგად, პირველი სამი ხერხი აღნიშნავს, თუ რა არის დენოტირებული ფოტოში და მათ კონოტაციებს. მომდევნო სამი კი გულისხმობს ფოტოს გადაღების მანერასა და მის კონტექსტს.

2012-2014 წლების მიმოხილვა

მოგეხსენებათ, 2012 წელი პოლიტიკურად უკიდურესად დაძაბული იყო. მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებისთვის პოლიტიკური პარტიების მზადება სხვადასხვა კუთხით წარიმართა. ეს იყო ეგრეთ წოდებული კომპრომატების ომი. 2012 წელის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ სიით ხმების 54,97% მიიღო და საპარლამენტო მანდატების უმრავლესობა მოიპოვა. მაშინდელმა მმართველმა პარტიამ „ ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხმების 40,34%-ით ოპოზიციაში გადაინაცვლა. როგორც აღვნიშნეთ, ამ ფუნდამენტურ ცვლილებას წინ უძღოდა დაძაბული წინასაარჩევნო ბატალიები, რაც ჩვენს კვლევას მეტად საინტერესოს ხდის. აქვე, ისიც უნდა ითქვას, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ძალაუფლების არა რევოლუციური გზით, არამედ მშვიდობიანად გადაცემა მოხდა.

საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშს თუ დავეყრდნობით, 2012 წლის მღელვარე მოვლენების შემდეგ, კოჰაბიტაციის პერიოდი მიუხედავად სირთულისა, დრამატულობით არ გამოირჩეოდა. სახალხო დამცველის შეფასებით, 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები წინა საარჩევნო პერიოდთან შედარებით, მშვიდ და ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში ჩატარდა. გაიმარჯვა კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატმა, გიორგი მარგველაშვილმა, ამით დასრულდა ორი ძირითადი პოლიტიკური ძალის მტკივნეული პოლიტიკური თანაარსებობის ხანა და ძალაუფლების მშვიდობიანი გადაბარების პროცესი.

2014 წელი კი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების ციებ-ცხელებით გამოირჩეოდა. განსაკუთრებით, კი უნდა აღინიშნოს დედაქალაქის მერის არჩევნები, რომელიც ორ ტურად გაიმართა: 2014 წლის 15 ივნისი - პირველი ტური, 28 ივნისი - მეორე ტური. აქაც, პოლიტიკური ბრძოლა მიმდინარეობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს, ნ. მელიასა და კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატს, დ. ნარმანიას შორის. მერობის კანდიდატების იმიჯის შესაქმნელად სპეციალისტებმა მრავალფეროვან ხერხებს მიმართეს. კანდიდატები ამომრჩეველს თითქმის ყოველ დღე სთავაზობდნენ ახალ პოლიტიკურ რეკლამას, რომელიც სხვადასხვა მეთოდით იქმნებოდა. მათ შორის უნდა გამოვყოთ:

- *კონტრრეკლამა* - ამომრჩეველთა პოლიტიკური ცნობიერების მანიპულირების რაციონალური მოდელის ერთ-ერთი ფორმა ანუ ნეგატიური პროპაგანდა. კონტრრეკლამა რეკლამის ისეთი სახეობაა, რომელიც მიმართულია კონკურენტების წინააღმდეგ. რეკლამის ამ სახეობას, რომლებსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ **„ოცნება არ მუშაობს“**, აქტიურად მიმართეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის იმიჯმეიკერებმა;
- *კანდიდატის მრავალმხრივ პოზიციონირება* - პოლიტიკაში „პოზიციონირება“ გულისხმობს უნიკალური პოლიტიკური შეთავაზებისა და იმიჯის სინთეზს. „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანტიდატის იმიჯმეიკერებმაც სწორედ ეს მეთოდი გამოიყენეს და ერთ-ერთი სარეკლამო რგოლი ქართული საზოგადოებისათვის აღიარებულ პიროვნებათა მხარდაჭერის სახალხოდ დემონსტრირებას დაუთმეს. ეს რეკლამა პოზიციონირების კარგი მაგალითია, რადგან მასში შერწყმულია კანდიდატის იმიჯის შექმნა და პოლიტიკური შეთავაზება. საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, რა თქმა უნდა, უდიდეს როლს თამაშობს მისთვის გავლენიანი პიროვნების შეხედულება.

მეორე ტური კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატის გამარჯვებით დასრულდა.

აღნიშნული ორი წელიწადი სამი მნიშვნელოვანი მოვლენით გამოირჩევა: საპარლამენტო, საპრეზიდენტო და ადგილობრივი არჩევნები, კოჰაბიტაცია და ხელისუფლების ცვლილება, რაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად მოხდა, როდესაც ძალაუფლების არა რევოლუციური გზით, არამედ მშვიდობიანად გადაცემა მოხდა.

მეთოდოლოგია

საკვლევი დროითი ჩარჩოს შერჩევა : 2012 წლის იანვარი - 2014 წლის დეკემბერი განპირობებულია სწორედ ზემოთნახსენები ფაქტებით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო პოლიტიკურად აქტიური წლები, რაც ერთგვარ გარანტიას გვაძლევდა, რომ საკვლევი მასალა მდიდარი და მრავალფეროვანი იქნებოდა.

რაც შეეხება საკვლევ მასამლას, გაზეთებს: „კვირის პალიტრა“, „პრაიმ ტაიმი“ და ჟურნალებს: „ტაბულა“ და „ლიბერალი“ შერჩევა განპირობებულია:

- ამ გამოცემების მაღალი ტირაჟით, სტაბილურიბითა და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გავრცელების მასშტაბით;
- კომუნიკაციის განსხვავებული ფუნქციითა და მიზნით;
- სარედაქციო დამოუკიდებლობის სხვადასხვა ხარისხით;
- გამომსახველობითი საშუალებების სიჭარბით, კერძოდ, სტატიების მრავალფეროვანი ფოტოებით გაფორმებით.

ჩვენ მიერ შერჩეული ოთხი გამოცემიდან სამი: „კვირის პალიტრა“, „პრაიმ ტაიმი“ და „ლიბერალი“ ყოველკვირეულია, ხოლო „ტაბულა“ მხოლოდ 2012 წელს გამოდიოდა ყოველ კვირა, 2013-2014 წლებში კი ყოველთვიურად. პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ კონტექსტთა გათვალისწინებით, სემიოტიკურ ანალიზზე დაყრდნობით, შევისწავლეთ „კვირის პალიტრის“ 144 ნომერი, „პრაიმ ტაიმის“ – 143, „ლიბერალის“ – 141, „ტაბულას“ -72. კვლევის მიზნიდან გამომდინარე - წარმოგვეჩინა, აღნიშნული მედიასაშუალებების მიერ ინფორმაციის საილუსტრაციოდ გამოყენებული ფოტოები შეიცავს თუ არა გარკვეულ ქვეტექსტსა და მინიშნებებს, რამდენად სიმბოლიზებულია, გამოხატავს თუ არა სტატიის ავტორის პოზიციას და ზოგადად, სარედაქციო პოლიტიკას - ფოტოების დეკოდირებისას დავეყრდენით რ. ბარტის მიერ ჩამოყალიბებულ ექვს ხერხს, რომელიც კონოტაციების სესაქმნელად გამოიყენება.

საძიებო სამუშაოების შემდეგ, რომელიც საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ჟურნალ-გაზეთების ნომრების შესწავლით დასრულდა, მოვახდინეთ შეგროვებული მასალის სისტემატიზება. ფოტოები ბარტისეული კონოტაციების შექმნის ექვსი ხერხის მიხედვით დავყავით კატეგორიებად იმ მიზნით, რომ გამოგვეკვეთა, რომელი გამოცმა უმეტესად რომელ ხერხს მიმართავდა მითის შესაქმნელად.

ფერთამეტყველება

ჩვენ მიერ შესწავლილი ოთხივე გამოცემა: „კვირის პალიტრა“, „პრაიმ ტაიმი“, „ტაბულა“ და „ლიბერალი“ ფერადია. როგორც რელევანტური ლიტერატურის მიმოხილვისას აღვნიშნეთ, ფერები ზემოქმედებენ რეციპიენტზე, როგორც მკითხველის ყურადღების მიპყრობის თვალსაზრისით, ასევე შეტყობინების დეკოდირებისას კონოტაციების აღქმის პროცესში. ფერი, რომელიც ჭარბობს ამ თუ იმ ჟურნალ-გაზეთის ფურცლებზე, განსაზღვრავს პუბლიკაციის კონტექსტს, რაც რ. ბარტის მიხედვით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მითის აღქმაში, ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ, ამ კუთხითაც შეგვესწავლა საკვლევი მასალა. გამოიკვეთა, რომ ჩვენ მიერ შესწავლილი ოთხი გამოცემიდან სამის: „ტაბულა“, “ლიბერალი“, „პრაიმ ტაიმი“ სახელწოდება წითელისა და თეთრის კომბინაციით არის შექმნილი.

ფოტო 1.



ვ. კანდინსკის ნაშრომის „სულიერების შესახებ ხელოვნებაში“ მიხედვით, **წითელი** ამაღელვებლად მოქმედებს და ასოციაციების მიხედვით სხვადასხვა სულიერ ვიბრაციებს იწვევს. „მაგალითად, წითელ ფერს შეუძლია ისეთივე სულიერი ვიბრაციის გამოწვევა, რომელსაც იწვევს ცეცხლის ალი, ის შეიძლება ტანჯვის მომგვრელიც გახდეს, ალბათ მჩქეფარე სისხლთან მსგავსების გამო“ (კანდინსკი, 73). წითელი, აღნიშნავს ავტორი, თვალისმომჭრელი და ამავე დროს შთაგონების გამომხატველი ფერია. ხოლო რაც შეეხება **თეთრს**, ის „ფსიქეზე“ დუმილის მსგავსად მოქმედებს. მართალია, ფერთა ზემოქმედების დონე ადამინის სულიერი მგრძნობელობით განისაზღვრება, მაგრამ სულიერი მგრძნობელობის დაბალი დონის შემთხვევაშიც კი ფერები ზემოქმედებენ ქვეცნობიერზე, თუმცა, ზედაპირულად, რაც იმას ნიშნავს, რომ ფსიქიკას აღიზიანებენ. ერთის მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ

აღნიშნული გამოცემები წითელისა და თეთრის კომბინაციით, მკითხველის ინტერესს აღვიძებს და ამზადებს მას ამაღელვებელი, სენსაციური ინფორმაციის მისაღებად. მეორეს მხრივ, თუკი გავითვალისწინებთ, ამ ფერთა შეხამების ლოკალურ კოდს საკვლევ პერიოდთან მიმართებაში, ის საზოგადოებაში „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ ასოცირდება.

აქვე განვიხილავ ამ გამოცემების სახელწოდებათა ტიპოგრაფიული დიზაინის ელემენტებს. სტილიზებული ასოებით შექმნილი „ტაბულისა“ და „პრაიმ ტაიმის“ სახელწოდებებისა და „ლიბერალის“ იკონური ნიშნის მიზანი ცალსახაა: პროდუქციის სახელწოდება დაუნაწევრებლად და მთლიანად აღიბეჭდოს მკითხველის ცნობიერებაში.

რაც შეეხება, „კვირის პალიტრას“, მისი სახელწოდება ყვითელ ფონზე ცისფერი წარწერით არის აღნიშნული.

ფოტო 2.

„მკვეთრი **ყვითელი** გარკვეული დროის შემდეგ თვალს გვტკენს, თვალი შფოთავს, ამ ფერს ვეღარ უძლებს და ჩაღრმავებასა და სიმშვიდეს ლურჯში ეძებს... ამ ელემენტარული ზემოქმედების განვითარების შემთხვევაში შთაბეჭდილება ღრმავდება, რომელიც სულიერ რყევებს იწვევს... ის ძალადობრივად, გამაღიზიანებლად და მომაბეზრებლად მოქმედებს ადამიანის სულზე“ (კანდინსკი, 72). ავტორის მიხედვით, **ლურჯი,** წარმოშობს რა სიმშვიდის ელემენტს, ადამიანს უსასრულობისკენ მოუწოდებს, აღვიძებს მასში ამაღლებულობისაკენ სწრაფვას. მოცემულ ფერთა სიმბოლური დატვირთვა შესაძლოა, ასე გადმოვცეთ: ყვითელი ფონი მომაბეზრებელი რეალობის სიმბოლური სახეა. აქედან კი თავის დაღწევას და სიმშვიდის მოპოვებას ცისფერი შიფტით გამოსახული „კვირის პალიტრა“ გვპირდება. თუმცა, გაზეთის მთავარი გვერდის დიზაინის ანალიზმა გამოკვეთა, რომ მეთაურ გვერდზე ჭარბობს წითელი ფერი, რომელიც გამოიყენება ციტირებისას, საკვანძო სიტყვებისა და მთავარი ფოტოს გამოკვეთისას. ეს კი ერთგვარ პარადოქსს წარმოშობს: ცისფერი ფერით აღნიშნული სახელწოდება, „კვირის პალიტრა“, რომელიც სიმშვიდის მოპოვებას პირდება მკითხველს, უპირისპირდება მთავარი გვერდის გრაფიკულ გაფორმებას, რომელიც გამოხატულია წითელი ფერით, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მღელვარებას იწვევს შეტყობინების მიმღებში.

ამრიგად, იმ ფერების ანალიზის საფუძველზე, რომელიც საკვლევი გამოცემების სახელწოდებების გასაფორმებლად გამოიყენება, შეიძლება, დავასკვნათ, რომ „ლიბერალი“, „პრაიმ თაიმი“ და „ტაბულა“ მკითხველს ინფორმაციას ისეთი სახით მიაწვდის, რომ მასში სულიერ შფოთს გამოიწვევს, ამ კუთხით კი „კვირის პალიტრა“ მკითხველის მოლოდინს ფერების კომბინაცის მიხედვით ცალსახად არ განსაზღვრავს.

რაც შეეხება საკვლევი გამოცემების ფურცლებზე ფერთა გადანაწილებას, აღსანისნავია, რომ ოთხივე გამოცემაში ჭარბობს წითელი, რომელსაც სტატიების სათაურების, ციტირების, საკვანძო სიტვებისა და ფრაზების გამოსაკვეთად მიმართავენ.

ფოტოს დატვირთვის კატეგორიზაცია

საკვლევ ჟურნალ-გაზეთებში ფოტოების შემდეგ ტიპებს ვხვდებით:

- ამბის მნიშვნელობის (Newsworthiness), ანუ ამბის ღირებულების მიხედვით, წამყვანი ინფორმაციის საილუსტრაციო ფოტო,
- პერსონალური (Personal), ანუ პირადული,
- სიტუაციური (Situational), საგაზეთო ამბავში სიტუაციის ამსახველი,
- ტექნიკური (Technical) ანუ შეტყობინების თემასთან კონცეპტუალურად დაკავშირებული,
- კონტექსტუალური (Contextual),
- ფოტოგენური (Photogenic), რომელსაც აქვს ესტეთიკური დატვირთვა.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ ფოტოების ეს ტიპები სხვადასხვანაირად ნაწილდება, გამოცემების თემატიკიდან გამომდინარე. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩანს, თუ ფოტოების რომელ ტიპს ანიჭებენ უპირატესობას ჩვენ მიერ შესწავლილი ჟურნალ-გაზეთები.

დიაგრამა 1.



გაზეთი „კვირის პალიტრა“ სტატიების საილუსტრაციოდ უმრავლეს შემთხვევაში კონტექსტუალური ფოტოს სახით იყენებს პორტრეტს. მთავარი თემა მეთაურ გვერდზე წარმოჩენილია ტექნიკური ანუ მედიაგზავნილის თემასთან კონცეპტუალურად დაკავშირებული ფოტოთი. ზოგჯერ ახალი

ამბების გასაშუქებლად სიტუაციის ამსახველ ფოტოს მიმართავს, ხოლო რუბრიკა „ამბავნარი“ მთლიანად სიტუაციური ფოტოებით არის ილუსტრირებული. გაზეთის ფურცლებზე იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით პირადულ ფოტოებს, ძირითადად სკანდალური ინფორმაციის წარმოსაჩენად.

გაზეთ „პრაიმ ტაიმის“ ფურცლებზე ძირითადად სამი ტიპის ფოტოს ვხვდებით. კონტექსტუალური ფოტოს სახით უმეტესწილად გამოყენებულია პორტრეტი, თუმცა, არც თუ იშვიათად გზავნილი სიტუაციური ფოტოებით არის გაშუქებული, ყველაზე ნაკლებად ვხვდებით ტექნიკურ ანუ შეტყობინების თემასთან კონცეპტუალურად დაკავშირებულ ფოტოებს.

დიაგრამა 2.



უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალებში ფოტოების კუთხით ერთი და იგივე ტენდენცია შეიმჩნევა. ჩვენ მიერ შესწავლილი ჟურნალები „ტაბულა“ და „ლიბერალი“ უპირატესობას ანიჭებენ ტექნიკურ ფოტოს, რომელიც კონცეპტუალურად ასახავს სათქმელს. ჟურნალების ყდა ხშირად სწორედ ტექნიკური ფოტოებით არის ილუსტრირებული. სტატიების გასაფორმებლად უფრო მეტად სიტუაციურ ფოტოებს ვხვდებით, ვიდრე პორტრეტებს.

მოგეხსენებათ, ფოტოდარტვირთვის ძირითადი ფუნქციებია:

- დამაჯერებლობის შემატება ახალი ამბისთვის,
- ადრესატზე ემოციური ზემოქმედების მოხდენა.

ხოლო ზოგადად ვიზუალური საშუალებების _ როგორც შრიფტთა მანიპულირების, ასევე სათაურთა ტიპოგრაფიული ტიპებისა და ფოტოდატვირთვის _ ძირითადი მიზანია:

- კომუნიკაციისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოყოფა,
- ტექსტის სწრაფი აღქმის უზრუნველყოფა,
- შეფასების გამოხატვა,
- განწყობის შექმნა,
- ეკონომიზაცია,
- რეფერენტის იდენტიფიცირება.

ფოტოდატვირთავა თავისი ფუნქციის - მკითხველზე ზემოქმედებისა და მეტი დამაჯერებლობის შეძენის - შესრულებას მითის შექმნით აღწევს. მითის შესაქმნელად კი მიმართავს რ. ბარტის მიერ ჩამოყალიბებულ კონოტაციურ ექვს ხერხს. დაკვირვებამ ცხადჰყო, რომ ბარტისეულ პირველ, მეორე და მესამე ხერხს - „ხრიკების ეფექტს“, „პოზასა“და „ფოტოგენურობას“- უმრავლეს შემთხვევაში პორტრეტისა და ტექნიკური ანუ მედიაგზავნილთან კონცეპტუალურად დაკავშირებული ფოტოს გამოყენებისას მიმართავენ. თუმცა, ამ უკანასკნელის შექმნისას ასევე იყენებენ „ფოტოკოლაჟსა“ და იშვიათად „ესთეტიკურობასაც“. რაც შეეხება კონოტაციურ მეექვსე ხერხს, „სინტაქსს“, მას სიტუაციური ფოტოილუსტრაციისას ვხვდებით.

ფოტოების ანალიზი

რაკი მოვახდინეთ კატეგორიზაცია და ფოტოს თითოეული ტიპი შევუსატყვისეთ კონოტაციურ ხერხებს, რომლებიც მითის შესაქმნელად გამოიყენება, ახლა შეგვიძლია, განვიხილოთ რამდენიმე კონკრეტული მაგალითი სემიოტიკურ ანალიზზე დაყრდნობით.

სარედაქციო ილუსტრაცია

როგორც რელევანტური ლიტერატურის მიმოხილვისას აღვნიშნეთ, სარედაქციო ილუსტრაცია, რასაც კ. კუბრე ვიზუალურ მეტაფორას უწოდებს, ის ტექნიკური ფოტოტიპია, რომელიც მედიაგზავნილთან კონცეპტუალურად დაკავშირებული თემის წარმოსაჩენად გამოიყენება. დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ ამგვარი ტიპის ილუსტაციას მეტწილად მიმართავს გაზეთი „კვირის პალიტრა“ და ჟურნალები - „ლიბერალი“ და „ტაბულა“, ამიტომ გთავაზობთ ამ გამოცემებში სხვადასხვა ტიპის სტატიების ილუსტირებისთვის გამოქვეყნებული ვიზუალური მეტაფორების სემიოტიკურ ანალიზს.

ვიზუალური სახეები იშვიათად გვხვდება ამა თუ იმ ტიპის ლინგვისტური ტექსტის თანხლების გარეშე. საგაზეთო ფოტოები გადმოცემულია წარწერით, სათაურით, მინაწერით და გვერდის საერთო დაკაბადონებით. რა თქმა უნდა, ფოტოს დეკოდირებისას მათი გათვალისწინება აუცილებელია, რადგან

ისინი გარკვეულწილად განსაზღვრავენ ვიზუალური ინფორმაციის კონოტაციურ მნიშვნელობას. რ. ბარტი ამტკიცებს, რომ „ ტექსტი ავსებს იერ-სახეს, ტვირთავს მას კულტურით, მორალითა და წარმოსახვით“ (ბარტი, 1977). იერ-სახე კი არ ახდენს ტექსტის ილუსტრირებას, არამედ სწორედ ტექსტი აძლიერებს იერ-სახის კონოტაციურ პოტენციალს. (სთორი, 2007) ამიტომ, თითოეული ფოტოს განხილვისას შევისწავლით მის მიმართებას ვერბალურ ტექსტთან.

ფოტო 3.

„ლიბერალი“ სექტემბერი 2012, N 106

„ჩატარდება თუ არა არჩევნები სამართლიანად?“ -ანალიტიკური სტატიის სათაურია, რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ საარჩევნო გარემოს მიმიოხილავს ჟურნალ „ლიბერალის“ 2012 წლის სექტემბრის ნომერში. მითი, რომელსაც სათაურისა და ილუსტრაციის ერთობლიობა ქმნის, შემდეგში მდგომარეობს. სტატიის სათაურის სახით დასმული კითხვის პასუხი ფოტოშივე ამოიკითხება.

განვიხილოთ მითოლოგიური ანალიზის სემიოლოგიური სისტემის (იხ. გვ.) პირველი წევრი - აღმნიშვნელი ანუ ფორმა. გამჭვირვალე ყუთის აღსანიშნი ანუ ცნება გამჭვირვალე, სამართლიანი არჩევნებია, ხოლო ფოტოს მარჯვენა მხარეს გადაჯვარედინებული თითების გამოსახულების აღსანიშნი სიცრუეა. ნიშანი, ანუ მნიშვნელობა, რაც მითმა შეიძინა, „ლიბარელის“ მცდელობაა, შექმნას საარჩევნო გარემოს სურათი, რომ სამართლიანი არჩევნების ჩატარების დაპირება ტყუილია.

ფოტო 4.

„ტაბულა“, 2-8 აპრილი, 2012, N94

განვიხილოთ ჟურნალი „ტაბულას“ ყდის ილუსტრაცია. მითის დეკოდირებისთვის პირველ რიგში გავაანალიზოთ ფერთა გამა. დომინირებს წითელი, თეთრი და ლურჯი, რაც რუსეთის დროშის ფერებია. ფერებთან თანხვედრაშია გამოსახული საგანიც - მატრიოშკა ან მატრიოშკები (რუსულად **Матрёшки** ან **Матрёшка**) თოჯინის ფორმის რუსული ხის სათამაშო, რომლის შიგნითაც მომცრო ზომის მსგავსი თოჯინებია ჩაწყობილი. თოჯინების რაოდენობა, ჩვეულებრივ, ექვსია ან მეტი. ტრადიციისამებრ, იხატება ქალი სარაფანში. ყველაზე პატარა ფიგურა, რომელიც არ იხსნება, ბავშვია. მოსახატი თემა ამ შემთხვევაში პოლიტიკური პერსონები არიან. ფოტო დასათაურებულია: „მოჯადოებული წრე“. კონოტაციური მნიშვნელობა ილუსტრაციაზე დაკვირვებით იშიფრება. ერთის მხრივ, ფოტოზე გამოსახული პოლიტიკური ფიგურები მოჯადოებულნი არიან რუსეთით, მეორეს მხრივ, კი ზომის მიხედვით, თოჯინებზე პოლიტიკური სახეების გადანაწილებით, წარმოჩენილია მათი ურთიერთდაქვემდებარება. ბიძინა ივანიშვილის გამოსახულებიან თოჯინაში შემდეგი თანმიმდევრობით ეწყობა თოჯინები: დავით უსუფაშვილი, ...ირაკლი

ალასანიას გამოსახულებიანი თოჯინა ზომით დ. უსუფაშვილის გამოსახულებიან თოჯინას უტოლდება, ამიტომ მისი თოჯინა თამაშ გარეთ რჩება. ფოტოზე თოჯინების კომპოზიციური განლაგებაც კოდური ინფორმაციით არის დატვირთული: ბ. ივანიშვილისა და ი. ალასანიას თოჯინების გარდა ოთხივე თოჯინა ერთმანეთს ეყრდნობა, რაც მიგვანიშნებს მათ ერთიანობაზე. ბიძინა ივანიშვილის თოჯინის გვერდით დამოუკიდებლად მდგარი ი. ალასანიას თოჯინა ამყარებს იმ შეხედულებას, რომ ის ბ. ივანიშვილით „მოჯადოებულ წრეში“ არ შედის და განზე დგას, თუმცა, მეტოქეობას ბ. ივანიშვილს ვერ უწევს, ის უფრო დ.უსუფაშვილის პოლიტიკურ კონკურენტად არის წარმოჩენილი. ამრიგად, ჟურნალ „ტაბულას“ ყდაზე გამოქვეყნებული ფოტო ვიზუალური მეტაფორის კარგ მაგალითს წარმოადგენს, რომლითაც გადმოცემული მითი წარმოაჩენს სარედაქციო პოლიტიკას, რაც ორი გზავნილის მატარებელია: ერთი - სარედაქციო ილუსტრაციაზე გამოსახული პოლიტიკური ფიგურები პრორუსული ორიენტაციისანი არიან, მეორე - ბ. ივანიშვილს ექვემდებარებიან ყველანი, გარდა ი. ალასანიასი, რომელიც ფიგურების კომპოზიციური განლაგების მიხედვით, უპირისპირდება ბ. ივანიშვილს, თუმცა, თოჯინის ზომის გათვალისწინებით მას ვერ უწევს მეტოქეობას, სამაგიეროდ, ბ. ივანიშვილის ამალის პირველი წევრის დ. უსუფაშვილის კონკურენტია. ამ შეხედულებას ამყარებს დ. უსუფაშვილისა და ი. ალასანიას მზერაც, რომელიც ორი სხვადასხვა მიმართულებით იყურება.

გაზეთი „კვირის პალიტრა“ ვიზუალურ მეტაფორას სხვადასხვა რუბრიკებში განსხვავებული ტიპის სტატიათა ილუსტრირებისთვის მიმართავს. ამ მხრივ უნდა გამოვყოთ მეთაური გვერდი, სადაც კვირის მთავარი თემის ფოტო უმრავლეს შემთხვევაში ვიზუალური მეტაფორით არის შექმნილი და „ეკონომიკური პალიტრა“. ამ რუბრიკაში ანალიტიკური სტატიების გასაფორმებლად პერმანენტულად გამოიყენება ვიზუალური მეტაფორა.

განვიხილოთ გაზეთ „კვირის პალიტრის“ მეთაურ გვერდზე გამოტალინი მთავარი თემის საილუსტრაციო ფოტო.

ფოტო 5.

„კვირის პალიტრა“, 4-10 ნოემბერი, 2013წ.

ამ საგაზეთო შეტყობინების არავერბალური და ვერბალური ნაწილების ურთიერთმიმართება ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ ზღუდავს ვიზუალური გამოსახულების კონოტაციების პოტენციურ მოზღვავებას ლინგვისტური ტექსტი.

მართლმსაჯულების სიმბოლო ჩაქუჩი და მგლის დაჟინებული მზერა ამძაფრებს წითლად დაწერილ

„ფრთხილად, ახალაიებო“!-ს. ვერბალური ტექსტის -„სამეგრელოს სამალავებში ნაპოვნმა საზარელმა კადრებმა არ გამოჟონოს(!)“- მიმაგრება ვიზუალურ სახესთან ზღუდავს არავერბალური გამოსახულების კონოტაციების პოტენციურ სიმრავლეს: სამალავებში ნაპოვნი საზარელი კადრები ფოტოზე დენოტირებულია მგლის გამოსახულებით. „საზარელი“ მგლის ატრიბუტია, ხოლო სამალავი მისი სამყოფელი. ცხვრის ნიღბით გამოხატულია „საზარელი კადრების“ დამალვა, რასაც ამყარებს მგლის ენის პოზა, რომელიც სიცრუის აღმნიშვნელია. ფოტოს მინაწერი - „თითო მგელიაშვილი თქვენთვისაც მოიძებნება!“ - მგლის გამოსახულებას მოსამართლის დატვირთვას სძენს. ლინგვისტური გზავნილი მკითხველს ეხმარება, განსაზღვროს ვიზუალური გამოსახულების დენოტაციური მნიშვნელობა.

ამგვარად, მითის მნიშვნელობა, რომელსაც „კვირის პალიტრა“ ქმნის, არის მცდელობა, დაანახოს მკითხველს, რომ ახალაიებს „სამალავებში ნაპოვნი საზარელი კადრები“ გაასამართლებთ.

სიტუაციური ფოტოები

სიტუაციური ფოტოები რ. ბარტის მიერ ჩამოყალიბებული კონოტაციების შექმნის მეექვსე ხერხის ანუ „სინტაქსის“ პრინციპით იქმნება. იგულისხმება რამდენიმე ფოტოს ერთმანეთის გვერდით განთავსება, რომელიც წინადადებაში სიტყვების განლაგების მსგავსია, რაც ენის სინტაქსის კანონებით რეგულირდება. ფრანგი სემიოლოგი აღნიშნავს, რომ გაზეთები ამ ხერხს დრამატული მოვლენების ამსახველი რეპორტაჟების გამოქვეყნებისას მიმართავენ.

კვლევამ ცხადჰყო, რომ სიტუაციურ ფოტოებს ჩვენ მიერ შესწავლილი ოთხივე გამოცემა აქვეყნებს სხვადასხვა ტიპის სტატიათა საილუსტრაციოდ. მაგალითად, გაზეთი „პრაიმ თაიმი“ ამ ხერხს ძირითადად ორი სახის ინფორმაციის გასაფორმებლად იყენებს. ესენია: სკანდალური და დრამატული ამბის ამსახველი რეპორტაჟი და რუბრიკა „ერთი დღე ცნობილ ადამიანთან“, სადაც მხოლოდ ფოტოებით მოგვითხრობენ მათი რუტინის შესახებ.

ფოტო 6.

როგორ იყენებენ გეებს სპეცსამსახურები

კახა კუკავა: „რაც ამ პროკურატურამ გააკეთა, არათუ საქართველოში, არც ერთ ქვეყანაში არ მინახავს, გარდა ერთი-ორი გამონაკლისისა“

გაზეთი „პრაიმ თაიმი“, 21 იანვარი, 2013 წ.

ფოტოზე გაშუქებულია საქართველოს ისტორიაში 2012-2014 წლების ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური და ამავე დროს ქართული საზოგადოებისთვის ძალიან მტკივნეული თემა. ფოტოების თანმიმდევრული განლაგება კონოტაციური ხერხის - „სინტაქსის“ პრინციპით, მეტ დრამატულობას სძენს საგაზეთო გზავნილს. მკითხველში წარმოშობს მრავალ ასოციაციას, რასაც განაპირობებს ყველა ნიშნის პოლისემიური ბუნების წარმოჩენა - ანუ მნიშვნელობათა სიმრავლის მათეული პოტენციალი მთლიანად მკითხველის კულტურულ რეპერტუარზე ანუ სოციალური ცოდნის მარაგზეა მინდობილი. რელევანტური ლიტერატურის მიმოხილვისას აღვნიშნეთ, რომ ვიზუალური გზავნილის დეკოდირება, დენოტაციიდან

კონოტაციამდე მისვლა განპირობებულია ადრესატის თვალსაწიერით.

გაზეთი „პრაიმ ტაიმი“ რუბრიკის - „ერთი დღე ცნობილ ადამიანთან“, ილუსტრაციად მიმართავს სწორედ სიტუაციურ ფოტოებს, ხოლო კონოტაციის ხერხად - „სინტაქსს“. არავერბალური კოდი მთლიანად თავისუფალია ლინგვისტური ინფორმაციისგან. კონოტაციური მნიშვნელობების წარმოქმნას არაფერი ზღუდავს.

გაზეთი „კვირის პალიტრა“ რუბრიკა „ამბავნარში“ იგივე ხერხს მიმართავს.

რაც შეეხება ჩვენ მიერ შესწავლილ ჟურნალებს, „ტაბულასა“ და „ლიბერალს“, ისინი კონოტაციურ ხერხს - „სინტაქსს“ ერთმანეთისგან განსხვავებული მიზნით მიმართავენ. თუკი ჟურნალი „ტაბულა“ სიტუაციურ ფოტოს აქვეყნებს ვიზუალური ინფორმაციისთვის მეტი დრამატიზმის მინიჭების მიზნით, ჟურნალი „ლიბერალი“ გვთავაზობს რუბრიკა „ფოტორეპორტაჟს“, რომელშიც ფოტოების „სინტაქსის“ პრინციპით განლაგების მიზანია, საკითხის მრავალი კუთხით წარმოჩენა. მაგალითად მოგვყავს ჟურნალი „ლიბერალის“ ფოტორეპორტაჟი პანკისის ხეობის შესახებ, რომელიც 2012 წლის სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა.

ფოტო 7.



ფოტო8.



ფოტო 9.

ფოტო 10.

ჟურნალი „ლიბერალი“, სექტემბერი, 2012 წ.

ჟურნალი „ტაბულა“, აგვისტო, 2013წ.

ამ ფოტოზე ასახულია 2008 წლის 8 აგვისტოს ცხინვალი რუსული ავიადაბომბვების შემდეგ. ფოტოებს დრამატიზმს მასზე გამოსახული უსუსური ბავშვები მატებს.

პორტრეტი

საგაზეთო გზავნილის საილუსტრაციოდ გამოყენებული პორტრეტის შესაქმნელად რ. ბარტის მიერ ჩამოყალიბებული კონოტაციების ხერხებიდან ძირითადად სამს: „ხრიკების ეფექტს“, „პოზას“ და „ფოტოგენურიბას“ (იხ. გვ.) ვხვდებით, თუმცა, იშვიათად „ფოტოკოლაჟსაც“ მიმართავენ. რაც შეეხება პორტრეტის კატეგორიზაციას ზემოთ ნახსენები ფოტოების ტიპებს (იხ. გვ.) შორის, ის ჩვენ მიერ შესწავლილ ჟურნალ-გაზეთებში უფრო მეტად კონტექსტუალური დატვირთვით გვხვდება. გთავაზობთ პორტრეტების განხილვას მათი შექმნისას გამოყენებული კონოტაციური ხერხების მიხედვით.

„ხრიკების ეფექტი“ გულისხმობს ფოტოს სპეციფიკურ გარდაქმნას კონკრეტული მითური მნიშვნელობის ფორმირების მიზნით. განვიხილოთ გაზეთ „კვირის პალიტრაში“ 2012 წლის 30 აპრილი-6 მაისის ნომერში გამოქვეყნებული პორტრეტი.

ფოტო 11.

„ხელისუფლების სტრესის ყველა ნიშანი სახეზეა“

„კვირის პალიტრა“, 2012 წ., 30 აპრილი-6 მაისი.

ფოტოზე აღბეჭდილია საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი. მისი სახის გამომეტყველება შეცვლილია იმგვარად, რომ თანხვედრაში მოდის სტატიის სათაურთან - „ხელისუფლების სტრესის ყველა ნიშანი სახეზეა“. ამ შემთხვევაში „ხრიკების ეფექტი“ ერევა დენოტაციის ფუნქციებში არწმუნებს რა მკითხველს, რომ ფოტო არსებული რეალობის ანაბეჭდია. გამოსახულებას ტვირთავს სასურველი კონოტაციებით, ახდენს რა მის კოდირებას სტრესის ნიშნით.

ბარტისეული კონოტაციური ხერხი „პოზა“ ყველაზე ხშირად გამოიყენება საგაზეთო პორტრეტების დამუშავებისას. განვიხილოთ გაზეთ „პრაიმ თაიმის“ 2013 წლის 20 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული ფოტო.

ფოტო 12.

„პრაიმ თაიმი“, 2013 წ., 20 ოქტომბერი

ფოტოზე გამოსახულია საქართველოს პრემიერ - მინისტრი ბ. ივანიშვილი. ჟესტი, პოზა და სახის გამომეტყველება მრავლისმეტყველია, რაც აღძრავს პიროვნებასთან დაკავშირებულ მითს. სტატიის სათაურში - „რატომ მიდის ივანიშვილი - იმისთვის, რომ აკონტროლოს თუ იმისთვის, რომ მართოს“ - ნაგულისხმევი კონოტაციური მნიშვნელობა, რომ ბ. ივანიშვილი არსად არ მიდის, ის კულისებიდან აგრძელებს მოღვაწეობას, გამყარებულია სურათში კონოტირებული მნიშვნელობებით. შავ ფონზე გაღიმებული სახით, შორსმჭვრეტელი მზერითა და მარჯვენა ხელით გამოსახული ჟესტით, რაც ქართულ კულტურაში დამკვიდრებულია დადებითი შეფასების გამომხატველ კოდად, ბ. ივანიშვილის პორტრეტის გამოქვეყნებით, გაზეთი „პრაიმ თაიმის“ მცდელობაა, შექმნას მითი, რათა დაარწმუნოს მკითხველი, რომ პრემიერ მინისტრი დადებითად აფასებს საკუთარ გადაწყვეტილებას, ჰყავდეს მარიონეტული მთავრობა, რომლის მმართველობასაც თავად გააგრძელებს.

პორტრეტების გამოქვეყნებისას ჩვენ მიერ შესწავლილი ჟურნალ-გაზეთები არც თუ იშვიათად კონოტაციურ ხერხს, „ფოტოკოლაჟსაც“ მიმართავენ. შევისწავლოთ ჟურნალ „ლიბერალში“ 2014 წლის მარტის ნომერში გამოქვეყნებული ანალიტიკური სტატია, რომელიც უკრაინაში რუსეთის მიერ განხორციელებულ აგრესიას განიხილავს. ამ სტატიის საილუსტრაციოდ გამოყენებულია ფოტოკოლაჟი, რომელიც სამი პოლიტიკური ფიგურის პორტრეტებით არის შექმნილი.

ფოტო 13.

ჟურნალი „ლიბერალი“, მარტი, 2014.

სტატიის გასაფორმებლად გამოქვეყნებული პორტრეტები ფრანგი სემიოლოგის მიერ ჩამოყალიბებული კონოტაციების ორი ხერხის გამოყენებით არის დამუშავებული: „ფოტოკოლაჟითა“ და „ხრიკების ეფექტით“. ფოტოკოლაჟში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა, ნატოს გენერალური მდივანი ანდრეს ფოგ რასმუსენი და გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი სახის სხვადასხვა გამომეტყველებით არიან წარმოჩენილნი. ლინგვისტური კოდით სტატიის სათაურის სახით - „რატომ არ ელოდა არავინ უკრაინაში რუსეთის აგრესიას?“ - კონოტირებულია შემდეგი მოსაზრება, რომ უკრაინაში განხორციელებული რუსული აგრესია მოულოდნელი იყო მსოფლიოსთვის. ვერბალური გზავნილის კონოტაციური მნიშვნელობა გამყარებულია ვიზუალური სახით. ფოტოკოლაჟი მიმართავს მსოფლიო პოლიტიკური ფიგურების დენოტაციას, რომლებიც თავისთავად ფლობენ მსოფლიო წესრიგის, მშვიდობის კონოტაციებს, რაც საშუალებას იძლევა აღნიშნული კონოტაციები ლინგვისტური ტექსტის შინაარსზეც გაავრცელონ.

ფოტოკომიქსი

ვფიქრობთ, ცალკე შესწავლის საგანს წარმოადგენს ფოტოკომიქსი, რომელსაც მხოლოდ გაზეთ „კვირის პალიტრაში“ შევხვდით.

ფოტოკომიქსის შესაქმნელად უმეტესწილად გამოყენებულია პორტრეტები. კონოტაციების შესაქმნელად კი ის სამი ხერხი, რომელსაც ზოგადად პორტეტების დამუშავებისას მიმართავენ: „ხრიკების ეფექტი“, „პოზა“ და „ფოტოკოლაჟი“. ვიზუალური სახე ახდენს რა ლინგვისტური ტექსტის დენოტირებას, ტვირთავს მას კონოტაციებით.

მიგვაჩნია, რომ ფოტოკომიქსების ანალიზისას ყურადღება უნდა მივაქციოთ ფერებსაც. ფოტოკომიქსები შავ-თეთრი ფოტოებით არის შექმნილი, რაც იმპლიცისტურად მიგვანიშნებს, რომ შავი იუმორი დომინირებს.

დასკვნა

ამგვარად, განხილული მაგალითები ნათელყოფს, რომ საგაზეთო კომუნიკაციაში გამოყენებული ფოტოს დანიშნულება არ არის მხოლოდ ლინგვისტური ტექსტის ილუსტრირება.

ოთხი გამოცემის: „კვირის პალიტრის“, „პარაიმ ტაიმის“, „ლიბერალისა“ და „ტაბულას“ ფოტოილუსტრაციები შევისწავლეთ სემიოტიკურ ანალიზზე დაყრდნობით, ძირითადად, ფრანგი სემიოლოგის რ. ბარტის მიერ ჩამოყალიბებული კონოტაციური ექვსი ხერხის მიხედვით, რომელსაც ბეჭდვითი მედია მიმართავს მითის შესაქმნელად.

აღმოჩნდა, რომ მედიასაშუალებების მიერ ინფორმაციის საილუსტრაციოდ გამოქვეყნებული ფოტოები შეიცავს ქვეტექსებს, სიმბოლიზებულად გადმოგვცემს სათქმელს და ამგვარად, იმპლიციტურად გამოხატავს არა მარტო სტატიის ავტ ორის პოზოციას, არამედ, ზოგადად, სარედაქციო პოლიტიკას. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით, კონტექსტუალური და ტექნიკური ფოტოების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ვერბალური ნაწილის შემცირება ვიზუალურის ხარჯზე, არათუ ამცირებს და ინარჩუნებს, პირიქით, აფართოებს საინფორმაციო ველს. მასში გადმოცემული ქვეტექსტური ინფორმაცია კი ზრდის რეციპიენტზე ფარული ზემოქმედების ხარისხს.

თუმცა, გზავნილის მიმღებზე ზემოქმედება დამოკიდებულია თავად რეციპიენტის ინტელექტზე, რადგან მნიშვნელობათა წარმოქმნა გაზიარებული კულტურული კოდის საშუალებით ხდება შესაძლებელი, რომელსაც იყენებენ იერ-სახის შემქმნელებიცა და მომხმარებლებიც. ამიტომ კონოტაციები იერ-სახის შემქმნელთა მიერ უბრალოდ კი არ იწარმოება, არამედ აქტიურდება უკვე არსებული და გაზიარებული კულტურული რეპერტუარიდან. მითის აღქმისას კულტურული რეპერტუარიდან თუ რომელი კოდი ამოქმედდება დამოკიდებულია ლინგვისტური თუ არავერბალური ტექსტის ისტორიულ, სოციალურ და კულტურულ კონტექსტსა და მკითხველის სოციალური ცოდნის მარაგზე.

ბიბლიოგრაფია

Barthes, R. (1961). Le message photographique. *Communications*.

Barthes, R. (1980). *La chambre claire Note sur la photographie.* Paris: Gallimard.

Bignell, J. (2002). *Media semiotics.* Manchester: Manchester University Press.

Levi-Strauss, C. (1973). *Anthropologie structurale deux*. Paris: Librairie Plon.

Metz, C. (1970). Au-dela de l'analogie, l'image. *Communications*.

Veron, E. (1994). De l'image semiologique aux discursivites. Le temps d'une photo. *Hermes*, 45-64.

ბარტი, რ. (2011). *მითოლოგიები.* თბილისი: აგორა.

დოლიძე, რ. რუსეიშვილი, მ. (2009). სემიოტიკა და მასმედია. In *სამეცნიერო ძიებანი XXX Linguistic papers* (pp. 25-31). თბილისი: ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

კანდინსკი, ვ. (2012). *სულიერების შესახებ ხელოვნებაში.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

კოუბრე, კ. (2005). *ფოტოჟურნალისტიკა: პროფესიული მიდგომა.* თბილისი: დიოგენე.

სთორი, ჯ. (2007). *კულტურის კვლევები და პოპულარული კულტურის შესწავლა.* თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტი.

შამილიშვილი, მ. (2014). ზურაბ ქარუმიძის კრეოლიზებული მედიატექსტები. *კრიტიკა.*

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი. №4, დეკემბერი, 2016

Journal of Young Researchers. No. 4, December, 2016

საარჩევნო კამპანიის ამერიკანიზაცია საქართველოში

გიორგი მელიქიძე*

დოქტორანტი, პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

მსოფლიოში მიმდინარე შეუქცევადი გლობალიზაციის პირობებში პოლიტიკურ პარტიებთან ერთად საარჩევნო კამპანიამაც მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში არაერთი გარდამავალი დემოკრატია აღმოჩნდა პოლიტიკური კამპანიის ამერიკული მოდელის გამზიარებელი და ერთ-ერთი მათგანი საქართველოცაა. საარჩევნო კამპანიის ამერიკანიზაცია ისეთი მახასიათებლებით გამოირჩევა, როგორიცაა პოლიტიკის პერსონალიზაცია, მედიის განსაკუთრებული როლი წინასაარჩევნო პერიოდში, მყიფე იდეოლოგიური საფუძვლები და პოლიტიკური კამპანიის განსაკუთრებული პროფესიონალიზაცია. ათწლეულების მანძილზე აშშ-ში დაგროვილი საარჩევნო გამოცდილება არაერთ ქვეყანაში გავრცელდა. აკადემიურ წრეებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ გამოწვევები, რომელიც ამერიკანიზაციამ მოიტანა სრულიად უცხო იყო რიგი ქვეყნებისთვის, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია პოლიტიკური კამპანიის ტრანსფორმაციისთვის.

მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს შეისწავლოს, საარჩევნო კამპანიის ამერიკანიზაციის ტენდენციები პოსტსაბჭოთა საქართველოში. კვლევის ჰიპოთეზის თანახმად, პარტიების სუსტი რეპრეზენტატულობა ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის პოლიტიკური კამპანიის ამერიკანიზაციისათვის. 1990-იან წლებში საქართველოს პარტიების სუსტმა რეპრეზენტატულობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პოლიტიკური კამპანიის ტრანსფორმაციის კუთხით. აქედან გამომდინარე, 2003 წლის ,,ვარდების რევოლუციის“ შემდეგ აქტიურად დაიწყო საარჩევნო კამპანიის ამერიკანიზაციის პროცესი. კვლევის პროცესში გაანალიზდა პოსტსაბჭოთა საქართველოს სამი ხელისუფლების პირობებში არსებული პოლიტიკური კამპანიის მახასიათებლები.

კვლევისას გამოყენებულია თვისებრივი მეთოდები, კერძოდ: ა) ექსპერტული ინტერვიუები პოლიტიკურ კონსულტანტებთან; ბ) სიღრმისეული ინტერვიუები პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან; გ) სიღრმისეული ინტერვიუები შერჩეულ ელექტორატთან.

საკვანძო სიტყვები: საარჩევნო კამპანია, რეპრეზენტატულობა, ამერიკანიზაცია, მედია, პოლიტიკური პარტია

Abstract

Election campaign and the political parties have suffered significant transformation in the world's irrevocable ongoing globalization conditions. Within the last decades number of transitional democracy countries have shared American model of political campaing and Georgia is one of them. The Americanization of election campaign is distinguished with the characteristics such as political personalization, special role of Media in the pre-election period, brittle ideological grounds and particular

E-mail: giorgimelikidze88@yahoo.ie

specialization of political campaign. The election experience accumulated in USA for decades have been spread in many countries. In academic circles special interest caused by the fact that challenges, that are brought by Americanization were completely unfamiliar for several countries, however this didn't hinder the transformation of political campaing.

The present paper aims to examine the tendencies of Americanization of election campaign in post-Soviet Georgia. In accordance with the research hypothesis, poor representativeness of the parties creates a favorable grounds for an Americanization of political campaign. In 1990s the weak representativeness of Georgian parties played an important role in the point of view of political transformation. Therefore after the "Rose Revolution" of 2003 the Americanization process of election campaign had been actively commenced. In the research process had been analyzed characteristics of political campaign existing in the conditions of three governments of Post-Soviet Georgia.

In the research are used qualitative methods, namely: a) Expert interviews with political consultants; b) In-depth interviews with representatives of political parties; c) In-depth interviews with selected electorate.

Keywords: Election Campaign, Representativeness, Americanization, Media, Political Party

შესავალი

1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოში, 70 წლიანი საბჭოთა მმართველობის შემდეგ პირველი ნაბიჯები იდგმებოდა სახელმწიფოებრიობის გზაზე. პოსტსაბჭოთა საქართველოში მრავალპარტიულმა, კონკურენტულმა არჩევნებმა შექმნა შესაძლებლობა პოლიტიკურ პარტიებს გამოეყენებინათ დასავლეთის ქვეყნების გამოცდილება პოლიტიკური კამპანიის წარმოების კუთხით. საარჩევნო კამპანიის მოდელის ტრანსფორმაცია მეტად რთულ პირობებში დაიწყო, ქვეყნის განვითარების პერსპექტივა, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვებამ მოიტანა საომარმა მოქმედებებმა გადაფარა. 1990-იანი წლების მეორე ნახევარი საქართველოში შედარებით სტაბილურობით გამოირჩეოდა, თუმცა პარტიების ფრაგმენტაცია და სუსტი რეპრეზენტატულობა გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენდა. კითხვაზე, თუ რატომ მოხდა ,,ვარდების რევოლუციის" პერიოდში პოლიტიკური კამპანიის ინტენსიური ამერიკანიზაცია, პასუხი ნათელია: მასმედიის მზარდი როლის პირობებში, პოლიტიკური პარტიების მყიფე იდეოლოგიური საფუძვლების და ამომრჩევლის ინტერესების სუსტი რეპრეზენტატულობის კომპენსირება პოლიტიკის პერსონალიზაციით უნდა მომხდარიყო.

XX საუკუნის ბოლო მეოთხედში მსოფლიოში პარტიულმა სისტემამ და პოლიტიკურმა კამპანიამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და დაიწყო ამერიკანიზაციის პროცესი. დასავლეთ ევროპული პარტიების უმრავლესობა მასობრივია, მყარ იდეოლოგიურ ბაზისზე და ელექტორატის ინტერესების რეპრეზენტატულობაზეა დაფუძნებული. ახალ დემოკრატიებში პოლიტიკური პარტიები ხასიათდებიან სუსტი ორგანიზაციით და განსაკუთრებული პერსონალიზაციით. უფრო მეტიც, აღნიშნულ ქვეყნებში პარტიების მყიფე იდეოლოგიურმა საფუძვლებმა ხელი შეუწყო პოლიტიკური კამპანიის ტრანსფორმაციის დაჩქარებას.

საქართველოში, სხვა ახალი დემოკრატიების მსგავსად აქტიურად განხორციელდა საარჩევნო კამპანიის ამერიკანიზაციის პროცესი. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკის პერსონალიზაცია და მყიფე იდეოლოგიური და სტრუქტურული საფუძვლები საქართველოს პოლიტიკური პარტიების მთავარ მახასიათებელს დამოუკიდებლობის პირველივე წლებიდან წარმოადგენდა, თუმცა მასმედიის და მედიატექნოლოგიების გაძლიერებამ გარდამტეხი როლი შეასრულა პოლიტიკური კამპანიის ტრანსფორმაციის კუთხით. პოსტსაბჭოთა საქართველოში საწყის ეტაპზე პარტიების ამოცანა საპროტესტო აქციებისთვის მხარდამჭერთა ფართო მასის მობილიზება იყო. ყოვლისმომცველი პოლიტიკა საარჩევნო კამპანიის გამოკვეთილ ნიშანს წარმოადგენდა. საქართველოში პოლიტიკის მედიატიზაცია ეტაპობრივად მოხდა და პიკს ,,ვარდების რევოლუციის" დროს მიაღწია. საარჩევნო კამპანიის სპეციალიზაციის საწყის ეტაპზე, პარტიები მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში სარგებლობდნენ სპეციალისტების (კონსულტანტების)

დახმარებით.

ზვიად გამსახურდიას მმართველობის ხანმოკლე პერიოდი პოლიტიკური კამპანიის სრულყოფილი ანალიზის საშუალებას არ გვაძლევს. ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში საარჩევნო კამპანიის ტრანსფორმაციისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობები გაჩნდა. აღნიშნული პერიოდი საარჩევნო კამპანიის სპეციალიზაციის კუთხით შეგვიძლია გავყოთ ორ ეტაპად: პირველი მოიცავს 1990-იანი წლების პირველ ნახევარს და შესაძლოა პირობითად ვუწოდოთ საწყისი ეტაპი; ხოლო მეორე კი - 1990 -იანი წლების მეორე ნახევარს და შემდგომ პერიოდს 2003 წლამდე, რომელსაც შეგვიძლია გარდამავალი პერიოდი დავარქვათ. პოლიტიკური კამპანიის ამერიკანიზაცია აქტიურად განხორციელდა ,,ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში. სწორედ 2003 წლიდან 2012 წლამდე განიცადა პოლიტიკურმა კამპანიამ ტრანსფორმაცია და აღნიშნული პერიოდი წარმოადგენს კვლევის განსაკუთრებული ინტერესის საგანს. უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე, არაერთი კვლევა ჩატარდა პოლიტიკური კამპანიის ტრანსფორმაციის ირგვლივ (Blumler and Kavanagh, 1999; Farrel, 1996; Farrel, Kolodny and Medvic, 2001; Gibson and Rommele, 2001; Mancini, 1999; Norris, 2004; Swanson and Mancini, 1996; Plasser and Plasser, 2002), თუმცა ჩვენი რეგიონი და განსაკუთრებით საქართველო კვლავ ყურადღების მიღმა რჩება. აღნიშნული ნაშრომით შევეცადე მოკრძალებული წვლილი შევიტანო ამ საკითხის გააზრებაში.

ლიტერატურის მიმოხილვა

ბოლო პერიოდში პოლიტიკური კამპანიის კვლევის მიმართ ინტერესი პოლიტიკის მეცნიერებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც განპირობებულია ახალ დემოკრატიებში მასობრივად განხორციელებული საარჩევნო კამპანიის ამერიკანიზაციით. პოლიტიკური პარტიები ამ ქვეყნებში ხასიათდებიან სუსტი ორგანიზაციით, წევრების სიმცირითა და განსაკუთრებული ფოკუსირებით ხანმოკლე პოლიტიკურ მიზნებზე. აღნიშნული მიზეზების გათვალისწინებით, ახალ დემოკრატიებში საარჩევნო კამპანიის ტრანსფორმაცია გაცილებით სწრაფად და ნაკლები ბარიერის პირობებში მიმდინარეობს, ვიდრე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (Farrell, 1996). საინტერესო იყო სხვადასხვა ავტორის მოსაზრება, რომ პოლიტიკური კამპანიის ამერიკანიზაციამ პიკს ფერადი რევოლუციის ქვეყნებში მიაღწია, სადაც პარტიები ამომრჩევლის ინტერესების სუსტი რეპრეზენტატულობით გამოირჩევიან (Anable, 2006, pp. 7-43; Dobbs, 2000, In: Polese & O'Beachain, 2011; MacKinnon, 2007; Sussman, 2006, pp. 15-29; Sussman & Krader, 2008, pp. 91-112). პარტიების სუსტი რეპრეზენტატულობა გულისხმობს ამომრჩევლის მობილიზებისა და მათი ინტერესების წარმოდგენის შესაძლებლობის სისუსტეს (Crotty, 2006, p. 501).

ადრეული ავტორები შილერი და ბოიდ-ბარეტი ამერიკანიზაციას განიხილავდნენ, როგორც ამერიკული კულტურული იმპერიალიზმის შედეგს (Schiller, 1968; Boyd -Barret, 1977). ამგვარი რადიკალური მიდგომა მოგვიანებით შეიცვალა. ცხადი გახდა, რომ ამერიკანიზაცია არ გულისხმობდა, თითქოს ეს პროცესი ყველგან და ყოველთვის მსგავსი შედეგებითა და ინტენსივობით მიმდინარეობდა (Swanson, Mancini, 1996, p. 6). ნეგრინმა და პაპასანასოპოულოსმა ხაზგასმით მიუთითეს, რომ პოლიტიკური კამპანიის ტრანსფორმაცია მნიშვნელოვნად არის განპირობებული ქვეყნის შიგნით (პოლიტიკაში, მედიაში, საზოგადოებაში) მიმდინარე პროცესებით (Negrine, Papathanassopoulos, 1996, p. 59). ნორისის მიერ წარმოდგენილი საარჩევნო კამპანიის ,,იმპორტ-ექსპორტის“ მოდელი მიუთითებს, რომ ამერიკანიზაციის პროცესი ,,იმ კამპანიური ტექნოლოგიების სესხებას გულისხმობს, რომელიც უფრო გამოსადეგი იქნება“ (Norris, 2004, p. 1). ტერმინ ამერიკანიზაციას ჰყავს კრიტიკოსებიც. ჰოლც-ბაჩა მიიჩნევს, რომ იგი მოდერნიზაციამ უნდა ჩაანაცვლოს, რომელიც აქცენტს უფრო მეტად პროფესიონალიზაციასა და ენდოგენურ ცვლილებებზე აკეთებს (Holtz-Bacha, 2004, p. 15). სკამელი კი

ამერიკანიზაციას გლობალიზაციით ანაცვლებს და მის მამოძრავებელ ფაქტორად მასმედიასა და პარტიების ორგანიზაციულ სტრუქტურას მიიჩნევს (Scammel, 1998, p. 15). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ავტორები ტერმინ ამერიკანიზაციას აკრიტიკებენ, ორივე მათგანი აღიარებს პოლიტიკური კამპანიის ტრანსფორმაციის პროცესში აშშ-ში დაგროვილი გამოცდილების მნიშვნელობას. ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტერმინი ამერიკანიზაცია გულისხმობს, როგორც ამერიკული საარჩევნო ტექნოლოგიების მასობრივ გავრცელებას, აგრეთვე პოლიტიკური კამპანიის მოდერნიზაციასა და პროფესიონალიზაციას.

პოლიტიკური კამპანიის ტრანსფორმაციის კუთხით მასშტაბური მნიშვნელობის იყო ფლასერის (Plasser and Plasser, 2002) ნაშრომი, რომელიც საარჩევნო კამპანიის ტრანსფორმაციისა და მისი მახასიათებლების, ფაქტობრივად მსოფლიო გამოცდილებას გვიზიარებდა. თუმცა, საქართველოს შესახებ მწირი ინფორმაცია იყო წარმოდგენილი. ბეზნოსოვის აზრით, ახალ დემოკრატიებში სუსტი პარტიული ორგანიზაციის პირობებში, მაშინ როდესაც პერსონალიზაცია და მედიატიზაცია პოლიტიკის გამოკვეთილი ნიშნებია, სახეზეა პოლიტიკური კამპანიის ამერიკანიზაცია (Beznosov, 2007). გარდამტეხი მნიშვნელობის იყო შვანსონისა და მანჩინის (Swanson and Mancini, 1996) ნაშრომი, რომელმაც დაიწყო საარჩევნო კამპანიის ტრანსფორმაციის კვლევა. აღნიშნული ნაშრომი განსაკუთრებით ღირებული იყო იმის გათვალისწინებით, რომ იგი სწავლობდა, როგორც საარჩევნო კამპანიის თავისებურებებს განვითარებულ დემოკრატიებში, აგრეთვე პოლიტიკური კამპანიის ტრანსფორმაციას ახალ დემოკრატიებში. აღსანიშნავია, რომ შვანსონისა და მანჩინის მიერ წარმოდგენილი ამერიკანიზაციის მახასიათებლები სხვადასხვა ავტორებს მანამდეც აქვთ მითითებული და აღნიშნული კვლევის შემდეგაც. მაგალითად, კავანაჰი სუსტ იდეოლოგიურ საფუძვლებსა და პერსონალიზაციას ამერიაკნიზაციის მახასიათებლად აღნიშნული კვლევის ჩატარებამდე განიხილავდა (Kavanagh, 1995). ფლასერი და მეიერი კი მედიის განასკუთრებულ როლზე მიუთითებენ (Plasser and Plasser, 2002; Meyer, 2005). შვანსონისა და მანჩინის ნაშრომის ფუნდამენტურ მნიშვნელობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მათ თავი მოუყარეს თითოეულ მახასიათებელს და ერთიან კონტექსტში გააანალიზეს მათი მნიშვნელობა. ის დანაკლისი, რაც ამ ნაშრომს პოლიტიკური კამპანიის სპეციალიზაციის კუთხით ჰქონდა, მოგვიანებით მედვიცის (Medvic, 1997) კვლევით შეივსო.

ჩვენ შეგვიძლია ორი მოდელი გამოვყოთ ამერიკანიზაციის, როგორც პოლიტიკური კამპანიის ტრანსფორმაციის კუთხით: დიფუზიური, რომელიც ტრანსფორმაციას, როგორც მიმბაძველობის და გარეგანი გავლენის შედეგს ისე განიხილავს და მოდერნიზაციული, რომელიც მიიჩნევს, რომ ამერიკანიზაცია ენდოგენური პროცესების შედეგია (Plasser & Plasser, 2002). გურევიტჩი ეთანხმება დიფუზიურ მიდგომას და მიიჩნევს, რომ პოლიტიკური კამპანიის ამერიკანიზაცია დირექტიული პროცესია, როდესაც ხდება ამერიკული საარჩევნო ტექნოლოგიების უპირობო გაზიარება სხვადასხვა ქვეყანაში (Gurevitch, 1999, p. 283). მოდერნიზაციული მიდგომა, რომელიც უფრო ფართოდ არის გავრცელებული, საარჩევნო კამპანიის ამერიკანიზაციას კომპლექსურად განიხილავს. ამ მიდგომის თანახმად, პოლიტიკური კამპანიის ტრანსფორმაციის პროცესი მსგავსი მახასიათებლებით გამოირჩევა, თუმცა ეს მსგავსება ქვეყნის შიგნით მიმდინარე ცვლილებების შედეგია და არ აქვს ხელოვნური ხასიათი (Negrine and Papathanassopoulos, 1996; Kavanagh, 1995; Caspi, 1996). კვლევის ფარგლებში მე ვიკვლევ საარჩევნო კამპანიის ამერიკანიზაციის გამომწვევ იმ ფაქტორებს, რომელიც მოდერნიზაციულ ჯგუფს განეკუთვნება.

კვლევის მეთოდოლოგია და თეორიული ჩარჩო

აღნიშნული კვლევის მიზანია შეისწავლოს საქართველოში საარჩევნო კამპანიის ტრანსფორმაცია.

კვლევის ობიექტად შევარჩიე საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიებიდან შერჩეული კვალიფიციური სუბიექტების საარჩევნო კამპანიის სტრატეგია, რომელიც ზუსტად ასახავს პოლიტიკური კამპანიის ტრანსფორმაციის მოდელს.

კვლევის თეორიული ჩარჩოა საარჩევნო კამპანიის ამერიკანიზაციის თეორია (Swanson and Mancini, 1996), რომლის თანახმადაც საარჩევნო კამპანიის ამერიკანიაზაციას მოდერნიზაციული ფაქტორები უქმნის საფუძველს. ამ მოსაზრების მიხედვით, საზოგადოებაში მაკრო დონეზე (მედიაში, ტექნოლოგიებსა და საზოგადოებრივ სტრუქტურებში) მიმდინარე ცვლილებები საფუძველს უქმნის მიკრო დონის ცვლილებებს (პარტიები, კანდიდატები, ჟურნალისტები). იმავე პოზიციას იზიარებენ სხვებიც, რომელთა შეხედულებით, ახალ დემოკრატიებში მიმდინარე ცვლილებების ნიადაგზე ხდება ,,ამერიკული საარჩევნო კამპანიის გამოცდილების ადაპტაცია და დანერგვა“ (Blumler and Gurevitch, 2001). ამერიკანიზაციის თეორია პოლიტიკური კამპანიის ამერიკანიზაციის შესაფასებლად შემდეგ კრიტერიუმებს წარმოგვიდგენს: ა) მედიატიზაცია; ბ) საზოგადოებრივი აზრის კვლევაზე ფოკუსირება; გ) პროფესიონალიზაცია; აღნიშნული კრიტერიუმების გარდა, საქართველოს სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელია დავამატოთ კიდევ ერთი კრიტერიუმი: დ) ტელევიზიების ინსტრუმენტალიზაცია;

შვანსონი და მანჩინი მედიატიზაციას ამერიკანიზაციის მთავარ ელემენტად განიხილავენ (Swanson and Mancini, 1996). ფლასერი მედიატიზაციის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად განიხილავს იმას, რომ ტელევიზია არის პოლიტიკური ინფორმაციის მთავარი გადამცემი (Plasser & Plasser, 2002). საარჩევნო კამპანიის პროცესში ტელევიზია ყურადღებას ამახვილებს ლიდერებზე, ხდება პოლიტიკის პერსონალიზაცია. ტელევიზიის როლი ამ კუთხით კიდევ უფრო დიდია იმ ქვეყნებში, სადაც მედიასაშუალებებიდან სწორედ ტელევიზიას უკავია მოწინავე პოზიცია აუდიტორიაში პოპულარობის კუთხით.

საარჩევნო კამპანიის ამერიკანიზაციის პროცესში საზოგადოებრივი აზრის კვლევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. შვანსონი და მანჩინი, როდესაც მის განსაკუთრებულ აუცილებლობაზე მიუთითებენ მხედველობაში აქვთ პარტიებსა და მოქალაქეებს შორის შესუსტებული იდეოლოგიური კავშირი (Swanson and Mancini, 1996). ამგვარი მდგომარეობა ხშირად ყოვლისმომცველი პოლიტიკის სახელით მოიხსენიება (Swanson, 2005). მაშინ, როდესაც პარტიებს შორის იდეოლოგიური წყალგამყოფი არ არის გამოკვეთილი, ყველაფერი კეთდება ამომრჩევლის ხმების მოზიდვისთვის. საარჩევნო კამპანიის მწარმოებლებმა მარკეტინგიდან ისესხეს ამომრჩევლის იდენტიფიცირებისა და კამპანიური რესურსების კონცენტრირების სტრატეგია (Scammel, 1998).

მას შემდეგ, რაც ცხადი გახდა, რომ საარჩევნო კამპანია იდეოლოგიური დაპირისპირების ნაცვლად მედიატიზაციას და პერსონალიზაციას გულისხმობდა, დღის წესრიგში დადგა საარჩევნო კამპანიის სპეციალიზაციის საკითხი. პოლიტიკურმა კამპანიამ შეიძინა უფრო მეტად ,,მეცნიერული“ ხასიათი (Swanson and Mancini, 1996). საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად საჭირო გახდა სპეციალისტების - კონსულტანტების დახმარება, რაც ამერიკანიზაციის კიდევ ერთი მახასიათებელია.

პოლიტიკური კამპანიის ტრანსფორმაცია განპირობებულია, როგორც ქვეყნის შიგნით მიმდინარე გარდაქმნებით, აგრეთვე გლობალიზაციის პირობებში მიმდინარე პროცესებით. ეს არის ერთგვარი ,,ქსელი,“ რადგან მსოფლიოს ქვეყნებში საარჩევნო კამპანიის წარმოების პრაქტიკა სწორედ აშშ-დან გავრცელდა. აქედან მოდის ტერმინი ამერიკანიზაცია. თუმცა, ამერიკანიზაცია ყველგან ერთნაირად არ მომხდარა. ქვეყნებში, სადაც დემოკრატიული ტრანზაცია წარმატებით დასრულდა პოლიტიკური ტრანსფორმაცია ჰიბრიდიზაციის გზით განვითარდა, ხოლო გარდამავალ დემოკრატიებში, სადაც პარტიული რეპრეზენტატულობის სისუსტე გამოკვეთილი ნიშანია ტრანსფორმაცია სტანდარტიზაციის მიმართულებით წარიმართა.

მონაცემების მოპოვებისა და დამუშავებისთვის გამოყენებულ იქნა კვლევის თვისებრივი მეთოდოლოგია. კვლევის მიზანი იყო იმის ახსნა, თუ როგორ წარიმართა პოლიტიკური კამპანიის ტრანსფორმაცია

საქართველოში ამერიკანიზაცია / სტანდარტიზაციის მოდელის მიხედვით. საარჩევნო კამპანიის ტრანსფორმაციის სიღრმისეული ანალიზისთვის საჭირო იყო ძირითად ინფორმანტებთან ჩამეწერა ინტერვიუ. ამ მიზნით, ,,ექსპერტული" ინტერვიუები ჩაიწერა პოლიტიკურ კონსულტანტებთან. მათი შერჩევა მოხდა მიზნობრივი და თოვლის გუნდის მეთოდით. პოლიტიკური კამპანიის ტრანსფორმაცია პარტიების საარჩევნო სტრატეგიებში აისახება. აღნიშნულის გათვალისწინებით სიღრმისეული ინტერვიუები ჩავატარე პოლიტიკური პარტიების იმ წარმომადგენლებთან, რომლებიც საარჩევნო კამპანიის დაგეგმვის კუთხით მუშაობენ ან აქვთ შესაბამისი ინფორმაცია. პარტიების შერჩევისას ჩემი ამოცანა იყო მათ მიერ პოლიტიკური კამპანიის სტრატეგიის შემუშავების სიღრმისეული ანალიზი. აღნიშნულის გათვალისწინებით, მივმართე მიზნობრივ შერჩევას და კრიტერიუმად გამოვყავი საკვლევი პერიოდის მანძილზე პარტიის კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის სტატუსი.[1]

ნაშრომის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა შემესწავლა ელექტორატის აღქმა საარჩევნო კამპანიის მოდელის შესახებ. კვლევის საწყის ეტაპზე გამოვლინდა, რომ 2003 წელი პარტიებში და ექსპერტებში განიხილება, როგორც გარდამტეხი ეტაპი საარჩევნო კამპანიის ტრანსფორმაციის თვალსაზრისით. აღნიშნულის გათვალისწინებით ვიხელმძღვანელე შემდეგი კრიტერიუმებით: 1. გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო რესპოდენტთა ასაკი და უნდა გამომეკითხა ადამიანები, რომლებიც 2003 წელს მიმდინარე პროცესებს, როგორც ამომრჩეველი ისე ადევნებდნენ თვალს და ამავდროულად 2004 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე მინიმუმ ერთ არჩევნებში მაინც ღებულობდნენ მონაწილეობას; 2. გამოკითხული რესპოდენტები უკანასკნელი 25 წლის მანძილზე უწყვეტად უნდა ყოფილიყვნენ საქართველოს მაცხოვრებლები, რათა მათი აღქმა საარჩევნო კამპანიის მოდელთან დაკავშირებით არ ყოფილიყო ზედაპირული. ამგვარად გამოიკვეთა, რომ უნდა გამომეკითხა რესპოდენტები, დამეცვა სქესობრივ-ასაკობრივი პროპორცია (40-49 და 50 +) და საქართველოში ცხოვრების 25 წლიანი ცენზი. კვლევის მანძილზე სულ ჩატარდა 64 სიღრმისეული ინტერვიუ ამომრჩეველთან.

პარტიების სუსტი რეპრეზენტატულობა

ელექტორატის ინტერესების რეპრეზენტატულობა არაპირდაპირი დემოკრატიის გამოკვეთილ პრობლემას წარმოადგენს. პოლიტიკური პარტიები დასცილდა საზოგადოების ინტერესებს, რაც პარტიების სუსტ რეპრეზენტატულობას გულისხმობს (Linz, 2002, p. 301). აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით მწვავედ იმ ქვეყნებში დგას, სადაც პოლიტიკური პარტიები მყიფე იდეოლოგიური საფუძვლებითა და არამდგრადობით ხასიათდებიან. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში პოლიტიკურ პარტიებს არ ჰქონდათ სტაბილურობის განცდა. პარტიული სისტემა განიცდიდა კრიზისს საზოგადოებრივი ინტერესების არტიკულაცია-აგრეგაციისა და ამომრჩეველსა და პარტიებს შორის პროგრამულ / იდეოლოგიური კავშირის თვალსაზრისით. პოლიტიკის პერსონალიზაცია და ლიდერზე განსაკუთრებული დამოკიდებულება პარტიების გამოკვეთილი ნიშანი იყო. აღნიშნული მიზეზები ძირს უთხრიდა მათ განვითარებას და განაპირობებდა პარტიების სუსტ რეპრეზენტატულობას. ,,ვარდების რევოლუციის" შემდეგ მმართველი პარტია საზოგადოების განსაკუთრებული მხარდაჭერით სარგებლობდა, თუმცა ლიდერებზე ფოკუსირების ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა.

ეფექტური პარტიების რაოდენობა (ENP) [2] ის ინდიკატორია, რომელიც საშუალებას გვაძლევს

---

[1] ინტერვიუების ჩაწერის კუთხით მნიშვნელოვანი დახმარება გამიწიეს პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა.

[2] $ENP=1/\!/\mathbf{\Sigma(Si)^2}$

Si - თითოეული პარტიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა

განვსაზღვროთ პარტიების რეპრეზენტატულობა (Laakso, Tagepera, 1979, pp. 3- 27). ეფექტური პარტიების რაოდენობის გამოყენებით, რაც პარტიის მიერ მიღებული ხმების მეშვეობით განისაზღვრება, ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ მათი პოლიტიკური წონა და პარტიების რეპრეზენტატულობის კუთხით არსებული მდგომარეობა. ეფექტური პარტიების მაღალი მაჩვენებელი ნიშნავს, რომ პარტიული სისტემა დიფუზიურია, ხოლო დაბალი მაჩვენებელი კი დომინანტი პარტიების არსებობაზე მიუთითებს. საორიენტაციოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ მკვლევარების შეფასებით ეფექტური პარტიების ყველაზე მაღალი მაჩვენელი 6,30 -ია, ხოლო ყველაზე დაბალი კი - 3,14. დამოუკიდებლობის პირველ წლებში საქართველო ეფექტური პარტიების მიხედვით მსოფლიოში მოწინავე ადგილზე იყო, თუმცა ეს პარტიული სისტემის განსაკუთრებულ ფრაგმენტაციას გულისხმობდა. 1990-იანი წლების მეორე ნახევარში ეფექტური პარტიების რაოდენობა შედარებით გაიზარდა, მაგრამ ფრაგმენტაცია კვლავ პრობლემას წარმოადგენდა. საპარალამენტო ფრაქციებისა და პოლიტიკური პარტიების შეუთავსებლობა და დომინანტური მმართველი პარტია ფრაგმენტული, გათიშული ოპოზიციის პირისპირ კიდევ უფრო ამწვავებდა პარტიებში არსებულ რეპრეზენტატულობის კრიზისს (Bader, 2008, p. 4).



დიაგრამა №1; წყარო: A) Dawisha & Deets, 2006, Intended and Unintended Consequences of Elections in Russia and Postcommunist States. p. 17. b) Gallagher, 2014, *Election Indices*, p. 14).

,,ვარდების რევოლუციის" შემდეგ პარტიების რეპრეზენტატულობის პრობლემას ხელოვნურად შექმნილი საფრთხე აღრმავებდა. ჩამოყალიბდა არაერთი ,,სატელიტური" პარტია, რომელიც ბლოკავდა მმართველი გუნდისთვის არასასურველ პარტიას. ფსევდო ოპოზიციური პარტიები ორიენტირებული იყვნენ ოპოზიციის დასუსტებაზე, მათთვის ხმების წართმევის გზით. ბოლო პერიოდში ქვეყანაში პარტიების რაოდენობამ 220-ს მიაღწია, თუმცა მათი უმრავლესობა არ ღებულობს აქტიურ პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობას. არაერთი პატარა პარტიის არსებობის გამო იფანტება იდენტური ინტერესების მქონე სოციალური ხმები და სუსტდება პარტიები, რაც საბოლოოდ იწვევს პარტიების რეპრეზენტატულობის კრიზისს.

საქართველოში პარტიები ამომრჩევლის ინტერესების სუსტი რეპრეზენტატულობის პირობებში, ცდილობდნენ აღნიშნული პრობლემის პოლიტიკური პოპულიზმით კომპენსირებას. მათ ვერ შეძლეს შეესრულებინათ შუამავლის როლი საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის. ,,წინასაარჩევნოდ წარმოდგენილი პროგრამა მხოლოდ ფარდაა იმის საჩვენებლად, თითქოს პარტია ითვალისწინებს საზოგადოებრივ ინტერესებს" (Wheatley, 2005, p. 158). ტრადიციულად, პარტიები ერიდებიან დაიკავონ მკვეთრად მემარცხენე ან მემარჯვენე პოზიცია. ამგვარ პირობებში ამომრჩეველს უჭირს პარტიებს შორის არსებული იდეოლოგიური განსხვავებების აღქმა და ხმის მიცემის დროს კვლავ ლიდერზე აკეთებს

აქცენტს. კვლევის თანახმად, პოლიტიკის პერსონალიზაციაზე მიუთითებენ, როგორც პარტიები, აგრეთვე ელექტორატი:

,,ლიდერის ქარიზმა, მეტყველების ტიპი, სიმაღლე, სქესი, ბიოგრაფია და სხვა, ძალიან სერიოზულ გავლენას ახდენს არჩევნებზე. იდეოლოგია სერიოზულად აგებს ლიდერთან მიმართებაში" *[ინტერვიუ ,,რესპუბლიკური პარტიის" ლიდერთან ლევან ბერძენიშვილთან].*

,,საქართველოში ძალიან დიდი იყო ყოველთვის ლიდერების როლი. თუ გადავხედავთ პარტიების ისტორიას, იდეოლოგიური განსხვავება უკან იხევდა და ჩანდა ძლიერი პიროვნებები. ეს იქნებოდა გია ჭანტურია, შევარდნაძე, თუ ვინც არ უნდა ყოფილიყო *[ინტერვიუ ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიდერთან დავით დარჩიაშვილთან].*

ელექტორატის განწყობის კვლევისას ერთი საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა. რესპოდენტები მიუთითებენ, რომ იდეოლოგია პარტიისთვის მნიშვნელოვანია, თუმცა ამბობენ, რომ არჩევნებში ხმის მიცემის დროს ლიდერის ფაქტორი გადამწყვეტია.

,,ჩვენთან პიროვნულ ფაქტორს ენდობა ხალხი და ეს წყვეტს არჩევნებში პარტიის წარმატებას" *[რომანი, 55 წლის, ავტოზეინკალი, მუხიანი].*

,,გავლენიანი ლიდერის გარეშე საქართველოში პარტიას არ აქვს არანაირი პერსპექტივა *[თამარი, 40 წლის, ფილოლოგი, რუსთავი].*

გამოკითხული ამომრჩევლები თავს არ განიხილავენ რომელიმე პარტიის სტაბილურ ამომრჩევლად და ამის მიზეზად წლების მანძილზე მიღებულ იმედგაცრუებას ასახელებენ. საინტერესოა, რომ ის ერთეული ამომრჩეველიც კი, ვინც თავს რომელიმე პარტიის სტაბილურ ამომრჩევლად მოიზარებს, ამას ლიდერის მიმართ ერთგულებით ხსნის:

,,ვარ ერთ-ერთი პარტიის სტაბილური ამომრჩეველი. ჩემთვის მნიშვნელოვანია, როგორც ლიდერი, აგრეთვე იდეოლოგია, მაგრამ ვთვლი, რომ უფრო მეტად ლიდერია განმსაზღვრელი" *[ილონა, 45 წლის, სვანეთისუბანი].*

საქართველოში პოლიტიკური პარტიების განვითარების არასტაბილურობა საფრთხეს უქმნის ამომრჩევლის ინტერესების რეპრეზენტატულობას. პედერსენის ინდექსი (Pedersen, 1983) სწავლობს პარტიებისა და ელექტორატის არასტაბილურობას. პედრესენის ინდექსის მიხედვით საქართველო იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, სადაც პარტიების არამდგრადობა მაღალ მაჩვენებელს აღწევს და ზოგჯერ რამდენჯერმეც კი აღემატება არასტაბილური ელექტორატის მაჩვენებელს.



დიაგრამა №2; წყარო: Nef Powel & Tucker, 2009, New Approaches to Electoral Volatility: Evidence from Postcommunist Countries

საქართველოში ოპოზიციური პარტიების არამდგრადობა უკიდურესად მაღალია და პარტიების სუსტი

რეპრეზენტატულობის კუთხით ერთ-ერთ მთავარ პრობლემად განიხილება. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრა კომუნისტური პარტია, იგივე ბედი გაიზიარა შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ბლოკმა ,,მრგვალმა მაგიდამ - თავისუფალმა საქართველომ," რომელიც მანამდე დომინანტი პოლიტიკური ძალის როლს ასრულებდა. ,,მოქალაქეთა კავშირი" და ,,აღორძინება," რომელთაც 1990-იან წლებში საკმაოდ დიდი გავლენა და მხარდაჭერა ჰქონდათ ,,ვარდების რევოლუციის" შემდეგ გაქრა. ამ თვალსაზრისით, ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა," რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გადავიდა ოპოზიციაში და აგრძელებს პოლიტიკურ საქმიანობას.

პარტიებს შორის იდეოლოგიური წყალგამყოფების არარსებობა ელექტორატის არამდგრადობას უწყობს ხელს. წინასაარჩევნო პერიოდში არჩევნებში გამარჯვების მიზნით შექმნილი ეფემერული პოლიტიკური ბლოკები ასუსტებს პარტიების რეპრეზენტატულობას (Bader, 2007, p. 8). ამომრჩეველი ხშირ შემთხვევაში ვერ ხედავს პარტიებს შორის ფუნდამენტურ განსხვავებას, რაც პარტიების ხშირი ცვლის საფუძველია:

,,საქართველოში მოქმედი პარტიები ძალიან ჰგავს ერთმანეთს, რომლებიც საარჩევნო პერიოდში აქტიურდებიან და იძლევიან ფაქტიურად შეუსრულებელ დაპირებებს" *[თემური, 65 წლის, ფიზიკოსი, ფანასკერტელის ქუჩა].*

ელექტორატის არასტაბილურობაზე მიუთითებენ და ამას საინტერესო ახსნას უძებნიან სოციოლოგები:

,,კვლევების თანახმად, დიდი შანსია, რომ ადამიანმა მხარი დაუჭიროს პარტიას, რომელიც კონკრეტულს არაფერს პირდება ან ატყუებს, ან ისეთ რაღაცას პირდება, რასაც ვერ შეასრულებს" *[ინტერვიუ CRRC-ის პრეზიდენტთან კობა თურმანიძესთან].*

ტრანზაციის პერიოდში პოსტსაბჭოთა საზოგადოებებში ნდობა პოლიტიკური პარტიების მიმართ დაინგრა, რაც არჩეული პოლიტიკური ძალის მიერ ამომრჩევლის ინტერესების რეპრეზენტატულობის სისუსტით აიხსნება (Sapsford Abbott, 2006, pp. 59-71; Stzompka, 1999). საქართველოში წინასაარჩევნო დაპირება უმეტესწილად ელექტორატის მოზიდვაზეა ორიენტირებული და ხშირად ჩანს ამომრჩეველთან კომუნიკაციის პრობლემა:

,,ამომრჩეველთან ურთიერთობა არის ძალიან რთული ხელოვნება, რომელიც მოითხოვს, დაახლოებით 20-ჯერ მეტ რეზერვს, ვიდრე ამა თუ იმ პარტიას აქვს *[ინტერვიუ ,,რესპუბლიკური პარტიის" ლიდერთან ლევან ბერძენიშვილთან].*

,,საარჩევნო წელი არის ყველაზე მეტად აქტიური, როცა ამომრჩეველი და კონკრეტულად პარტიები ურთიერთობენ ერთმანეთთან. დანარჩენი პერიოდი პასიური რეჟიმია" *[ინტერვიუ ,,ეროვნული ფორუმის" წარმომადგენელთან შორენა ხორბალაძესთან].*

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს პარტიული სისტემა განიცდის კრიზისს რეპრეზენტატულობის კუთხით. ერთის მხრივ, პარტიულ სისტემაში გადაუჭრელ პრობლემად რჩება საზოგადოებრივი ინტერესების არტიკულაცია-აგრეგაციისა და ამომრჩეველსა და პარტიებს შორის პროგრამულ / იდეოლოგიური კავშირის სისუსტე. პოლიტიკურ ძალებს არ აქვთ სტაბილურობის განცდა და ორიენტირებული არიან მოკლევადიან წარმატებაზე. ამასთან ერთად, პოლიტიკის პერსონალიზაცია და ლიდერზე განსაკუთრებული დამოკიდებულება კიდევ უფრო ამწვავებს პარტიული სისტემის რეპრეზენტატულობის კრიზისს.

საარჩევნო კამპანიის ამერიკანიზაცია

ბოლო ათწლეულების მანძილზე, მსოფლიოს არაერთი დემოკრატიის საარჩევნო კამპანია დაემსგავსა აშშ-ში წარმოებულ წინასაარჩევნო კამპანიას. მახასიათებლების განსაკუთრებული მსგავსების გამო სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე პროცესს საერთო სახელი საარჩევნო კამპანიის ამერიკანიზაცია ეწოდა.

საქართველო ერთ-ერთია იმ ქვეყნებს შორის, სადაც საარჩევნო კამპანიის ამერიკანიზაცია 1990-იანი წლებიდან დაიწყო და განსაკუთრებით ,,ვარდების რევოლუციის" პერიოდიდან გააქტიურდა. აღნიშნულის საფუძველს ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცვლილებები ქმნიდა. პარტიული სისტემის რეპრეზენტატულობის კრიზისი და მძლავრი კომერციული მედიასაშულების შექმნა კი სწორედ ამ ცვლილებებს უკავშირდებოდა.

1. მედიატიზაცია

მასმედიამ კომუნისტური რეჟიმის რღვევის პროცესში ცენტრალური როლი ითამაშა (McNair, 1991), მომდევნო პერიოდში კი პოსტსაბჭოთა ლიდერებისთვის ნათელი გახდა, რომ მედია და განსაკუთრებით ტელევიზია მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პოლიტიკური ინსტრუმენტი იყო.

სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მსგავსად, საქართველოში პოლიტიკური კომუნიკაციის პროფესიონალიზაციას არ აქვს ხანგრძლივი ისტორია და მას ნახევრსაუკუნოვანი დაგვიანებით მოუხდა განვითარება. აღნიშნულმა გარემოებამ თავისი კვალი დატოვა, რადგან უმოკლეს პერიოდში მოხდა საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ადაპტირება. თუმცა, მედიამ რომელიც ათწლეულების მანძილზე ცენზურას ექვემდებარებოდა საზოგადოებაში მზარდი ნდობა და გავლენა მოიპოვა და მოხდა პოლიტიკის მედიატიზაცია. აღნიშნულ პროცესს თან ახლდა პერსონიფიკაცია, პოლიტიკურ ოპონენტებზე პიროვნული თავდასხმა და რადიკალიზმი.



დიაგრამა №25 (წყარო: International Republican Institute, A) *Georgian National Study, October 20 to November, 3, 2004, p. 52;* B) *Georgian National Study,October 18 – 30, 2005, p. 75;* C) *Georgian National Study, April 8 – April 19, 2006, p. 75;* D) *Georgian National Study, August 31 – September 10, 2007, p. 67;* E) *Georgian National Study, April 26 – May 4 2011,* p. 54; F) *Georgian National Study, June 26 – Jule 4, 2012,* p. 29).

ტელევიზია მკაცრი კონტროლის ქვეშ იყო გამსახურდიას მცირეხნიანი მმართველობის პერიოდში, როდესაც მხოლოდ ორი დამოუკიდებელი გამოცემა ფუნქციონირებდა (Nodia, Scoltbach, 2006, p. 9). საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში (1991 წლის მაისი) გამსახურდიამ გამოიყენა კონტროლი მედიაზე, რაც მისი არჩევნებში გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო. პოლიტიკური კონსულტანტების გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე საკვანძო ეტაპი, როდესაც დამოუკიდებლობის პირველ ათწლეულში მედიამ გადამწყვეტი როლი ითამაშა:

,,გამსახურდიას მოსვლა ხელისუფლებაში იყო უფრო მეტად ტელევიზიის და ბეჭდური მედიის

დამსახურება, რომელიც მაშინ უფრო მეტად იკითხებოდა. შემდეგ პირველმა არხმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მომხდარიყო სახელმწიფო გადატრიალება“ *[ინტერვიუ ვალერიან გორგილაძესთან].*

,,ტელევიზიის როლი ძალიან დიდი იყო ეროვნული მოძრაობის დროს, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სახელმწიფო გადატრიალების დროს და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 2000 წელს, როდესაც ვექტორი გავჭერით დასავლეთისკენ“ *[ინტერვიუ სოსო გალუმაშვილთან].*

გამსახურდიას მმართველობის პერიოდში მედია არ ყოფილა დომინანტი კომუნიკაციის საშუალება, რადგან იმ პერიოდში მიტინგები არანაკლებ გავლენიან საკომუნიკაციო არხს წარმოადგენდა. პოლიტიკური შეხედულებების შედარებით ფართო სპექტრს გამოხატავდა მასმედია შევარდნაძის მმართველობის პირველ წლებში, რადგან მედიაზე გავლენის მოსახდენად სუსტი იყო სახელმწიფო (Broers, 2005, pp. 333-350). თავისუფალი მედია შევარდნაძეს გამოცდილი და დემოკრატი პოლიტიკოსის იმიჯს უქმნიდა.

შევარდნაძემ 1995 წლიდან მოახერხა ნახევრად-ფუნქციონირებადი სახელმწიფოს ფორმირება (Wheatley, 2005, pp. 84-85) და მედიასაშუალებების დიდმა ნაწილმა დაიწყო მკვეთრი სახელისუფლებო კურსის გატარება. ამ პერიოდში გაჩნდა გავლენიანი მედიასაშუალება ,,რუსთავი 2”, რომელიც თავად განსაზღვრავდა პოლიტიკური დღის წესრიგს. აღნიშნული მედიასაშუალების ასოცირება ანტისამთავრობო მიმართულებასთან განსაკუთრებით აშკარა გახდა 2001 წელს, როდესაც ივლისის თვეში მოკლეს ტელეკომპანიის პოპულარული ჟურნალისტი (Welt, 2006), ხოლო ოქტომბერში კომპანიაში უშიშროების სამსახური შევიდა. ამ მოვლენებს საპროტესტო აქციები და მთავრობის გადადგომა მოჰყვა. მოგვიანებით ,,რუსთავი 2” საპროტესტო აქციების კატალიზატორი კიდევ ერთხელ 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდშიც გახდა, როდესაც მის მიერ გამოქვეყნებული ექსიტ-პოლის შედეგები ოფიციალურ შედეგებს არ დაემთხვა, ხალხი ქუჩაში გამოვიდა და ,,ვარდების რევოლუციის” შედეგად შევარდნაძე გადადგა. პროცესების ამგვარ განვითარებას საინტერესო ახსნას უძებნიან სოციოლოგები:

,,ტელევიზიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ,,ვარდების რევოლუციის“ წინ. საქართველოში ხალხი ერთ და ორ რაღაცაზე უცებ არ რეაგირებს, რაღაცეებს აგროვებს და მერე ახდენს რეაგირებას. ვარდების რევოლუციის დროსაც ესე მოხდა” *[ინტერვიუ CRRC-ის პრეზიდენტთან კობა თურმანიძესთან].*

,,რუსთავი 2”-მა აგრესიული ტონით, ნიშანთა სისტემის პროფესიონალური გამოყენებით, ჟურნალისტიკისათვის აუცილებელი ავანტიურიზმით თანდათან მიაღწია საზოგადოებრივი აზრის უკონკურენტო კრეატორთა მდგომარეობას“ (იაკობიშვილი, ფირალიშვილი, 2007, გვ. 172-175). გასათვალისწინებელია, რომ იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული მედიასაშუალების მაუწყებლობა ვერ ფარავდა მთელ საქართველოს იგი მაყურებლებში რეიტინგის მიხედვით (იმდროინდელი) სახელმწიფო ტელევიზიის ,,პირველი არხის” შემდეგ მეორე ადგილზე იყო. ამ გარემოებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სამომავლოდ პროცესების განვითარებაში.

,,ვარდების რევოლუციის“ პერიოდში ,,რუსთავი 2” საპროტესტო აქციებს გადასცემდა უწყვეტ რეჟიმში და ადგენდა მოვლენათა იმ თანმიმდევრობას, რომელსაც შემდეგ სხვა მედიასაშუალებებიც იმეორებდნენ. ამ პერიოდში ,,ტელეიმედი” ინარჩუნებდა ნეიტრალურ პოზიციას, ხოლო ტელეკომპანია ,,მზე” კი იზიარებდა ხელისუფლების კრიტიკის რიტორიკას. რევოლუციის დღეებში ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა სახელმწიფო ტელევიზიის ხელმძღვანელის გადადგომა და თანამშრომელთა პროტესტი. რევოლუციის დროს პროცესების განსაკუთრებულ მედიატიზაციაზე მიუთითებენ პოლიტიკური კონსულტანტები:

,,2003 წელს, ფაქტობრივად, გადამწყვეტი როლი ითამაშა ტელევიზიამ. საზოგადოება და პოლიტიკური ლიდერები არ იყვნენ მზად იმისთვის, რაც მოხდა. სწორედ ტელევიზიამ ითამაშა მნიშვნელოვანი როლი საზოგადოების მობილიზაციაში და პოლიტიკურ ლიდერებზე ზეწოლის კუთხითაც” *[ინტერვიუ სოსო გალუმაშვილთან].*

,,ვარდების რევოლუცია უმეტესწილად აგებული იყო ვიზუალურ ეფექტებზე. ქართველები ახლოს ვართ ხატოვან აზროვნებასთან" *[ინტერვიუ ზურაბ მიგვავასთან].*

რევოლუციის შემდეგ ,,რუსთავი 2"-მა ჩვეული აქტიურობა შეანელა და ფოკუსირებული აღმოჩნდა საზოგადოების გართობაზე. ტელევიზიის მრავალფეროვნების პროპაგანდისტული თვისება იმაშიც ვლინდება, რომ მან გასართობი და შემეცნებითი გადაცემებით უზრუნველყოს აუდიტორიის ყურადღების გადატანა (შოშიტაშვილი, 2010, გვ. 87). სააკაშვილის მმართველობის პერიოდში პოლიტიკაში მედიის გააქტიურება 2007 წლის ნოემბრის მოვლენებისას აღინიშნა. თუმცა, ოპოზიციურად განწყობილი ტელეკომპანია ,,იმედის" მაუწყებლობა ხელისუფლებამ პოლიტიკურად საფრთხის შემცველ პერიოდში, საზოგადოებისათვის საშიში ინფორმაციის გავრცელების ბრალდებით შეაჩერა. ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მმართველობისას, ქვეყნის მასშტაბით ყველაზე რეიტინგული ტელევიზია, ,,რუსთავი 2" გამუდმებული საარჩევნო რეჟიმის პირობებში ზრუნავდა მმართველი გუნდის წარმატებული იმიჯის ფორმირებაზე.

2. ტელევიზიის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია

კასპი საარჩევნო კამპანიის ამერიკანიზაციის პროცესში მედიის ,,კარნავალიზაციის" ფუნქციაზე მიუთითებს, როდესაც კონკრეტული მედიასაშუალება განსაკუთრებულ ძალაუფლებას ფლობს და გავლენას ახდენს პოლიტიკაზე (Caspi, 1996, 182). ელექტორატის გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა ის საკვანძო ეტაპი, როდესაც მედიამ, კერძოდ კი ტელევიზიამ გადამწყვეტი გავლენა იქონია პოლიტიკურ პროცესებზე. გამოკითხულთა უმრავლესობა ამ კუთხით გამოყოფს 2003 წელს და ,,ვარდების რევოლუციას," მას მოსდევს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდი:

,,ყველა, ვინც იმ პერიოდს მოესწრო დამეთანხმება, რომ ეს იყო ვარდების რევოლუციის წინა პერიოდი, როდესაც სანახევროდ ფაქტიურად ტელევიზიამ მოახდინა რევოლუცია. გვახსოვს ის კადრები, რომელსაც ,,რუსთავი 2" გადასცემდა, დასავლეთიდან მომავალი ფარებანთებული მანქანები. ესეთი გავლენა მედიის მხრიდან პოლიტიკურ პროცესზე არასოდეს ყოფილა" *[თემური, 65 წლის, ფიზიკოსი, ფანასკერტელის ქუჩა].*

,,ვარდების რევოლუციის დროს ,,რუსთავი 2"-მა ძალიან იაქტიურა და დაიწყო შევარდნაძის მმართველობის დასასრული" *[გიორგი, 42 წლის, ტელემემონტაჟე, ვაზისუბანი].*

თუმცა, იყო ერთეული შემთხვევები, როდესაც რესპოდენტები ,,ვარდების რევოლუციის" და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების ნაცვლად ტელევიზიის განსაკუთრებულ როლს სხვა პოლიტიკურ პროცესებში ხედავდნენ:

,,ტელევიზიის როლი განსაკუთრებით დიდი იყო ცხრა აპრილის დაპირისპირების და 7 ნოემბრის ტელევიზიის დარბევის დროს" *[ლამზირა, 52 წლის, პედაგოგი, გლდანი].*

ჩემს მიერ გამოკითხული პარტიის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ საქართველოში მედიას გადამწყვეტი როლი აკისრია საარჩევნო კამპანიის წარმოებისას:

,,მედია, უბრალოდ რეალობის ამსახველი კი არ არის, რეალობის შემქმნელია და ამის ტექნოლოგიები საკმაოდ არის განვითარებული. მედიას ვინ მართავს, მედიის უკან ვინ დგას, ვისი ინტერესი დგას, ესეც პოლიტიკაა და ერთგვარი შეკრული წრე გამოდის" *[ინტერვიუ ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელთან დავით დარჩიაშვილთან].*

,,მედიას უდიდესი როლი აქვს ამომრჩეველთან ურთიერთობისას. ნებისმიერი პოლიტიკოსი, რომელიც ცდილობს მოვიდეს ხელისუფლებაში ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს მასმედიაზე" *[ინტერვიუ ,,ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" წარმომადგენელთან ზურაბ ღონღაძესთან].*

საარჩევნო კამპანიაზე მასმედიის განსაკუთრებული გავლენის შესახებ საუბრობენ სოციოლოგები და კონსულტანტები:

,,გამოკითხვებითაც ჩანს და ისედაც ცხადია, რომ ტელევიზიას აქვს ძალიან დიდი გავლენა საქართველოში. ჯერჯერობით, ტელევიზიას არანაირი კონკურენტი არ ჰყავს. ტელევიზიები, როგორც ფუთავენ მოვლენებს ხშირად საზოგადოება ისე იწყებს ფიქრს და ეს ძალიან მნიშვნელოვანი რაღაცაა არჩევნებისთვის" *[ინტერვიუ კობა თურმანიძესთან].*

,,საქართველოში პოლიტიკის ფორმირება დიდწილად ხდება მედიის მეშვეობით. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ტელევიზია. ყველა საკვანძო ეტაპი საქართველოში უკავშირდება ტელევიზიას, ,,გამარჯვებული ხალხის ტელევიზია" – ,,რუსთავი 2" და ,,ვარდების რევოლუცია," შემდეგ გამოჩნდა მეცხრე არხი, რომელმაც ცნობილი კადრების მეშვეობით მოახდინა საზოგადოებრივი აზრის ტრანსფორმაცია" *[ინტერვიუ ვაკა გორგილაძესთან].*

3. საზოგადოებრივი აზრის კვლევა

პოლიტიკური პარტიების მიერ წინასაარჩევნო სტრატეგიის ფორმირებისას საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებზე ორიენტირება ამერიკანიზაციის მახასიათებლად განიხილება. ამ კუთხით, უფრო ხშირად, ზოგადი ცნება მარკეტინგი გამოიყენება, რაც ,,გასაყიდი პროქდუქტის" სათანადო ფორმით მიწოდებას გულისხმობს (O'Shaughnessy, 1999, p. 725). გარდამავალი დემოკრატიის პირობებში მიუკერძოებელი საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები დამაჯერებლობას მატებს და ნდობით განაწყობს ამომრჩეველს. განვითარებული დემოკრატიის პირობებში კი იგი არჩევნების მონიტორინგის, პარტიული პლატფორმისა და იმიჯის ფორმირების სტრატეგიული ინსტრუმენტია.

საქართველოში საზოგადოებრივი აზრის კვლევას არ აქვს ისეთი ხანგრძლივი ისტორია, როგორც დასავლეთ ევროპის დემოკრატიების უმეტეს ნაწილში. პოსტსაბჭოთა საქართველოში ერთპარტიული მმართველობის მრავალწლიანმა, მანკიერმა გამოცდილებამ საზოგადოებრივი აზრის კვლევის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დაბრკოლება შექმნა.

,,1990-იანი წლების დასაწყისში იყო შემთხვევები, როცა ამ მიმართულებით, ვინც მუშაობდა თავად ცდილობდა რაღაც მეთოდებით კვლევის ჩატარებას. თუმცა, ხშირად მათ არ ჰქონდათ შესაბამისი ცოდნა" *[ინტერვიუ ზურაბ ბიგვავასთან].*

საზოგადოებრივი აზრის კვლევის დადებითი შედეგები აძლიერებს პარტიის მომხრეთა მხარდაჭერას ან შესაძლოა მიმართული იყოს პოლიტიკოსებისკენ, მედიისკენ, მათი მხარდამჭერებისკენ ან ოპონენტებისკენ (დემორალიზების მიზნით (Nancarrow & Evans, 2004, pp. 639-655)).

,,პარტიების მიხედვით განსხვავდება დამოკიდებულება საზოგადოებრივი აზრის კვლევებისადმი. არიან ძალიან სკეპტიკურად განწყობილი პარტიები, არიან პარტიები, რომლებსაც საერთოდ არ ესმით და კვლევას უყურებენ, როგორც პროპაგანდის საშუალებას. არის ისეთი პარტიებიც, რომლებიც ამას უყურებენ ძალიან სერიოზულად. მაგალითად, ,,ნაციონალური მოძრაობა" ყოველთვის ძალიან სერიოზულად ეკიდებოდა კვლევას" *[ინტერვიუ CRRC-ის პრეზიდენტთან კობა თურმანიძესთან].*

კვლევის დროს გამოიკვეთა, რომ საზოგადოებრივი აზრის კვლევის თვალსაზრისით საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები (ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი - NDI და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი - IRI) პარტიებთან ინტენსიურად თანამშრომლობენ:

,,ამ ორგანიზაციებთან დაფუძნებისთანავე დავიწყეთ აქტიურად თანამშრომლობა. პარლამენტში ყოფნის პერიოდში აქტიურად ვიყავით ჩართული ტრენინგ პროგრამებში, რომელსაც ეს ორგანიზაციები აწყობდნენ. დღესაც არ გვაქვს კავშირი შეწყვეტილი. თუმცა, ჩვენ არ ვართ საპარლამენტო პარტია და NDI-სთან ნაკლები შეხება გვაქვს" *[ინტერვიუ ,,ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" წარმომადგენელთან ზურაბ ღონღაძესთან].*

,,NDI და IRI როგორც წესი, თვითონ გამოდიან კონტაქტზე. ისინი თანამშრომლობენ ყველა პოლიტიკურ პარტიასთან და ბუნებრივია ჩვენც გვაქვს ესეთი თანამშრომლობითი ურთიერთობა" *[ინტერვიუ ,,თავისუფალი დემოკრატების" წარმომადგენელთან თამარ კობერიძესთან].*

საქართველოში საზოგადოებრივი აზრის კვლევა ორი მიმართულებით განვითარდა: რეალური შედეგი, რაც მხოლოდ შიდაპარტიული მოხმარებისთვის არის გამიზნული და გაცხადებული, რომელიც საკუთარი პოლიტიკური ძალის რეკლამირებისთვის გამოიყენება.

,,სამწუხაროდ, ჩვენთან საზოგადოებრივი აზრის კვლევა ხშირად პიარის ნაწილია და მისი ობიექტურობა კითხვებსაც ბადებს" *[ინტერვიუ ,,მრეწველების" ლიდერ ზურაბ ტყემალაძესთან].*

,,ვარდების რევოლუციის" პერიოდში დიდი იყო საზოგადოებრივი აზრის კვლევის გავლენა პროცესებზე. უფრო მეტიც, საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებით ,,მანიპულირება" განიხილებოდა, როგორც დახმარება შევარდნაძის გადაყენების საქმეში. დასავლურ გავლენაინ პრესაში ,,ვარდების რევოლუციის" შესახებ იწერებოდა, რომ ამერიკისა და არასამთავრობო ორგანიზაციების დაკვეთით ჩატარებული ექსიტ-

პოლის შედეგები გადაიცემოდა ,,რუსთავი 2"-ის საშუალებით, იმის საჩვენებლად, რომ პროშევარდნაძისტული ძალები ცდილობდნენ არჩევნების გაყალბებას (Sussman, Krader, 2008, pp. 91-112).

4. პროფესიონალიზაცია

პოლიტიკური კამპანიის ამერიკანიზაცია თავის მხრივ პროფესიონალიზაციასაც გულისხმობს. უფრო მეტიც, რიგ შემთხვევებში საარჩევნო კამპანიის პროფესიონალიზაცია განიხილება, როგორც ამერიკანიზაციის სინონიმი (Negrine and Papathanassopoulos, 1996; pp.45-62).

,,საარჩევნო კამპანიის განსაკუთრებულ პროფესიონალიზაციას, მაინც ,,ნაციონალურმა მოძრაობამ" მიაღწია. ეს ჩანდა მის საარჩევნო კამპანიებში, თუ როგორ გეგმავდა, რა სიმბოლოები ჰქონდა და ეს მნიშვნელოვანწილად ეყრდნობოდა დასავლურ გამოცდილებას. შემდეგ უკვე ოპოზიციამ, 2012-ში ბევრი რამე გადაიღო და იგივე სტილით წარმართა. ჩვენ წინააღმდეგ ოპოზიცია სერიოზულად იყენებდა, ასე ვთქვათ, რუსულ ტექნოლოგიებსაც. ეს არის კომპრომატების სტილი საარჩევნო კამპანიის დროს" *[ინტერვიუ ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელთან დავით დარჩიაშვილთან].*

1990-2012 წლებში საქართველოში 22 არჩევნები ჩატარდა. აქედან 5 საპრეზიდენტო (1991, 1995, 2000, 2004, 2008), 8 საპარლამენტო (1990, 1992, 1995, 1999, 2003, 2004, 2008, 2012) და 4 ადგილობრივი თვითმმართველობის (1998, 2002, 2006, 2010). ამავე პერიოდში გაიმართა 2 რეფერენდუმი (1991, 2003) და 2 პლებისციტი (2008, 2008). საარჩევნო კამპანიის სპეციალიზაციისა და პოლიტიკური ტექნოლოგიების ამერიკანიზაციის მიხედვით აღნიშნული არჩევნები შეგვიძლია დავყოთ სამ ეტაპად:

1. საწყისი ეტაპი - 1990-1994 წლები – ქვეყანაში პირველი ნაბიჯები იდგმებოდა სახელმწიფოებრიობის გზაზე. დამოუკიდებლობით მოპოვებული ეიფორია შიდა დაპირისპირებამ და საომარმა მოქმედებებმა ჩაანაცვლა. თუმცა, პოსტსაბჭოთა საქართველოში მრავალპარტიულმა, კონკურენტულმა არჩევნებმა შექმნა შესაძლებლობა პოლიტიკურ პარტიებს გამოეყენებინათ დასავლეთის ქვეყნების გამოცდილება და მიემართათ პროფესიონალების დახმარებისთვის. პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდა მმართველი პარტია ,,საქართველოს მოქალაქეთა კავშირი," ხოლო მომდევნო წლებში ძლიერი რეგიონული პოლიტიკური ბლოკი ,,აღორძინება." ამ პერიოდში შეიქმნა პირველი ადგილობრივი საკონსულტაციო ცენტრი და ქვეყანაში შემოვიდა პოლიტიკური მარკეტინგის პროფილის მქონე საერთაშორისო დონორი ორგანიზაცია. საწყის ეტაპზე პოლიტიკური კონსულტანტების როლი საარჩევნო კამპანიაში უმნიშვნელო იყო.

2. განვითარების ეტაპი – 1995-2003 წლები – აღნიშნულ პერიოდში მიღებულ იქნა კონსტიტუცია, სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობა დაიწყო და მიმოქცევაში შემოვიდა ეროვნული ვალუტა. ჩამოყალიბდა საზოგადოებრივ აზრზე ძლიერი გავლენის მქონე ტელეკომპანია ,,რუსთავი 2." აღნიშნულ პერიოდში შეიქმნა არაერთი ადგილობრივი საკონსულტაციო ცენტრი და გაძლიერდა კავშირი უცხო ქვეყნის პროფესიონალებთან. წინასაარჩევნო პოლიტიკურმა კამპანიამ პროფესიონალიზაციის მომდევნო საფეხურზე გადაინაცვლა და აქტიურ ფაზაში გადავიდა.

3. პერმანენტული საარჩევნო კამპანიის ეტაპი – 2004-2012 წლები – საქართველოში ,,ვარდების რევოლუციის" შედეგად მოხდა ხელისუფლების ცვლილება. რევოლუციამდელ და პოსტრევოლუციურ საქართველოში განსაკუთრებით გაიზარდა მედიის (ტელევიზიის) როლი პოლიტიკურ პროცესში. წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისას აქტიურად დაიწყო პოლიტიკური კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება. ამ პერიოდში კარგად იქნა გაცნობიერებული და გამოყენებული საარჩევნო კამპანიის მოდერნიზაციის მოთხოვნები, რაც კომერციალიზაციას, გლობალიზაციას და ვიზუალური ეფექტის გავლენას გულისხმობს (სადაც – მასმედიას, განსაკუთრებით კი ტელევიზიას აქვს მნიშვნელოვანი როლი). საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისით განსაკუთრებით

დაწინაურდა მმართველი პარტია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა."

4.1. საწყისი ეტაპი

საქართველოში დამოუკიდებლობის პირველ წლებში პოლიტიკური კონსულტანტების როლი საარჩევნო კამპანიის პროცესში იყო მინიმალური, რაც განპირობებული იყო ,,ახალბედა" დემოკრატიის მახასიათებლებითა და პოლიტიკური მარკეტინგის კუთხით არსებული გამოუცდელობით. გარდა იმისა, რომ ქვეყნის შიგნით არ არსებობდნენ დარგის პროფესიონალები, არც სხვა ქვეყნის სპეციალისტებთან თანამშრომლობდნენ პოლიტიკური პარტიები.

,,ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟზე პოლიტიკურ ტექნოლოგიებზე საუბარი არ იყო. ამ ტექნოლოგიებს ანაცვლებდა ეროვნული მუხტი, რომელიც პოლიტიკური პროცესების ძირითადი გენერატორი იყო. როცა დაიწყო რაციონალიზაციის პროცესი, მაშინ გაჩნდნენ სპეციალისტები. პროფესიული კონსულტირების აუცილებლობა პირველმა გააცნობიერა ზურაბ ჟვანიამ" *[ინტერვიუ ვაკა გორგილაძესთან].*

კვლევის დროს შევისწავლე 1991-1992 წლის არჩევნებზე საარჩევნო ლოზუნგისა და პარტიული ნომრის გამოყენების კუთხით არსებული მდგომარეობა. შედეგმა გვიჩვენა, რომ 1991 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე არცერთ კანდიდატს არ ჰქონდა ლოზუნგი და საარჩევნო ნომერი, ხოლო 1992 წელს საქართველოში საარჩევნო ლოზუნგი პირველად ,,ტრადიციონალისტთა კავშირმა" და ,,ეროვნულ დემოკრატიულმა პარტიამ" შემოიტანეს.

1992 წელს საქართველოში შეიქმნა პირველი საკვლევ-საკონსულტაციო ცენტრი ,,ფსიქოპროექტი," რომელიც ფსიქოლოგმა ზურაბ ბიგვავამ დააფუძნა. საქართველოში პირველად ,,მწვანეთა პარტიამ" მიმართა სპეციალისტებს დახმარებისთვის 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებზე. აღნიშნული საკონსულტაციო ცენტრი მომდევნო წლებში აქტიურად თანამშრომლობდა ,,საქართველოს მოქალაქეთა კავშირთან," ხოლო ზურაბ ბიგვავა კი წლების მანძილზე ქვეყნის გავლენიანი პოლიტიკოსების, - ედუარდ შევარდნაძის, ზურაბ ჟვანიასა და ნინო ბურჯანაძის კონსულტანტი იყო.

,,საქართველოში პოლიტიკური ტექნოლოგიები და პროფესიონალიზაცია ზურა ჟვანიასგან დაიწყო. მას ესმოდა ამის მნიშვნელობა" *[ინტერვიუ ზურაბ ბიგვავასთან].*

1994 წლიდან საქართველოში საქმიანობა დაიწყო ,,ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა" - NDI-მ, რომელიც მომდევნო წლებში ჩამოყალიბდა ერთ-ერთ გავლენიან დონორ ორგანიზაციად პოლიტიკური კონსულტირებისა და მარკეტინგის კუთხით. აღნიშნული ეტაპი გამორჩეული იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ 1994 წელს შეიქმნა ტელეკომპანია ,,რუსთავი 2," რომელმაც მომდევნო წლებში გადამწყვეტი როლი შეასრულა საარჩევნო კამპანიის წარმოებისა და პოლიტიკური პროცესის განვითარების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ეტაპზე საფუძველი ჩაეყარა საარჩევნო კამპანიის პროფესიონალიზაციას, პოლიტიკურ კონსულტანტებზე მოთხოვნა ფაქტობრივად არ იყო.

4.2 განვითარების ეტაპი

საარჩევნო კამპანიის პროფესიონალიზაციის თვალსაზრისით გარდამტეხი პერიოდი 1990-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო. ქვეყანაში შეიქმნა გარემო, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს საარჩევნო კამპანიის პროფესიონალიზაციას. საარჩევნო კამპანია შეტევითი ხასიათის გახდა. აღნიშნულ პერიოდში მედიის თავისუფლების კუთხით საქართველო რეგიონში მოწინავე პოზიციაზე იყო, რაც საარჩევნო კამპანიის წარმოების თვალსაზრისით მომდევნო წლებში გადამწყვეტი მნიშვნელობის აღმოჩნდა. უნდა ითქვას, რომ ეს ეტაპი გამორჩეული იყო საარჩევნო კამპანიის პროფესიონალიზაციისა და ინტენსიფიკაციის კუთხითაც.

1990-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოში საარჩევნო კამპანიის პროფესიონალიზაცია და საზოგადოებრივი აზრის კვლევა ახალ ეტაპზე გადავიდა. ამას მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს იმ

პერიოდში არაერთი კვლევითი კომპანიის ფორმირება. 1995 წელს შეიქმნა ,,საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტი" – IPM, 2000 წელს ,,სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი" – ISSA, 2002 წელს – საკონსულტაციო ჯგუფი ,,ჯეპრა." 1995 წელს პირველად შემოვიდა საქართველოში უცხო ქვეყნის საკონსულტაციო ცენტრი, რუსული კომპანია ,,იმიჯკონტაქტი," რომელიც საპარლამენტო არჩევნების დროს კონსულტირებას უწევდა ,,საქართველოს მოქალაქეთა კავშირს," 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე აღნიშნული ცენტრი კონსულტირებას უწევდა ედუარდ შევარდნაძეს. ასევე რუსული კომპანია ,,ნიკოლო ემი" აქტიურად თანამშრომლობდა ,,მოქალაქეთა კავშირთან." 2001 წელს შეიქმნა ,,ნიკოლო ემის"-ს საქართველოს წარმომადგენლობა, რომელსაც სათავეში თავდაპირველად გიორგი ღამბაშიძე (რომელიც ამჟამად მოსკოვში საქმიანობს) შემდეგ კი ვალერიან გორგილაძე ჩაუდგა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში პოლიტიკური მარკეტინგისა და კონსულტირების მიმართულებით მმართველი პარტია ყოველთვის უპირატეს პოზიციაში იყო. 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ,,ახალმა მემარჯვენეებმა" წამოიწყეს ამერიკულ საკონსულტაციო ორგანიზაცია ,,ანდერსონ მერფი პიტსთან" („Anderson Murphy Pitss") თანამშრომლობა. აღნიშნული თანამშრომლობა განპირობებული იყო ,,ახალი მემარჯვენეებისა" და ,,ანდერსონ მერფი პიტსის" ამერიკული დამკვეთი პარტიის, ,,რესპუბლიკური პარტიის" იდეური კავშირით. 1998 წლიდან საქართველოში საქმიანობას იწყებს ,,საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი" (International Republican Institute) – IRI. აღნიშნულ ეტაპზე საარჩევნო კამპანიის პროფესიონალიზაცია გარდამტეხ ფაზაში გადავიდა, გაძლიერდა პოლიტიკური კონკურენცია და მასმედიამ განსაკუთრებული გავლენა მოიპოვა.

4.3 პერმანენტული საარჩევნო კამპანიის ეტაპი

საარჩევნო კამპანიის ამერიკანიზაციის კუთხით ,,ვარდების რევოლუცია" ერთგვარ წყალგამყოფს ქმნის. აღნიშნულ ეტაპზე საარჩევნო კამპანიის პროფესიონალიზაციის კუთხით განსაკუთრებით დაწინაურდა მასმედია. ტელეკომპანია ,,რუსთავი 2"-ს მჭიდრო კავშირი ჰქონდა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან და დასავლური ორიენტაციის მქონე ახალგაზრდა ინტელექტუალებთან. ამაზე მეტყველებდა თუნდაც ის ფაქტი, რომ 1990-იან წლებში ,,რუსთავი 2"-ის ორმა ყოფილმა თანამშრომელმა გიგა ბოკერიამ და ლევან რამიშვილმა დააფუძნეს, ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაცია ,,თავისუფლების ინსტიტუტი." აღნიშნული ორგანიზაცია და მისი წევრები მოგვიანებით ,,ვარდების რევოლუციის" ერთ-ერთი მთავარი აქტორები გახდნენ. საზოგადოებრივი აზრის ფორმირების თვალსაზრისით ,,რუსთავი 2" გავლენიან პოლიტიკას აწარმოებდა მის მიერ შეთავაზებული პროგრამების მეშვეობით. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა გადაცემა ,,60 წუთი." ,,ტელეკომპანია თავად იყო დაინტერესებული გამოეყენებინა ყველა შესაძლებლობა პროფესიული ზრდის თვალსაზრისით" (Anable, 2006, p. 7). ,,რუსთავი 2"-მა ნაბიჯ-ნაბიჯ მოახდინა საზოგადოებრივ აზრზე გავლენა, შექმნა პოლიტიკური დღის წესრიგი და გადამწყვეტი როლი ითამაშა ხელისუფლების ცვლილების კუთხით: ,,დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მედიის გარეშე რევოლუცია ვერ მოხდებოდა" (Nodia, 2004, p. 120). ამერიკული ტექნოლოგიებისა და რესურსების აქტიური გამოყენება წარმატებული გამოდგა: ,,ამერიკის ხელისუფლების მიერ გაცემული მთელი რიგი გრანტები („Freedom House"-ის, ,,IREX" (International Research and Exchanges Board)-ის, ,,ინტერნიუსის" და) სხვადასხვა ამერიკული ჯგუფის გავლით ხვდებოდა ქვეყანაში (Mitchell, 2006, pp. 669-676).

რევოლუციის შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ წარმატებით განაგრძო პოლიტიკური კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება. პოლიტიკური კამპანიის თვალსაზრისით ,,ვარდების რევოლუცია" და მისი შემდგომი პერიოდი პერმანენტული კამპანიის სახელით შეგვიძლია მოვიხსენიოთ. ამის საფუძველს გვაძლევს ტელევიზიის, პოლიტიკური ტექნოლოგიების განსაკუთრებული გაძლიერება,

და ელექტორატთან ,,უწყვეტი კონტაქტი“ (Norris, 2004 b, In: Bartle and Dylan, 2004, p. 15). აღნიშნულ ეტაპზე შეიქმნა პოლიტიკური მარკეტინგის და კონსულტირების ადგილობრივი ცენტრები და გაღრმავდა თანამშრომლობა საზღვარგარეთიდან (განსაკუთრებით ამერიკიდან) მოწვეულ კონსულტანტებთან. 2006 წელს ,,ნიკოლო ემი"-ს საქართველოს წარმომადგენლობის რებრენდინგის შედეგად ჩამოყალიბდა საკონსულტაციო ცენტრი ,,სარკე ჯგუფი," რომლის ერთ-ერთი დამკვეთი 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში იყო ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა." წინასაარჩევნო სარეკლამო კლიპი ,,საქართველო სიღარიბის გარეშე" სწორედ აღნიშნული გუნდის მომზადებულია. 2007 წელს შეიქმნა მარკეტინგული ცენტრი ,,ტერა მედია" (,,Terra Media"), 2008 წელს - ,,საზოგადოებრივი აზრის კვლევის ინსტიტუტი" – IPR -ი. 2008 წლის საპრეზიდენტო და 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნების პერიოდში ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" იყო გავლენიანი ამერიკული მარკეტინგული ორგანიზაცია ,,გრინბერგის" (,,Greenberg Quilian Rosner") დამკვეთი.

პერმანენტული საარჩევნო კამპანიის პერიოდში ხელისუფლება ცდილობს განიმტკიცოს ელექტორატის მხარდაჭერა. ,,ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" სწორედ ამგვარი სტრატეგიის პირობებში ელექტორატის მობილიზაციისთვის გამოიყენა სხვადასხვა მეთოდები, მათ შორის მუსიკალური კლიპებიც: ,,გამარჯობა აფხაზეთო შენი!" და ,,მიშა მაგარია!" პერმანენტული კამპანიის ნაწილად შეგვიძლია განვიხილოთ სოციალური რეკლამა ,,მე მიყვარს თბილისი," რომელიც სოციალური რეკლამის საფარველ ქვეშ ახდენდა ,,ნაციონალური მოძრაობის" საქმიანობის რეკლამირებას.

დასკვნა

საარჩევნო კამპანიის ამერიკანიზაციის კვლევის მიმართ ინტერესი გაჩნდა მას შემდეგ, რაც ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ქვეყნებში საარჩევნო კამპანიის იდენტურმა მახასიათებლებმა იჩინა თავი და ისინი აშშ-დან ვრცელდებოდა. საკითხმა კიდევ უფრო დამაინტერესა, რადგან აღმოჩნდა, რომ ამ კუთხით საქართველოს გამოცდილების შესახებ არ არსებობდა ფუნდამენტური კვლევები. ჩემი მიზანი იყო დამედგინა, საქართველოში პარტიების სუსტი რეპრეზენატატულობის პირობებში, საარჩევნო კამპანიის ამერიკანიზაციას საფუძველს უქმნიდა, თუ არა პოლიტიკასა და მედიაში მიმდინარე მოდერნიზაციული გარდაქმნები.

კვლევამ აჩვენა, რომ ამერიკანიზაციის მახასიათებლები მკაფიოდ გამოვლინდა საქართველოში საარჩევნო კამპანიის პროცესში. ამომრჩევლის განსაკუთრებული პიროვნული ნდობა პოლიტიკოსისადმი, პარტიების იდეოლოგიური სისუსტე და მერყევი ელექტორატი პარტიების პოპულისტურ პოლიტიკასა და ამომრჩევლის ინტერესების სუსტ რეპრეზენტატულობაზე მიუთითებს, თუმცა საარჩევნო კამპანიის ამერიკანიზაციისთვის ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის. ამგვარ პირობებში, გაცილებით მარტივია მედიამ შეასრულოს პოლიტიკის ,,კარნავალიზაციის“ ფუნქცია, რადგან საარჩევნო კამპანია არც იდეოლოგიური წყალგამყოფებით არის გამიჯნული და მერყევი ელექტორატიც ადვილად ექცევა ვიზუალურ-ტექნოლოგიური ეფექტის გავლენის ქვეშ. საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას, პოლიტიკის მკვეთრი მედიატიზაციის პირობებში, საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებზე ფოკუსირება და კონსულტანტებთან აქტიური თანამშრომლობა ამერიკანიზაციის გამოკვეთილი ნიშნებია. ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში გამოვლინდა ფლასერის მიერ შემოთავაზებული ამერიკანიზაციის გამომწვევი მოდერნიზაციული ფაქტორები.

კვლევის შედეგების თანახმად, საარჩევნო კამპანიის ამერიკანიზაცია დაიწყო საზოგადოების მაკრო დონეზე მიმდინარე ცვლილებებით (მასმედია და ტექნოლოგიები) და გაგრძელდა მიკრო დონის ცვლილებებამდე (პარტიები, კანდიდატები, ჟურნალისტები). ამის საუკეთესო მაგალითს საქართველოს შემთხვევაში წარმოადგენდა კომერციული მედიასაშუალება (,,რუსთავი 2“), რომელმაც გარდამტეხი როლი შეასრულა საარჩევნო კამპანიის ამერიკანიზაციის კუთხით. თეორიული საფუძვლებისა და

ემპირიული მონაცემების შეჯერების შედეგად, საქართველოში დადასტურდა შვანსონისა და მანჩინის მოსაზრება საარჩევნო კამპანიის მოდერნიზაციული გარდაქმნის შესახებ, რომელიც მაკრო დონიდან მოემართება და მიკრო დონის ცვლილებებით გრძელდება.

ბიბლიოგრაფია:

იაკობიშვილი, ლ; ფირალიშვილი, ზ. (2007). *ქართული პოლიტიკის თეატრალური დიალექტიკა - წერილები ქართულ იდენტობაზე.* CISS.

შოშიტაშვილი, ნ. (2010). *ტელემედიის თავისუფლება და დამოუკიდებლობა პოსტ- რევოლუციურ (2003-2009) საქართველოში.* თბილისი. მოძიებული 26 აპრილი, 2015
https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/soc%20nino%20shoshita.pdf

Anable, D. (2006). The Role of Georgia's media and Westernd aid in the Rose Revolution. In: *The Harvard International Journal of Press/Politics,* 11(3), pp. 7-43. Retrived28 *January*, 2013 http://hij.sagepub.com/content/11/3/7.full.pdf+html

Bader, M. (2008). Fluid Party Politics and the Challenge for Democracy Assistance in Georgia. In: *Caucasian Review of International Affairs* 2(2). Retrived 18 January, 2015, http://www.cria-online.org/3_3.html

Beznosov, M. (2007). *Political markets of post-socialism: Anomalous development or evolutionary Trend.* ProQuest. Retrived 16 November, 2013 http://www.researchgate.net/publication/265635253_POLITICAL_MARKETS_OF_POST-SOCIALISM_ANOMALOUS_DEVELOPMENT_OR_EVOLUTIONARY_TREND

Blumler, J. G. and M. Gurevitch, (2001), ,,Americanization" Reconsidered: U. K. – U.S. Campaign Communication Comparsions Across Time, pp. 380-403 in W.L. Bennett and R.M. Entman (eds) *Mediated Politics – Communications in the Future of Democracy.* Cambridge: Cambridge University Press.

Blumler, J. G. and Kavanagh, D. (1999), The Third Age of Political Communication: Influences and Feature. In: *Political Communication,* (16). pp. 209-230. Retrived 18 February, 2013 http://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/105846099198596#.VdJA7ibJJuM

Boyd-Barrett, J.O. (1977). Media imperialism: Towards an international framework for an analysis of media systems. In: J. Curran, M. Gurevitc and J. Woollacott (eds.), *Mass communication and Society*, pp. 116-135. London: Edward Arnold.

Crotty, W. (2006), ,,Party Transformations: The United States and Western Europe," Katz, Richard – Crotty, William (Eds), Handbook of Party Politics, Sage Publications, London.

Dawisha, K. and Deets, St. (2006). ,,Intended and Unintended Consequences of Elections in Russia and Postcommunist States." Paper Prepared for delivery at the Conference of Harvard University, Russian Research Center. April 25, 2002.

Dobbs, M. (2000), ,,U.S. advice guided Milosevic opposition. Political consultants helped Yugosalv opposition topple authoritarian leader's." In: Polese, A. & O'Beachain, D. (2011). The Colour Revolution Virus and Authoritarian Antotodes: Political Protest and Regime Counterattacs in the Post-Communist Spaces, In: *Demokratizatsiya*, vol. 19, no. 2, pp. 11-32. Retrived 28 January, 2013

Farrell, D. M. (1996). ,,Campaign Strategies and Tactics." In: *Comaring Democracies: Elections and Voting in Global Perspective,* ed. Lawrence LeDuc, Richard G. Niemi, and Pippa Norris. Thousand Oaks, CA: Sage

Farrell, D., M., Kolodny, R. & Medvic, S. (2001). Parties and Campaign Professionals in a Digital Age. In: *The Harvard International journal of Press / politics* 6:4, pp. 11 Retrived 18 October, 2012 http://hij.sagepub.com/content/6/4/11.abstract

Gallagher, M. (2014). *Election Indices.* Trinity College Dublin. Retrived 22 October, 2014 http://www.tcd.ie/Political_Science/staff/michael_gallagher/ElSystems/Docts/ElectionIndices.pdf

Gibson, R. and Rommele, A. (2001). Changing Campaign Communications: A party-centered Theory of Professionalised campaigning. In: *Harvard International Journal of Press an Politics*, vol. 6, no. 4, pp. 31-43. Retrived 12 April, 2015 http://www.researchgate.net/publication/249809040_Changing_Campaign_Communications_A_Party-Centered_Theory_of_Professionalized_Campaigning

Gurevitch, M. (1999). ,,Whither the Future? Some Aferthoughts," In: *Political Communication,* 16 (3), pp. 281-84

Hallin, D., Mancini, P. ,,Americanization, Globalization and secularization" In F. Esser and B. Pfetsch, (2004). *Comparing Political Communication*. Cambridge University Press. pp. 25-45

Holtz-Bacha, C., (2004). ,,Political Campaign Communication: Conditional Convergence of Modern Media Election." In: Esser, F., Pfetsch, B. (2004). *Comparing Political Communication: Theories, Cases and Chalenges.*Cambridge University Press. pp. 213–230. Retrived 6 October, 2013 http://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/10584600600809008?journalCode=upcp20#.VdY0ySbJKG4

Kavanagh, D. (1995). *Election Campaigning: The New Marketing of Politics.* Wiley-Blackwell

Kavanagh, D. (1996). New campaign communications: consequences for British political parties. In: *The Harvard International Journal of Press/Politics* vol. 1; pp. 60-76, Retrived 8 February, 2013 http://hij.sagepub.com/content/6/4/31.refs

Laakso, M. and Taagepera, R. (1979). Effective Number of Parties: A Measure with Application to West Europe. In: *Comparative Political Studies* 12 (1). Retrived 22 November, 2014 http://www.researchgate.net/publication/241645380_The_Effective_Number_of_Parties_A_Measure_with_Application_to_West_Europe

Linz, J. (2002), ,,Parties in Contemporary Democracies: Problems and Paradoxes," In: Gunther, R. – Ramon, J. (eds), *Political Parties: Old Concepts, New Challenges,* Oxford University Press, Oxford

MacKinnon, M. (2007). *The New Cold War: Revolutions, Rigged Elections and Pipeline Politics in the Former Soviet Union.* New York: Carroll & Graf Pub.

Mancini, P. (1999), New Frontiers in Political Professionalism. In: *Political Communication* (16). Retrived 12 October, 2013. http://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/105846099198604#.VdRoWRSqpBc

Medvic, S. K. (1997*), Is There a Spin Doctor in the House? The Impact of Political Consultants in Congressional Campaigns,* Ph.D. Dissertation, Purdue University.

Mitchell, L. A., (2012), *The Color Revolutions.* University of Pennsylvania Press.

Nancarrow, C. T. J. & Evans, M. (2004), Polls as Marketing Weapons: Implications for the Market Research Industry. In: *Journal of Marketing management*, 20(5/6). Retrived 11 May, 2015 http://www.tandfonline.com/doi/abs/10.1362/0267257041324016#.VdRs1hSqpB

Negrine, R &Papathanassopoulos, S. (1996). The ,,Americanization" of Political Communication: A Critique. In: *The Harvard International Journal of Press/Politics*,1:2. Retrived 5 December, 2013 https://www.academia.edu/1944470/The_Americanization_of_Political_Communication_A_Critique

Norris, P. (2004, a). *ELECTORAL ENGINEERING Voting Rules and Political Behavior.* Cambridge Uni-

versity Press.
Norris, P. (2004, b). Political Communications and Democratic Politics. In: Bartle, J. & Dylan, G. (2004) *Political Communication Transformed: From Morrision to Mandelson.* Basingstoke: Macmillan.
O'Shaugnessy, N. (1999). ,,Political Marketing and Political Marketing," Newman, B. (Ed.), *Handbook of Political Marketing,* Sage Publications, London.
Plasser, F., &Plasser, G. (2002). *Global Political Campaigning.*United States of America. Greenwood Publishing Group.
Scammel, M. (1998). *The Wisdom of the Room: U.S. Campaigning and Americanization.* Joan Shorenstein Barone Center on the Press, Politics, and Public Policy, John F. Kennedy School of Government, Harvard University.
Schiller, F. (1968). On the Aesthetic Education of Man of Man. Trans . E. Wilkinson and L. Willoughby (eds). Oxford The Clarendon Press.
Swanson, D. (2005), The political Media Complex at 50. Negrine, R. and Stanyer, J. (Eds). In: *The Political Communication Reader*. pp. 37 – 41. Retrived 15 December, 2013 http://abs.sagepub.com/content/40/8/1264.refs
Swanson, D.L. and Mancini, P. (1996), *Politics, Media and Modern Democracy. An International Study of Innovations in Electoral Campaigning and Their Consequences*. London: Praeger Series.
Sussman, J. (2006). The Myths of ,,Democracy Assistance:" U.S. Political Intervention in Post-Soviet Eastern Europe. In: *Monthly Review* 58(7), pp. 15-29. Retrived 19, September, 2012 http://monthlyreview.org/2006/12/01/the-myths-of-democracy-assistance-u-s- political- intervention-in-post-soviet-eastern-europe/
Sussman, G. and Krader, S. (2008), Template Revolutions: Marketing U.S. Regime Change in Easterm Europe, In: *Westminster Papers in Communication and Culture,* Vol. 5(3), University of Westminster, London moZiebuli 25 seqtemberi, 2013, http://colorrevolutionsandgeopolitics.blogspot.com/2011/07/template- revolutions-marketing- us.html
Welt, C. (2006), Georgia's Rose Revolution: From Regime Weakeness To Regime Collapse. Originally prepared for the ,,Waves and Troughs of Post Communist Transitions" workshop. Center on Democracy, Development, and the Rule of Law, April 28-29, 2006.
Wheatley, J. (2005), *Georgia from national awakening to Rose Revolution: delayed transition in former Soviet Union.* Ashgate, Aldershot.

სიღრმისეული ინტერვიუები:

ვაკა (ვალერიან გორგილაძე) - საკონსულტაციო ცენტრ ,,ნიკოლო ემი"-ს საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, მოგვიანებით საქმიანობდა ,,სარკე ჯგუფის" შემადგენლობაში, ხოლო 2007 წელს კი დააფუძნა მარკეტინგული ცენტრი ,,Terra Media." სხვადასხვა დროს იყო სხვადასხვა პოლიტიკოსისა და პარტიის კონსულტანტი და ჩატარებული აქვს არაერთი საარჩევნო კამპანია, როგორც საქართველოში, აგრეთვე რუსეთში.

ზურაბ ბიგვავა – საქართველოში პირველი საკვლევ – საკონსულტაციო ცენტრის ,,ფსიქო-პროექტის" დამფუძნებელი (1992 წ). სხვადასხვა დროს იყო ,,მწვანეთა პარტიის," ,,მოქალაქეთა კავშირის," ზურაბ ჟვანიას, ედუარდ შევარდნაძისა და ნინო ბურჯანაძის კონსულტანტი. არის ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი და წლების მანძილზე ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას ფსიქოლოგიის ინსტიტუტში, აგრეთვე – პედაგოგიურ საქმიანობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახემწიფო უნივერსიტეტში.

კობა თურმანიძე - ,,კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი“ (საქართველო) – CRRC-ის პრეზიდენტი 2013 წლიდან. 2006-2007 წლებში იყო ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ უფროსი ანალიტიკოსი.

სოსო გალუმაშვილი – 2002 წლიდან იყო საკონსულტაციო ცენტრ ,,ჯეპრას” მმართველი პარტნიორი და უფროსი კონსულტანტი. 1999-2010 წლებში კონსულტირებას უწევდა მაჟორიტარ კანდიდატებს საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე. აქვს პოლიტიკური პარტიებთან თანამშრომლობის გამოცდილება.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:
მანანა ნაჭყებია - ,,ახალი მემარჯვენეები“
დავით დარჩიაშვილი - ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
ზურაბ ღონღაძე - ,,ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“
შორენა ხორბალაძე - ,,ეროვნული ფორუმი“
თამარ კობერიძე - ,,თავისუფალი დემოკრატები“
ნინო მეტერეველი - ,,ლეიბორისტული პარტია“
ზურაბ ტყემალაძე - ,,მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“
ლევან ბერძენიშვილი - ,,რესპუბლიკური პარტია“

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი. №4, დეკემბერი, 2016

Journal of Young Researchers. No. 4, December, 2016

Quality of Life of Deinstitutionalized Children as an Outcome Measure of the Child Care System Reform in Georgia

Natia Partskhaladze *

PhD Student, Department of Social Work , Faculty of Social and Political Sciences
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

This paper documents increase in the Quality of Life (QoL) of children reintegrated into their biological families, compared with children living in the large-scale state residential institutions in Georgia. The findings echo outcomes of the studies conducted in developed countries, demonstrating preference and benefits of growing in a family environment. The study applies participatory approach and evaluates outcomes of deinstitutionalization process using children's conscious judgment of their QoL and their own criteria. Similar assessment is conducted in the countries of the Europe and Central Asia region for the first time.

Three samples of 224 children were representative of all children of the age 11-18 years a) residing in two large-scale state institutions still remaining in Georgia in 2012, b) reintegrated into their biological families, with the state and donor support, c) reintegrated into their biological families only with the state support. The children were interviewed in person using QoL scale, designed for this study based on the original Personal Life Quality Protocol. The study adhered to the principle of voluntary participation and informed consent.

Children perceived themselves to be happier at home and had higher QoL scores. At baseline, QoL score in the institutions was 80%, while after the return home it had increased to 88%. QoL scores did not differ significantly the between groups reintegrated using different methodologies, however demonstrated negative correlation with the length of stay in a family.

The study confirms the positive impact and a preference of a family environment. Though, it calls for a long-term assessment of QoL of reintegrated children, as well as residing in different forms of child care available in Georgia, in order to monitor long-term results and sustainability of the child care system reform outcomes.

* *E-mail:* natia.partskhaladze426@sps.tsu.edu.ge

Key Words: Child Care System Reform, Deinstitutionalization, Reintegration, Quality of Life, Children

რეზიუმე

სტატიაში დოკუმენტირებულია საქართველოში დიდი ზომის სახელმწიფო ინსტიტუციებიდან ბიოლოგიურ ოჯახებში რეინტეგრირებული ბავშვების ცხოვრების ხარისხის ზრდა. შეფასების შედეგები იმეორებს განვითარებულ ქვეყნებში ჩატარებული არაერთი კვლევის მიგნებას, რომლებიც ადასტურებს ბიოლოგიურ ოჯახში ბავშვის აღზრდის მნიშვნელობას და პრიორიტეტულობას.

კვლევა ეფუძნება თანამონაწილეობის პრინციპებისა და მომსახურების მიმღების ინდივიდუალური კრიტერიუმების გათვალისწინებით, მომსახურების შედეგების შეფასების პრინციპებს. ის არის ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების ცხოვრების ხარისხის შეფასების პირველ მცდელობას.

კვლევაში ჩართული იყო 224, 11-18 წლის ასაკის ყველა ბავშვს შემდეგი სამი ჯგუფიდან: ა) 2012 წელს საქართველოში არსებული, მზრუნველობამოკლებული ბავშვების ორი დიდი ზომის სახელმწიფო ინსტიტუციის ბინადრები; ბ) სახელმწიფო შემწეობისა და დონორული რესურსების გამოყენებით 2010-2012 წლებში რეინტეგრირებული ბავშვები; ბ) მხოლოდ სახელმწიფო შემწეობით 2010-2012 წლებში რეინტეგრირებული ბავშვები. გამოყენებული იყო ცხოვრების ხარისხის ინსტრუმენტი, რომელიც შემუშავებული იყო ამ კვლევისთვის, პირადი ცხოვრების პროტოკოლის საფუძველზე. კვლევა დაეფუძნა ნებაყოფლობითი მონაწილეობის და ინფორმირებული თანხმობის პრინციპებს.

რეინტეგრირებული ბავშვები უფრო ბედნიერად თვლიან თავს და მათი ცხოვრების ხარისხის მაჩვენებელი აღემატება ინსტიტუციებში მცხოვრები ბავშვების ცხოვრების ხარისხს. მაჩვენებელმა ინსტიტუციურ დაწესებულებებში შეადგინა 80%, ხოლო სახლში დაბრუნების შემდეგ გაიზარდა 88%-მდე. სტატისკიკურად მნიშვნელოვანი არ იყო სხვადასხვა მეთოდოლოგიით რეინტეგრირებულ ბავშვების ცხოვრების ხარისხის მაჩვენებლებს შორის განსხვავება, თუმცა ეს მაჩვენები უარყოფით კორელაციაში იყო ბავშვის რეინტეგრაციის ხანგრძლიობასთან.

კვლევის შედეგები კიდევ ერთხელ ადასტურებს ბავშვზე ბიოლოგიური გარემის დადებით გავლენას. ასევე თვალსაჩინოა რეინტეგრირებული ბავშვების და ბავშვზე ზრუნვის სხვა მომსახურებებში მცხოვრები ბავშვების ცხოვრების ხარისხის გრძელვადიანი შედეგების შეფასების მნიშვნელობა, რათა დადგინდეს საქართველოში ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმის შედეგების მდგრადობა.

საკვანძო სიტყვები: ბავშვთა დაცვის სისტემის რეფორმა, დეინსტიტუციონალიზება, რეინტეგრაცია, ცხოვრების ხარისხი, ბავშვი

Introduction

Countries throughout the Central and Eastern Europe and Commonwealth of Independent States (CEE/CIS) including Georgia inherited the child care system predominantly based on institutional care, lacking other services on a continuum of care for children. According to UNICEF (2010) the ratio of children living in institutional care in this region is highest in the world and exceeds 1 per 100 children. In Georgia, after gaining the independence, a number of residents living in 46 state-run residential institutions was 5300 (1 per 200 children). 85% of those children had one or both parents and were placed in institutions mostly due to the economic reasons.

A negative impact of institutional care, affecting neurobiological, psychological and social aspects of child's life are well explained and documented in the Attachment Theory and numerous studies (Bullock et al., 1993; Buote, 2006). One of the most influential theories that explain the negative effects of institutionalization on children's health and development - Attachment Theory, developed by John Bowley in 1951 outlined the importance of enduring bond between a child and his/her primary caregiver. Many authors fount that, compared to the general population of children, those in large-scale residential care had more medical problems, non-organic failure to thrive and grow, cognitive delays, poor self-confidence, lack of empathy, anti-social behaviour, poor work prospects, higher probability of an autistic social personality, etc. (Curry, 1991). Longitudinal follow-up revealed that institutional deprivation was the most powerful predictor of individual differences in developmental outcomes. At the same time, some studies have demonstrated that children with deprived backgrounds can make a rapid recovery when they are placed in a caring family environment (Browne, 2005).

In the developed countries, especially the USA and the UK an opposition to institutionalization of children and adults, as well as deinstitutionalization process started in early 1950 and emphasised the negative consequences of institutional care compared to family-based care. At different levels of intensity and success, the countries of CEE/CIS Region started reforming of their child care systems and recognizing the importance of family-based care and de-institutionalization of childcare at the end of the 20th century (UNICEF, 2004).

The trend towards reforming child care system was introduced in Georgia after the collapse of the Soviet regime, which had opening up space for the modern ideas and approaches and a better recognition of child's rights. More specific strategies of reforming the system have been on the agenda in the country since early 2000, when the Government of Georgia (GoG) committed to reorganizing child care system and has agreed on its guiding principles. At the early stage of the reform, its main priority was deinstitutionalization of child care institutions (Government of Georgia Action Plan on Child Protection and Deinstitutionalization 2005-2007). While the recognition of the importance of family strengthening, prevention and family based-care alternatives was documented by the state at the later stages of the reform (Government of Georgia Child Action Plan 2008-2011; Government of Georgia Child Care Reform Priorities 2011-2012).

At the outset of the reform, several external and internal forces were driving introduction of the reform

strategies in Georgia. For example, the country has ratified the United Nations Convention on the Rights of the Child (UNCRC) in 1994, the implementation of which was monitored through submission of written Periodic Progress Reports to the U.N. Committee for the Rights of the Child. Georgia became a member of the Council of Europe (CoE), also advocating for the implementation of alternative care priorities as outlined in CoE Strategy for the Rights of the Child 2012-2015. Motivated to proceed on the road to the European Union accession, for Georgia the European Union was another major external motivator for the implementation of the Social and Child Welfare Reform measures and improving living conditions for institutionalized children (Transparency International Georgia, 2006).

The United Nations Convention on the Rights of the Child (UN CRC), as well as many other international and Georgian regulations considers a biological family as the best environment for raising a child. Hence, the return of children into their families (reintegration) and prevention of a family separation were considered as the main priorities of the child care system reform in Georgia. At the same time, the state is responsible to intervene when child's home is an unsafe environment or if in the process of deinstitutionalization, return into the biological family is not in the best interest of a child. For such cases GoG has ensured development of family substitute services, serving as alternatives to the large-scale residential institutions – foster care and small group homes.

According to the administrative data, in the process of reforming child care system 70% of deinstitutionalized children were placed into foster families and small group homes (SGH) or have graduated the state child care system due to their age. [1]

The government has committed support to a family reunification process, ensuring assistance by a state social worker and monetary monthly support for each reintegrated child equalling to 90 GEL ($50) for a child without disabilities and 130 ($80) for a child with disabilities. In addition, selected biological families, deemed safe to take back children, but requiring additional assistance were supported using the Social Fund funded by the donor agencies (Greenberg and Partskhaladze, 2014). Social Fund was made available during the years 2012-2014 and ensured assistance of the NGO social workers, as well as minor refurbishments, purchase of basic furniture and appliances for the biological families. 30% of the children removed from the institutions had an opportunity to return into their families of origin with the state and other support.

Overall, out of 5300 children residing in large-scale institutions through Georgia at the initial stage of the reform, all but 109 children with disabilities (remained in two settings) were reintegrated into their biological families, placed in kinship and foster care or small group homes by December 2014. In May 2013 UNICEF Georgia reported that country had closed the last two institutions for children deprived of parental care with no disabilities, located in Kodjori and Telavi.

Assessment of QoL of children in SGH and foster care has been in progress in Georgia using QoL assessment instrument, though that study is outside of the scope of the presented research.

Literature Review

The child care system reform and almost full deinstitutionalization of the large-scale state child care settings implemented in Georgia, was considered as one of the most successful reforms in CEE/CIS. The backbone of the reform – development and strengthening of social work profession, introduction of a gatekeeping system, as well as alternative family substitute and family support services were also considered as notable achievements (UNICEF, 2015).

Despite an absolute undoubted priority of deinstitutionalizing child care system and positive developments achieved in Georgia, the attempts to generate the evidence about the outcomes of the reform and its impact on the engaged individuals are very limited. Controversy still exists about the positive and negative outcomes of the reform and deinstitutionalization process and its positive impact of the reforms can be easily undermined and discredited due the lack of the local scientific evidence; An administrative data about reintegrated children and children in the state and other residential care settings needs strengthening; this group is incomplete; Development of the state child and social protection policies and programs is poorly informed by the up-to-date local evidence.

In addition to the need for the local evidence, there is also a growing acceptance that children and young people should be more involved in evaluating and making decisions that affect them. This paradigm shift towards the participatory approach, originated in western countries, was triggered as a result of the children's rights agenda exemplified by the UN CRC (Sinclair, 2004). An understanding that children should have active and not passive role in shaping social services, though needs further strengthening to some extend has already influenced policy makers in Georgia though need further strengthening (i.e. child recipients' satisfaction is being included in the State Child Care Standards, etc.).

Another important theoretical advance of the past decades is the shift from evaluating outcomes against the universal definition of what contributes towards the quality care and service standards, towards the "individual's conscious evaluative judgment of their quality of life by using person's own criteria" (Diener et al., 1999). Although some agreement about the 'good life' components exist, individuals compare their objective living situation according to different internal values and standards and are likely to assign different weight to them. Hence, a unique individual criterion becomes increasingly more applied worldwide, overwhelming the common benchmarks. The measurement of subjective life satisfaction and quality of life became an important component of program evaluation and planning of individualized care in many western countries (Land and Michalos, 2012).

Analysis of the literature found considerable agreement regarding the life elements, or so called person-referenced core QoL domains contributing towards it. The most frequently suggested range of life domains, incorporating subjective and objective measures are as follows (Verdugo et al., 2005):

1. Emotional well-being: safety, stable and predictable environment, positive feedback.

2. Interpersonal relationships: affiliation, affection, intimacy, friendship, interaction.
3. Material well-being: ownership, possessions, employment.
4. Personal development: education and habilitation, purpose activities, assistive technology.
5. Physical well-being: health, care, mobility, wellness, nutrition.
6. Self-determination: choices, personal control, decisions, personal goal.
7. Social inclusion: natural support, integrated environment, participation.
8. Rights: privacy, ownership, due process, barrier free environment.

Proposed life domains are considered to be applicable across all stages of human development. However, determining the degree to which the quality of life and satisfaction with individual life domains are similarly or differently perceived by individuals across stages of development is still being debated. Studies, measuring satisfaction of adults with their QoL have received considerable attention over the last two decades and have generated important findings, widely used in the fields of healthcare, social protection, etc. On the contrary, this topic has received less attention with regards to children and adolescents (Gadermann et al., 2010). It has been suggested that this situation is related to the fact that instruments for assessing QoL children have been developed relatively recently and are not adapted to the cultural context, developmental stage, life circumstances and other characteristics of the different groups of children, hence, need further strengthening.

Research Methodology and Findings

The study used quantitative methods in the form of checklists and closed and open ended questions. By using a simple static comparison, it aimed to define if QoL measures differ between children in the institutions and children reintegrated using two different methodologies.

Instruments: The research instrument used for this study was developed for this particular assessment and was applied for the first time. The instrument was based on the Personal Life Quality Protocol introduced by Prof. James Conroy (Centre for Outcome Analysis, 2001). It was adapted to the characteristics of a child population with the experience of living in the state care in Georgia. Detailed literature review could not identify other instruments better meeting needs of this project.

The instrument assesses subjective satisfaction of a child with the quality of life domains outlined in the existing QoL literature and relevant to the institutional and family context of the assessed children. By rating the level of their satisfaction on the 20 items, children identified their self-perceived level of happiness by using their own criteria. The reliability of this approach with children in non-family placement, and with people with intellectual disabilities in residential settings in the USA, has been widely studied and supported by the author of the Personal Life Quality Protocol and other scholars (Conroy et al., 1987).

Two sets of questionnaires were used with different groups covered by the research. The complete

version of the questionnaire, including over 84 closed and open ended questions was used with children residing in Telavi and Kodjori institutions. Due to the time constraints and a large scope of the assessment of reintegrated children, two groups of children reunified with their biological families were assessed using simplified questionnaire including 40 closed ended questions with answers given on scales or numbered. The tool was used with children of the age 11-18 years, able to comprehend its content.

Participants: The study population consisted of the three groups of children. The first group represented all 33 children of the age 11-18 years, remaining in two large-scale residential institutions for children of the age 6-18 years deprived of parental care still existing in Georgia in 2012. Similar settings were abolished in the frames of the child care system reform in Georgia in 2013. Telavi and Kodjori institutions, as well as children assessed there should be considered to be representative of all other institutions for the same target group, as the state settings applied standardized criteria for the assessment, enrolment, care and discharge of children, as well as the same national care standards.

The second group was comprised of 119 children reintegrated with their 93 families during the years 2011-2012. This group represented all 11-18 old children, out of 155 reintegrated during that time-frame through the state reintegration program, coupled with the Social Fund support. Previous place of their residence were different state institutions, with the characteristics similar to Kodjori and Telavi settings. As noted above, this group of children received the state reintegration benefit (monetary support and social work services), as well as an additional assistance in the form of minor refurbishments, purchase of basic furniture and appliance from the Social Fund resources, etc. Very importantly, the families and children in this group were additionally assessed, supported and monitored by the social workers from the designated non-governmental organization Save the Children.

The third assessed group consisted of all 70 children of the age 11-18 years, out of 151 reintegrated during 2010-2012. Different from group two, these children were reunified with their families without receiving the Social Fund support. Similarly to the group one and group two, the lived in the large-scale residential institutions for children of the age 6-18 years deprived of parental care.

Overall, children included in the second and third groups represented the full population of children of this age group reintegrated in the country in the given period. [2]

Procedures: Interviews with the children were conducted in Kodjori and Telavi institutions (group one) or their homes through Georgia (group two and three) in private. The lead researcher and other interviewers had undergraduate or graduate degrees in social work. The interviewers received training by a lead researcher, discussing interviewing techniques and etiquette, handling challenging situations and questions. They were requested to rephrase questions to in order to ensure a full understanding, but

[2] According to the data provided by Social Service Agency, in January 2010 - August 2012 overall 323 children were reunified with their biological families.

not to lead the child toward any specific answer. To help the younger children understand the Likert scales used in a questionnaire, a response sheet with five faces expressing great happiness, happiness, no emotion, unhappiness and crying was shown to the children in need of such support. For the more mature children, the five point scales were explained and read out loud.

Group	Description	Number	Timing	Instrument version
1	In Institutions	33	2012	84 item version with quantitative and qualitative questions
2	In families with support	119	2011-2012	40 item version, quantitative
3	In families without support	70	2010-2012	40 item version, quantitative

The study adhered to the principle of voluntary participation and informed consent. Participants of the study have signed an informed consent form.

Results: The data-entry and processing was performed using the SPSS 17.0 version and yielded the following findings:

Demographics of children in Telavi and Kodjori institutions at the time of the assessment:

- Average age – 14,5 years
- Girls - 39%, boys - 61%
- Average length of stay in formal care – 6 years
- 91% of the children were Georgian. Other children were of Azeri, Ossetian, and other origin
- More than 50% of children considered to be places in the institutional care due to the family crisis and hard economic conditions.

Data about the needs of reintegrated children was enriched with the findings of a study conducted by the Save the Children with the same children. The Needs Assessment of Reintegrated Children in Georgia report provided an in-depth quantitative data about this group of children and their families, revealing that reintegrated families represent a vulnerable group, characterized by the lack of financial, psycho-emotional, intellectual and life resources, and require multifaceted assistance in order to ensure the long-term well-being of reunified children (UNICEF, 2013).

Demographic data of the two groups of reintegrated children were as follows:

- Average age – 14
- Girls - 45%, boys - 55%

- Average length of stay in formal care was 6 years for children reintegrated with the additional Social Fund support (group 2), versus 4.5 years for the other group reintegrated only with the state support (group 3).
- 91% of the children in the group 2 were Georgian, while this number equalled to 86% in the group 3.
- 46 % of children were places in the institutions due to the family crisis and hard economic conditions.

Analysis of the findings revealed statistically significant difference between the quality of life of children living in the large-scale residential institutions and in the family environment. On average, QoL increased from 80% in institutions to 88% in families ($Z=-3.83$, $p<0.0001$). Association between the variable revealed that children of both sex were equally happy after returning home. A negative correlation was found between the length of stay in the institution and QoL score after the return. Children who have spent 0-24 month in the institutions were happier after returning home, than children institutionalized for 24-60 months ($X2=12.828$, $p=0.012$). However, QoL was not affected with the length of institutionalization over 60 months. Age of a child was not correlated with QoL in the institution, while it was negatively correlated with QoL after the reintegration (younger children feel happier when retuned home). Overall tendency of reducing QoL with the length of reintegration was characteristic to both groups returned home. Though, these scores were still significantly higher that QoL in the institutions.

Association between other variable will be determined after the completion of the third ongoing stage of the research, assessing long-term outcomes of reintegrated children. Additional correlations requiring attention are: a frequency of visitations in the institutions and children's QoL in these settings, the extend of collaboration between a child and a social workers and QoL of a child in the institution and after the reintegration, etc.





The study had a number of limitations, related to the sample size, as well as shortcomings in satisfaction research in general. Even though all three samples covered almost 100% of the population with similar characteristics and are representative of the relevant groups, their relatively small size may impact the generalization and associations found between variables. Due to the fact that as a result of the deinstitutionalization process, all large-scale state residential institutions for children deprived of parental care were closed, no additional studies of this group of children are feasible in Georgia. However, further studies of QoL children placed in other residential settings in Georgia or abroad, as well as reintegrated children can reveal additional findings and determine if the same associations are found in a larger sample size.

Due to the time and resource constrains, samples of reintegrated children were assessed using a short version of the instrument, not including questions about children's collaboration with social workers, their role in elaborating individual development plans and overall participation in determining their future. It was also not possible to conduct pre- and post-assessments of QoL reintegrated children during their enrolment in the institutions.

In addition, this study, as well as other assessments of satisfaction and QoL could have been constrained with the respondents' desire to provide answers acceptable for their peers and a society, memory or comprehension difficulties, and response biases such as acquiescence and recency (Conroy and Wilson, 2002).

Discussion

The study of the quality of life of children with the experience of living in the state care demonstrated that overall children are happier in their biological families, compared to the large-scale residential institutions. Despite the widespread assumption among the criticists of deinstitutionalization of the child care system, that children from the poor families could be better-off in out-of-home settings, a child satisfaction with the life with parents was not affected by the difficult economic and social conditions present in these families. These findings urge to further emphasise strengthening of gatekeeping and family strengthening services and ensure that no child is separated from a safe family environment.

Analysis of the QoL domains assessed as individual items, as well as a multidimensional indicator for each child, reveal that self-perceived ability of children to relate with their friends, siblings parents and relatives is significantly higher is a family environment; children have a stronger sense of security and privacy and an ability to participate in decision making processes; they believe that attitudes of other people towards them is better when living at home. However, oftentimes children's physical living environment, ability to pursue education and other domains strongly linked with the need of an infrastructure and formal systems, exhibit more limited increase in score (and occasionally, ever its reduction).

Children living at home have a better knowledge of their social workers. On the other hand, children residing in the institutions have limited knowledge of social workers. In most of the cases they report

limited participation in the making decisions processes and development of the individual development plans. Findings reveal that the state systems failed to explain and extend social work support to them.

In conclusion, it is possible to argue that the preventing separation of children from their families and support to their reintegration should be a priority for the state child care system, as children perceive families as the best environment ensuring higher quality of life.

Bibliography

Browne, K. (2005). A European Survey of the Number and Characteristics of Children Less than Three Years Old in Residential Care at Risk of Harm. Adoption & Fostering December 2005 Vol. 29 no. 4 23-33

Bullock, R., Little, M., and Millham, S. (1993). Residential Care for Children. A Review of the Research. HMSO.

Buote, D. (2006). The Power of Connection: The Relation between Attachment and Resilience in a Sample of High Risk Adolescents. Doctoral Thesis. University if British Columbia

Conroy, J. and Wilson, L. (2002). Satisfaction of 1,100 Children in Out-of-Home Care, Primarily Family Foster Care, in Illinois' Child Welfare System." Retrieved on May 2012 from http://www.eoutcome.org/Uploads/COAUploads/PdfUpload/SatisfactionInIllinoisChildWelfare.pdf

Conroy, J., Walsh, R. and Feinstein, C. (1987). Consumer Satisfaction: People with Mental Retardation Moving from Institutions to the Community. In S. Breuning & R. Gable (Eds.). Advances in Mental Retardation and Developmental Disabilities, Volume 3 (pp. 135-150). Greenwich, CT: JAI Press.

Curry, J. F. (1991). Outcome Research on Residential Treatment: Implications and Suggested Directions. American Orthopsychiatric Association 61(3)

Diener, Ed, E. M. Suh, R. E. Lucas, and H. L. Smith (1999). Subjective Well-Being: Three Decades of Progress. Psychological Bulletin. Vol. 125, No. 2, 276-302

Gadermann, A.M., Schonert-Reichl, K.A. & Zumbo, B.D. Soc Indic Res (2010). Investigating Validity Evidence of the Satisfaction with Life Scale Adapted for Children. Social Indicators Research. April 2010, Volume 96, Issue 2, pp 229–247

Government of Georgia Action Plan on Child Protection and Deinstitutionalization 2005-2007

Government of Georgia Child Action Plan 2008-2011.

Government of Georgia Child Care Reform Priorities 2011-2012

Greenberg, A. and Partskhaladze, N. (2014). How the Republic of Georgia has nearly Eliminated the Use of Institutional Care for Children. Infant Mental Health Journal. Vol. 35, Issue 2, pg 185-191

Land, K. and Michalos, A. (2012). Handbook of Social Indicators and Quality of Life Research. Springer

Personal Life Quality Protocol (2001). Center for Outcome Analysis. Retrieved October 2011 from http://www.eoutcome.org/default.aspx?pg=327

Sinclair R. (2004). Participation in Practice: Making it Meaningful, Effective and Sustainable. Children and Society. Vol. 18, pp. 106-118

Transparency International Georgia (2006). Social Protection System reform in Georgia. Report.

UNICEF (2004). Lessons learned from social welfare system reform and some planning tips. Regional Office for Central and Eastern Europe, the Commonwealth of Independent States (CEE/CIS) and Baltic States: Occasional Paper from Child Protection Series.
UNICEF (2010). At home or in a home? Formal care and adoption of children in Eastern Europe and Central Asia.
UNICEF (2013). Needs Assessment of Reintegrated Children in Georgia. Study Report. Retrieved on May 2014 from http://unicef.ge/uploads/Needs_Assessment_of_Reintegrated_Families_in_Georgia-Report-eng.pdf
UNICEF (2015). Evaluation of Results Achieved through Child Care System Reform 2005-2012 in Georgia. Pluriconsult Evaluation Report
Verdugo, M. A, Schalock, R. L, Keith, K. D and Stancliffe, R. J. (2005). Quality of Life and its Measurement: Important Principles and Guidelines. Journal of Intellectual Disability Research. Volume 49 Part 10 pp 707-717, October 2005. Blackwell Publishing Ltd

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი. №4, დეკემბერი, 2016

Journal of Young Researchers. No. 4, December, 2016

საქართველოში ბიუროკრატიული აპარატის ფუნქციონირების ეფექტურობა ელექტრონული მმართველობის პირობებში

თამთა ჭრიკიშვილი*

მაგისტრანტი,სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

თანამედროვე საჯარო სექტორმა მუშაობა ელექტრონული მმართველობის შესაბამისად დაიწყო, ამიტომ საინტერესოა, ტექნოლოგიების ეპოქაში, როგორ ცვლის ელექტრონული მმართველობა ბიუროკრატიული აპარატის ეფექტურობას.
საჯარო მოხელეთა ეფექტური ფუნქციონირება თითოეული მოქალაქისთვის მნიშვნელოვანია, ვინაიდან საჯარო სექტორის მუშაობა სწორედ თითოეული მოქალაქის გადასახადებიდან ფინანსდება. სტატიაში ელექტრონული პორტალის, www.my.gov.ge -ის მაგალითზე გამოკვლეულია ბიუროკრატიისა და მოქალაქეთა დამოკიდებულება ელექტრონული მმართველობის მიმართ, რისი საშუალებითაც გაანალიზებულია ელექტრონული მმართველობის პირობებში ბიუროკრატიის ეფექტური ფუნქციონირება - გამარტივდა თუ არა მოქალაქისათვის საჯარო სერვისის მიღება, საჯარო მოხელისათვის კი - მისი მიწოდება.
კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოში ელექტრონული მმართველობის დანერგვის შედეგად ბიუროკრატიის ფუნქციონირების ცვლილებები. კვლევის ობიექტია მონაცემთა გაცვლის სააგენტო, რომელმაც დანერგა ელ-პორტალი www.my.gov.ge და საქართველოს მოქალაქეები.

პარადოქსულია, მაგრამ კვლევის შედეგად ვლინდება, რომ ელ-სერვისების შემოღება მოსახლეობისათვის სასურველი და გამარტივებასთან ასოცირებულია, ელ-მმართველობამ დროის დაზოგვის კუთხით შედეგი უკვე მოიტანა, მაგრამ მოქალაქეთა ინფორმირების დონე დაბალია, შესაბამისად, ელ-სერვისების მოხმარების დონეც მცირეა. მონაცემთა გაცვლის სააგენტო კი ელ-მმართველობის თანმდევ სირთულეებსა და მეტი ბიუროკრატიის საჭიროებაზე ამახვილებს ყურადღებას.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული მმართველობა, ბიუროკრატია, საჯარო სექტორი, ელექტრონული სერვისი, მოქალაქეები.

Abstract

The modern public sector has started to work according to electronic governance, so, it's interesting, how e-governance can change the effectiveness of functioning of the bureaucracy.

* *E-mail:* tamtatchrikishvili@gmail.com

The research point is very actual because the effective functioning of public officers is essential for every citizen as the citizens pay them for their job. In this article, there is presented the relations of bureaucracy and citizens towards e-governance. Accordingly, there is analyzed how can bureaucracy be effective in the terms of e-governance – if people can easier get public goods as well as public officers can distribute these ones.
The main subject of the research is the changes in bureaucratic system during implementing e-governance. The focus of the research is Data Exchange Agency of Georgia, which implemented electronic portal www.my.gov.ge and works for developing electronic systems in Georgia.
This is paradoxical but according to the research citizens think that electronic systems make services easier to use and e-governance is desired one for people. On the other hand, Data Exchange Agency emphasizes on the problems caused during implementation of e-governance and states the position that there is a need for stronger bureaucratic system.

Key words: E-governance, bureaucracy, public sector, e-services, citizens.

შესავალი

საჯარო პოლიტიკის დაგეგმვა–განხორციელება ტრადიციული მოდელიდან თანამედროვე, ტექნოლოგიების გამოყენებაზე ორიენტირებულ მოდელზე გადავიდა. პროცესები, როდესაც პოლიტიკურ სფეროში ტექნოლოგიების აქტიური ჩართვა მიმდინარეობს ცნობილია ელექტრონული მმართველობის სახელწოდებით.

მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ელექტრონული მმართველობის დანერგვა ამცირებს ბიუროკრატიულ აპარატს და, შესაბამისად, ხარჯებსაც. მაგალითისათვის, ესტონეთში ელექტრონული მმართველობის დანერგვამ შედეგად მოიტანა ბიუროკრატიული აპარატის გამარტივება, რაც საუკეთესოდ ხარჯების შემცირებაში გამოიხატა. 2000 წლიდან ესტონეთი ნაბეჭდი დოკუმენტაციის წარმოებიდან ელექტრონულ დოკუმენტაციაზე გადავიდა. ფინანსური მოგების გარდა, დროისა და ადამიანური რესურსების დაზოგვაც მოხდა და შედეგად ესტონეთმა წელიწადში 192 ათასი ევრო დაზოგა (ნაფეტვარიძე, 2014).

საქართველო აქტიურად ცდილობს ელექტრონული მმართველობის დანერგვას, სწორედ ამ მიზნით საჯარო უწყებაც (მონაცემთა გაცვლის სააგენტო) შეიქმნა, თუმცა ნაკლებად ხდება დანერგილი სერვისების ეფექტურობისა და პოპულარობის შეფასება. შეიძლება ითქვას, რომ ელექტრონული მმართველობის სფერო, რომელიც თანამედროვე მსოფლიო გამოწვევებს პასუხობს, შესწავლილი თითქმის არ არის.

ჯონ ანდერსონისა და უილიამ დანის (2004) პოლიტიკის ანალიზის ციკლური მოდელის (Policy Cycle) თანახმად ნებისმიერი საჯარო პოლიტიკური კურსი გადის გარკვეულ საფეხურებს დღის წესრიგის განსაზღვრიდან პოლიტიკის შეფასებამდე (Dann, 2004). შესაბამისად, თითოეულ პოლიტიკურ კურსში სარგებლის გასაზომად და შეცდომების გამოსასწორებლად შეფასება აუცილებელი ეტაპია.
2015 წელს ელექტრონული მმართველობის განვითარებისათვის 2 430 000 ლარი დაიხარჯა (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2015). მოსახლეობას აქვს უფლება, ხელისუფლებისაგან მოითხოვოს ანგარიშვალდებულება და გააკონტროლოს, რამდენად ეფექტურად ტარდება პოლიტიკა, რომლის იმპლემენტაციისთვისაც მილიონობით ლარია გამოყოფილი. ამასთან, იშვიათია სფეროს მონიტორინგი როგორც სამოქალაქო, ისე საჯარო სექტორის მხრიდან.

მით უმეტეს, ელ-სერვისების შესახებ კვლევის შედეგები სასარგებლოა, ვინაიდან განისაზღვრება ელექტრონული მმართველობის დანერგვის შედეგად მიღწეული სარგებელი და არსებული ხარვეზები. მაგალითად, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევა ხაზს უსვამს

გადამხდელთა ელექტრონული პორტალის მიერ მოტანილ სარგებელს (2015). დროის დანახარჯი შემცირდა სამი დღიდან 30 წუთამდე, რაც საბოლოოდ, სამუშაო დროის თითქმის 50-ჯერ შემცირების საშულებას იძლევა (ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2015).

შესაბამისად, დღესდღეობით, ეფექტური სახელმწიფოს ერთ–ერთი მთავარი მახასიათებელი უახლეს ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საჯარო სერვისებია (როსტიაშვილი, 2014). თუკი არ მოხდა სფეროს შესწავლა, ელექტრონული მმართველობის ეფექტურობის შეფასება, ნაკლებად სავარაუდოა ხარვეზების გამოსწორება და მისი შემდგომი განვითარება.

სტატიის ძირითადი მიზანია მოქალაქეებისა და საჯარო სექტორის პოზიციების ანალიზის საფუძველზე დადგინდეს, ელექტრონული მმართველობის პირობებში რამდენად ეფექტურად ფუნქციონირებს ბიუროკრატია. შესაბამისად, ნაშრომში წარმოდგენილია ელექტრონული მმართველობის მიმართ როგორც საჯარო სექტორის (მონაცემთა გაცვლის სააგენტო), ისე მოქალაქეთა განწყობა–დამოკიდებულებები.

შესაბამისად, მთავარი ამოცანაა ელექტრონული პორტალის, www.my.gov.ge –ის მაგალითზე გაანალიზდეს, ელექტრონული მმართველობის სახით რას სთავაზობს ხელისუფლება მოსახლეობას, რამდენად იყენებს ელ–სერვისებს მოქალაქე, გამოყენებისას უმარტივდება თუ არა მას საჯარო სიკეთის მიღება, ისევე, როგორც საჯარო მოხელეს – მისი მიწოდება.

ასევე, კვლევის ამოცანაა სიღრმისეული ინტერვიუირების გზით დადგინდეს მოქალაქეების დამოკიდებულება ელექტრონული მმართველობის მიმართ – რა სარგებელს ან ხარვეზებს ხედავენ ისინი ელექტრონული სისტემების დანერგვაში, რამდენად გაუმარტივდათ საჯარო სერვისების მიღება. მეორეს მხრივ, ასევე სიღრმისეული ინტერვიუირების გზით უნდა შეფასდეს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს დამოკიდებულება ელექტრონული მმართველობის პირობებში ბიუროკრატიული აპარატის გამარტივებასთან დაკავშირებით.

სტატიაში ცენტრალური ცნებაა ბიუროკრატიული აპარატის მოქნილობა/გამარტივება. თეორიული ჩარჩოს შესწავლის საფუძველზე გამოვლინდა ხუთი ძირითადი ინდიკატორი, რომელთა მიხედვითაც შეფასდა, საქართველოში, ელექტრონული მმართველობის პირობებში რამდენად მოქნილი გახდა/გამრტივდა ბიუროკრატია. ეს ინდიკატორებია: მოსახლეობის ინფორმაციით უზრუნველყოფა, საჯარო სერვისის მიწოდებისას დროში მოგება, ხარჯების შემცირება, საჯარო უწყების შიდა სტრუქტურებს შორის კოოპერაცია და თანამშრომლობა გარე აქტორებთან.

კვლევის მეთოდები

კვლევის პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გაანალიზდა მეორეული წყაროები, რათა შექმნილიყო მეცნიერული საფუძველი კვლევის გასაგრძელებლად. შემდეგ ეტაპზე, კვლევის თვისებრივი მეთოდის გამოყენებით, სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა მონაცემთა გაცვლის სააგენტოში ელექტრონული სისტემების მართვაზე პასუხისმგებელ პირთან, ასევე IDFI–ის ანალიტიკოსთან, რომელიც ელექტრონული მმართველობის თემაზე მუშაობს.

მოქალაქეთა პოზიციების გამოსავლენად, ასევე, სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა. ზრდასრული მოსახლეობა დაიყო სამ ასაკობრივ ჯგუფად: 18–35, 36–55 და 56+ და მიზნობრივი შერჩევის გზით, თითოეული ასაკობრივი კატეგორიიდან გამოიკითხა სამი ადამიანი.

ლიტერატურის მიმოხილვა

ინტერნეტის განვითარების პარალელურად განვითარდა იდეა ელექტრონული მმართველობის შესახებ. თავდაპირველად, ელ-მმართველობა მხოლოდ ინფორმაციის გაცემა-მიღებისათვის გამოიყენებოდა. 90-იანი წლებიდან განვითარდა სერვისებიც, რომელთა მოსახლეობისათვის მიწოდებაც ინტერნეტის საშუალებით იყო შესაძლებელი (Kraemer & King, 2003). ტერმინი ელექტრონული მმართველობაც სწორედ ამ პერიოდიდან დამკვიდრდა.

სახელმწიფო არის რთული სოციო-პოლიტიკური ინსტიტუტი, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურება, ამასთანავე, მას უწევს საზოგადოების ლეგიტიმური მართვაც. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება კომპიუტერული ტექნოლოგიების გაჩენის დღიდან ცდილობს ჩააყენოს ისინი საკუთარ სამსახურში, დღესდღეობით, ელ-მმართველობის კონცეფციის გაჩენასთან ერთად, ეს პროცესი უფრო ინტენსიური გახდა და მიმართულია როგორც ხელისუფლების, ისე მოსახლეობის ინტერესების მარტივ და სწრაფ დაკმაყოფილებაზე. ელექტრონული მმართველობა ეფუძნება საჯარო ინფორმაციის ონლაინ რეჟიმში გავრცელებას და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას სახელმწიფოს მართვის პროცესში (ტურაშვილი, 2014). უფრო კონკრეტულად, იგი გულისხმობს საჯარო სექტორისათვის ვებ-გვერდებისა და ელექტრონული სერვისების შექმნას, სადაც ქვეყნდება ინფორმაცია მათი საქმიანობის, ბიუჯეტის, სახელმწიფო კონკურსების, ვაკანსიების, ახალი ამბებისა და სხვ. შესახებ (როსტიაშვილი, 2014).

ელექტრონული მმართველობის განვითარების სხვადასხვა დონე არსებობს: როგორც მოქალაქეების უბრალო ინფორმირება (მაგ. ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება), ისე, მათთვის ორმხრივი ინტერაქციისათვის საჭირო გარემოს შექმნა. ორმხრივი ინტერაქცია და პოლიტიკური ჩართულობის ზრდა ხელს უწყობს ხალხის მონაწილეობის ზრდას სახელმწიფოს მართვის პროცესში (Macintosh, 2004). რა თქმა უნდა, ელექტრონული მმართველობის განვითარებაზე საუბარი მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც სერვისების მიწოდება მხოლოდ ინფორმირებით არ შემოიფარგლება.

ელექტრონული მმართველობა თავის თავში მოიაზრებს განვითარების ეტაპებს, რომელთა შესაბამისადაც იგი პროგრესირებს. საერთო მახასიათებელი მისი უბრალო საინფორმაციო ფუნქციიდან ინტერაქციულ ფუნქციამდე განვითარებაა. ელექტრონული მმართველობის თემაზე მომუშავე მეცნიერები (Layne & Lee, 2001) გამოყოფენ რამდენიმე ეტაპს, რომელთა მიხედვითაც ევოლუციურად ვითარდება ელექტრონული მმართველობა. პირველია მოსახლეობის ინფორმირების ეტაპი, რასაც მოსდევს ტრანზაქციული ფაზა (მოქალაქეები უკავშირდებიან სამთავრობო უწყებებს), მესამე ეტაპზე კი ერთმანეთს უკავშირდება ადგილობრივი, რეგიონალური და ცენტრალური ხელისუფლება (ვერტიკალური ინტეგრაცია). საბოლოოდ, ელექტრონული მმართველობა ვითარდება მეოთხე ეტაპამდე, როდესაც იქმნება ერთიანი მონაცემთა ბაზა ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლებისათვის (ჰორიზონტალური ინტეგრაცია).

Layne-ისა და Lee–ის (2001) ნააზრევს ეხმიანება და შინაარსობრივად იგივეობრივია Watson–ისა და Mundy–ის (2001) კლასიფიკაცია. აღნიშნულ კლასიფიკაციაში ელექტრონული მმართველობის ფარგლებში ინიციატივის, დანერგვისა და დაკავშირების ფაზები გამოიყოფა[1]. ამასთან, ელექტრონული მმართველობა სხვადასხვა მიზნისათვის შეიძლება გამოიყენებოდეს და საზოგადოების განსხვავებულ სექტორებზე კონცენტრირდებოდეს. ასევე, ელექტრონული ხელისუფლების ფორმებს განასხვავებენ.

---

[1] ინიციატივის ფაზაში ყურადღება კონცენტრირებულია მოქალაქეების ინფორმირებაზე და ამისათვის, ძირითადად, იქმნება ვებ–პორტალები. დანერგვის ეტაპზე ხელისუფლება სრულიად გადადის ელექტრონული მმართველობის პრინციპზე, მათ შორის, ინერგება ონლაინ გადახდა. დაკავშირების ფაზა გულისხმობს საჯარო სექტორსა და მოქალაქეებს შორის პირდაპირ კომუნიკაციას, ამისათვის თითოეულ მოქალაქეს გააჩნია საკუთარი ელექტრონული პორტალი.

შესაბამისად, გამოიყოფა ელექტრონული კომუნიკაციის შემდეგი სახეები: ელექტრონული მთავრობა – მოსახლეობისთვის (G2C), ელექტრონული მთავრობა – ბიზნესისთვის (G2B) და ელექტრონული მთავრობა – მთავრობისათვის (G2G)[2] (Gartner, 2010).

ელექტრონული მმართველობა მხოლოდ კომუნიკაციის ტიპს არ ცვლის – იგი აქტორების ცვლილებასაც საჭიროებს, ერთი მხრივ – საჯარო მოხელეების, მეორე მხრივ კი – მოქალაქეების. ორივე მხარეს ესაჭიროება შესაბამისი უნარები იმისათვის, რომ შეძლონ ელექტრონული სისტემების გამოყენება, საზოგადოებრივი სერვისების გასაცემად თუ მისაღებად.

საჯარო სექტორში ტექნოლოგიების დანერგვამ ბიუროკრატიის სახე შეცვალა – ტრადიციულიდან ელექტრონულ ბიუროკრატიამდე. ბიუროკრატიულ აპარატში ელექტრონული სერვისების პოპულარობას ხელი ელექტრონული მმართველობის განვითარებამ შეუწყო. ტექნოლოგიების გამოყენებით საჯარო სექტორი ცდილობს მოქალაქეებს მარტივად და სწრაფად მიაწოდოს საზოგადოებრივი სიკეთეები. შესაბამისად, ჩნდება ვარაუდი, რომ საჯარო ადმინისტრირებაში ელექტრონული სისტემების დანერგვა, ელექტრონული მმართველობის სახით, ბიუროკრატიული აპარატის მუშაობას უფრო მოქნილს ხდის და ამავდროულად, მოსახლეობისათვის ბიუროკრატიულ ბარიერებს ამცირებს.

თავდაპირველად, ბიუროკრატია გამოყენებული იყო საჯარო ადმინისტრაციული პროცესების ეფექტურობის გაზრდისათვის, ანუ გამოიყენებოდა პოზიტიური მნიშვნელობით, როგორც ამას მაქს ვებერი (1992) აღნიშნავს. ბიუროკრატია ხელისშემწყობი ფაქტორი იყო საჯარო სექტორის უკეთ მუშაობისათვის, თანამედროვე პერიოდში კი, შეხედულებები ბიუროკრატიის ეფექტურობაზე გარკვეულწილად შეიცვალა. დღესდღეობით ძირითადად ბიუროკრატიის უარყოფით მხარეებს აკრიტიკებენ, რომლებიც ანელებენ ან აბრკოლებენ საჯარო სიკეთეების მოსახლეობისათვის სწრაფად და მარტივად მიწოდებას.

ტრადიციული ბიუროკრატიის ძირითადი ნაკლი იყო ის, რომ აკლდა ეფექტურობა და რაციონალურობა თავისი ფუნქციების შესრულებისას. იგი ხასიათდებოდა მენეჯერული ერთიანობითა და წინასწარმეტყველებადი რუტინითა და პროცესებით. სისტემის სტაბილურობა უფრო მნიშვნელოვან ფაქტორად აღიქმებოდა, ვიდრე ცვლილებები პერსონალურ სტრუქტურაში, რაც იმას ნიშნავდა, რომ სტრუქტურა ფუნქციონირებდა იმისგან დამოუკიდებლად, თუ ვინ იკავებდა თანამდებობას (Weber, 1992). საჯარო ადმინისტრირების პროცესის მოდერნიზებამ ტრადიციული სისტემა ახალ საჯარო მენეჯმენტად გარდაქმნა. ახალი საჯარო მენეჯმენტის პრინციპების დამკვიდრებასთან ერთად, გაჩნდა იდეა, რომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT) შეიძლება ქცეულიყო იმ მექანიზმად, რომელიც გაზრდიდა ბიუროკრატიული აპარატის ეფექტურობას (Hughes, 2001).

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, განსაკუთრებით კი ინტერნეტი, გაიგება, როგორც ბიუროკრატიის განახლების მექანიზმი. ყოველივე ეს იწვევს ტრადიციული ბიუროკრატიული აპარატის, რომელიც სტანდარტიზაციაზე, ორგანიზაციულ დაყოფასა და ოპერაციონალურ ღირებულებებზე აქცენტირდებოდა, ტრანსფორმაციას ბიუროკრატიამდე, რომელიც ელექტრონული მმართველობის პარადიგმაში ხაზს უსვამს ქსელური მართვის პრინციპზე, საგარეო თანამშრომლობასა და მომხმარებელზე ორიენტაციაზე (Tat-Kei Ho, 2002). საჯარო ადმინისტრირების პროცესში, თუკი ქუჩის დონის ბიუროკრატია (Street level bureaucracy) იყო პასუხისმგებელი მოსახლეობასთან ურთერთობასა და პოლიტიკური კურსის განხორციელებაზე, ელექტრონული პრინციპით ადმინისტრირების შემთხვევაში

---

[2] ელექტრონული მთავრობა – მოსახლეობისათვის (G2C) ხელისუფლება მოქალაქეებს სთავაზობს სხვადასხვა სერვისს და სარგებელს იღებს ორივე მხარე. ელექტრონული მთავრობა – ბიზნესისათვის (G2B) მოდელში კერძო ბიზნეს–კომპანიები საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს იყენებენ საჯარო სექტორთან კომუნიკაციისათვის. ელექტრონული მთავრობა – მთავრობისათვის (G2G) შემთხვევაში ტექნოლოგიები გამოიყენება სახელისუფლებლო შტოებსა და დაწესებულებებს შორის კომუნიკაციისათვის.

ჩნდება ახალი, ე.წ. ეკრანის დონის ბიუროკრატია (Screen-level bureaucracy) (Snellen, 2004). ამ პროცესების კვალდაკვალ ხდება ბიუროკრატიის "ინფოკრატიად" გარდაქმნა (Zuurmond, 1998).

ანტონიო კორდელას (2007) თანახმად, დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემებში ბიუროკრატიულ აპარატს ეკისრება სახელმწიფოსა და თითოეული მოქალაქის დაკავშირების ფუნქცია. მათი ტრადიციული როლი პროცედურული და ნორმატიული წესების მიყოლაა, თუმცა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ბიუროკრატიას გარდაქმნის არა მხოლოდ კომერციული ორგანიზაციების მსგავს გაერთიანებებად, არამედ ეხმარება საჯარო ადმინისტრაციას ეფექტურ ფუნქციონირებაში; ტექნოლოგიების დანერგვა საჯარო ადმინისტრირებაში უზრუნველყოფს ადმინისტრაციის ფუნქციონირების ეფექტურობას, მისი ფუნდამენტური ლოგიკის ცვლილების გარეშე (Cordella, e-Government: towards the e-bureaucratic form?, 2007).

ქსელური ადმინისტრაცია [3] გამოირჩევა რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებლით, მათ შორისაა: საინფორმაციო სისტემებისა და მენეჯერული პროცესების ურთიერთკავშირი, მათი უნარი, იმუშაონ ერთად, როგორც ერთი ადმინისტრაციის ფარგლებში, ისე, სხვადასხვა ადმინისტრაციის შემადგენლობაში ყოფნის შემთხვევაში; მოქნილი მენეჯერული მეთოდების დანერგვა; მოქალაქეებზე ორიენტაცია და თანამშრომლობითი ხელისუფლება, რაც გულისხმობს მეტ კოოპერაციას საჯარო და კერძო სექტორს შორის.

ივარაუდება, რომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ზოგადად, ელექტრონული მმართველობა გაზრდის ბიუროკრატიის ეფექტურობას, რადგან ის საშუალებას აძლევს მენეჯმენტს დეცენტრალიზდეს სხვადასხვა სააგენტოზე, რომლებიც ნაკლებად იერარქიულები და უფრო მოქნილები არიან. ეს კი, თავის მხრივ, გამოიწვევს გაზიარებული საინფორმაციო სისტემის შექმნას, რაც შეამცირებს ხარჯებს, გაამარტივებს ადმინისტრაციულ პროცესებს და ხელისუფლების ქმედებების გამჭვირვალობის საშუალებით მეტად გააფართოვებს მონაწილეობის შესაძლებლობებს (Bhatnagar, 2003).

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბიუროკრატიაზე გავლენას გამადიდებელი ეფექტის მქონედ მოიხსენიებდნენ (Willcocks & Mason, 1987), რადგან ტექნოლოგიები ხელს უწყობს სტატუს–ქუოს შენარჩუნებას, იგულისხმება ის ძირითადი ღირებულებები, რაც მართავს პოლიტიკურ სისტემას. მათი როლი, ამ შემთხვევაში, ამ ღირებულებებისა და დანერგილი პროცედურების ეფექტურობის გაზრდაშია.

ელექტრონული ხელისუფლება ტექნოლოგიების საშუალებით ახალ შესაძლებლობებს აჩენს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ უგულებელყოფილია ბიუროკრატიული ორგანიზაცია, როგორც მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობს ისეთი დემოკრატიული ღირებულებების გავრცელებას, როგორებიცაა მიუკერძოებლობა და მოქალაქეთა თანასწორობა. პირიქით, ბიუროკრატიული აპარატი არის ორგანიზების ერთადერთი ფორმა, რომელიც მოწოდებულია საჯარო სერვისის მისაწოდებლად (Willcocks & Mason, 1987). იმ შემთხვევებში, როდესაც საზოგადოებრივი სიკეთეების მიწოდებისას შეინიშნება ბიუროკრატიის კრახი, ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ბიუროკრატიული აპარატი ვერ აკონტროლებს მიმდინარე საინფორმაციო და თანამშრომლობით პროცესებს, რაც დღესდღეობით გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. ეს პრობლემა გვარდება მოქალაქესა და ხელისუფლებას შორის მეტი ინტერაქციის საშუალებით, რასაც

---

[3] ქსელური ადმინისტრაცია წარმოდგება ტერმინიდან "ქსელი" (network), რომელიც კასტელსის მიერ იქნა შემუშავებული (1996, 2001) და აღნიშნავს, რომ ორგანიზების ამ ფორმამ გასცა ეფექტური პასუხი იმ პრობლემებს, რომლებიც გაჩნდა 1970–იანი წლების კაპიტალიზმის შედეგად. ეს ფორმა თავდაპირველად ბიზნესის სექტორში განვითარდა. ამ პერიოდისათვის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიურმა მიღწევებმა ბიზნესს მისცა საშუალება დაეძლია კრიზისები ეკონომიკური მენეჯმენტისა და კაპიტალის გლობალიზაციის საშუალებით. ძირითადად, ქსელური ადმინისტრაცია მოიცავდა პროექტების დაგეგმვას შეზღუდულ დროში, შიდა დეცენტრალიზაციასა და საგარეო თანამშრომლობას.

ელექტრონული ხელისუფლების მოდელი უზრუნველყოფს (Willcocks & Mason, 1987).

მართლაც, ტექნოლოგიების დანერგვა მხარს უჭერს ბიუროკრატიას უკეთეს და მოქნილ ფუნქციონირებაში. იტალიაში, ვენეციის მუნიციპალიტეტის მაგალითზე, კორდელა და ტემპინი (2015) განიხილავენ ელექტრონული მმართველობის როლს ბიუროკრატიის ფუნქციონირების ჭრილში. ამ შემთხვევაში, ელექტრონული მმართველობა წარმოდგება, როგორც ბიუროკრატიის ფუნქციონირების მხარდამჭერი და არა ბიუროკრატიული აპარატის გამომრიცხავი ან შემამცირებელი ფაქტორი.

კორდელა და ტემპინი (2015) იყენებენ ტერმინს "ელექტრონული ბიუროკრატია". მათი კვლევის თანახმად, ელექტრონული მმართველობის პირობებში უნდა შენარჩუნდეს და დაიხვეწოს ბიუროკრატიული აპარატი. შესაბამისად, ელექტრონული მმართველობა არ გულისხმობს ბიუროკრატიის სრულ გაქრობას. ფუნქციონალური გამარტივება, ელექტრონული ბიუროკრატიის შემთხვევაში, ერთ–ერთ მთავარ საკითხად იქცევა (Cordella & Tempini, 2015). სწორედ ტექნოლოგიები ეხმარება ბიუროკრატიას ფუნქციონალურ გამარტივებასა და სამუშაოს შემსუბუქებაში.

ელექტრონული ბიუროკრატია, იმის მაგივრად, რომ მყარად იყოს მიბმული რუტინასა და დაწესებულ ნორმებზე, ემსახურება მოქალაქეებს უპიროვნობის, სამართლიანობისა და თანასწორობის საფუძველზე (Willcocks & Mason, 1987). ამ ღირებულებათა დაცვა ტრადიციულ ბიუროკრატიაში პრობლემას წარმოადგენს, რადგან მოქალაქე პირადად ურთიერთობს მოხელესთან და უპიროვნობის ფაქტორი გამორიცხულია. ამ მხრივ, ელექტრონული მმართველობა ცვლის არა მხოლოდ ბიუროკრატიის ხასიათს, არამედ მიწოდებული საჯარო სერვისის სახესაც. შედეგად, მცირდება ბიუროკრატიული ბარიერები და ბიუროკრატიული აპარატი უფრო კომერციული ტიპის ორგანიზაციის მსგავს მართვის პრინციპებზე გადადის, ელექტრონული მმართველობის დანერგვისას კი, ელექტრონული ბიუროკრატია მის ერთ–ერთ მახასიათებლად იქცევა (Willcocks & Mason, 1987).

ელექტრონული მმართველობის დადებითი მხარეები აშკარაა, თუმცა მისი დანერგვა უმეტესად პოლიტიკოსთა ნებაზეა დამოკიდებული. ელექტრონული მმართველობა ამცირებს საჯარო სექტორის ხარჯებს, ამიტომ, წესით, სხვადასხვა მომსახურების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა სახელმწიფოს ინტერესშია (ნაფეტვარიძე, 2014, გვ.55).

მართალია, ელექტრონული მმართველობა ბიუროკრატიის რეფორმირების ერთ–ერთ მექანიზმად აღიქმება, მეორეს მხრივ, ელექტრონული მმართველობის კრახი შეიძლება სწორედ ბიუროკრატიამაც გამოიწვიოს. ამიტომ, ითვლება, რომ ელექტრონული მმართველობის ფარგლებში ინიციატივების წარმატებისათვის აუცილებელია ბიუროკრატიული აპარატის შესაბამისი მოდერნიზაცია (Welp, Urgell, & Aibar, 2007).

კატალონიის ხელისუფლების მაგალითზე შესწავლილია, როგორ ხდება ვებერისეული ტრადიციული ბიუროკრატიიდან ორგანიზების ქსელურ მოდელზე გადასვლა. სწორედ ქსელური მოდელი ანაცვლებს იერარქიულ საჯარო სექტორს, საჯარო სექტორიც მეტად არის ჩართული საზოგადოებრივი სიკეთეების უზრუნველყოფაში და მეტი ხაზგასმა ხდება მოქალაქეზე, როგორც სერვისის მომხმარებელზე (Welp, Urgell, & Aibar, 2007).

აშკარაა, რომ საკმარისი არ არის მიმდინარე სერვისების ელექტრონულ პრინციპზე გადაწყობა. ეს სერვისები ასევე უნდა მოდერნიზდეს მომხმარებელთა საჭიროებებისა და ორგანიზაციის მიზნების შესაბამისად (Herman, 2004). მოდერნიზაცია და მმართველობის ქსელურ პრინციპზე გადასვლის ხარისხი კი ხელისუფლების პოლიტიკურ ნებასა და საზოგადოებრივ საჭიროებებზეა დამოკიდებული.

განხილული თეორიების შესაბამისად, ჩნდება ვარაუდი, რომ ელექტრონული მმართველობის დანერგვის შემდეგ ბიუროკრატიის ფუნქციონირება უფრო ეფექტური ხდება, რაც შემდეგი ინდიკატორების საშუალებით შეიძლება გაიზომოს: ინფორმაციის გაცვლა მოქალაქეებთან, საჯარო სექტორის კოოპერაცია შიდა და გარე სტრუქტურებთან, კერძო სექტორთან პარტნიორობა, მოგება დროსა და თანხებში.

ზემოაღნიშნული ინდიკატორების გაზომვა შესაძლებელია საჯარო სექტორისა და მოქალაქეების დამოკიდებულებების შესწავლის საშუალებით. რამდენად განიცადა ზემოაღნიშნული ცვლილებები ბიუროკრატიამ და რამდენად მიიღო მოსახლეობამ შესაბამისი სარგებელი.

საქართველოშიც, ელექტრონული მმართველობა მოსახლეობისათვის არაერთი სერვისის შეთავაზებას გულისხმობს, შედეგად კი, მოქალაქე სასურველ ოპერაციას სახლიდან გაუსვლელად ასრულებს. დღესდღეობით ეფექტური საჯარო სექტორი იყენებს ელექტრონულ სისტემებს როგორც შიდა, ისე გარე აქტორებთან კოორდინაციისათვის, მათ შორის კი, საზოგადოებრივი სერვისის მიწოდებისას.

საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი პერიოდია 2011 წელი, როდესაც საქართველო შეუერთდა "ღია მმართველობის პარტნიორობის" (OGP) პროგრამას, რომელიც ნებაყოფლობითი საერთაშორისო ინიციტივაა ტექნოლოგიების გამოყენებით ხელისუფლების ეფექტურობის გასაზრდელად. 2013 წელს საქართველომ მიიღო განკარგულება, რომლის თანახმადაც განისაზღვრა OGP–ის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულებაში მონაწილე უწყებები, მათ შორის, იუსტიციის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (გოგიძე, 2016).

ელექტრონული საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014–2018 (2013) ხაზს უსვამს ელექტრონული სისტემების განვითარებისათვის გადასადგმელ შემდგომ ნაბიჯებს. მთავარი აქცენტი კეთდება იმაზე, რომ ელექტრონული მმართველობის დანერგვის შედეგად საქართველოში საჯარო სექტორი გახდება უფრო ეფექტური და ეფექტიანი და მოქალაქეებს ინტეგრირებულ, დაცულ და მაღალი ხარისხის ელექტრონულ სერვისებს შესთავაზებს (Krabina, Liu, Meyerhoff-Nielsen, Millard, Reichstädter, & Wimmer, 2013). სტრატეგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარებისათვის მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს.

საქართველომ საჯარო სექტორში ელექტრონული სისტემების დანერგვის მიმართულებით საკმაოდ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. 2012 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონკურსში, საჯარო სექტორში კორუფციის პრევენციასა და დამარცხების კატეგორიაში, აღმოსავლეთი აზიის რეგიონში, მეორე ადგილზე გავიდა ელექტრონული შესყიდვების პროგრამა, რომელიც დანერგა საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ. ამავე წელს, საჯარო სერვისის მიწოდების გაუმჯობესების კატეგორიაში, აღმოსავლეთი აზიის რეგიონში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ შექმნილმა იუსტიციის სახლის (Public Service Hall) პროგრამამ მეორე ადგილი დაიკავა (United Nations, 2012).

გარდა ამისა, გაეროს ამავე კონკურსში 2013 წელს, საჯარო სექტორში კორუფციის პრევენციისა და დამარცხების კატეგორიაში, აღმოსავლეთი აზიის რეგიონში, მეორე ადგილი დაიკავა საქართველოს საჯარო სამსახურის ბიურომ ქონებრივი დეკლარაციების ელექტრონული სისტემის (OADS) შექმნის ინიციატივით (United Nations, 2013).

წინსვლასთან ერთად, საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარება გარკვეული ხარვეზებით ხასიათდება. უპირველეს ყოვლისა, ელექტრონული მმართველობის დანერგვა არ მომხდარა ქვემოდან–ზემოთ პრინციპით, რაც მოქალაქეთა სურვილის მიხედვით საჯარო სექტორში ელექტრონული სისტემების ინტეგრაციას გულისხმობს (ნაფეტვარიძე, 2014). გარდა ამისა, ყოველ ას კაცზე ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობით საქართველოს მაჩვენებელი (48.9) თითქმის ორჯერ ჩამორჩენა ესტონეთის ანალოგიურ მაჩვენებელს (84.2), სადაც ელექტრონული სისტემები მაღალ დონეზეა განვითარებული (World Bank, 2014).

ასევე, ერთ–ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა მოქალაქეთა ინფორმირებულობა. როგორც "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტში" აცხადებენ, მათ მიერ ჩატარებულ

ტრენინგებსა და სემინარებზე დამსწრე საზოგადოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ არ იცის ელექტრონული სერვისების უმეტესობის არსებობის შესახებ. აღმოჩნდა, რომ მოქალაქეთა დიდმა ნაწილმა ისიც კი არ იცის, რომ საჯარო ინფორმაცია პროაქტიულად ქვეყნდება და გამოუქვეყნებელი ინფორმაციის მოთხოვნა ელექტრონული საშუალებითაც არის შესაძლებელი.

2010 წლის 4 იანვარს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) სტატუსით შეიქმნა. სააგენტოს მიზნად განისაზღვრა ქვეყანაში ელექტრონული მმართველობისა და ელ–სერვისების დანერგვის კოორდინირება, ისევე, როგორც მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურისა და ელექტრონული უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ელექტრონული პორტალი ფუნქციონირებს "ერთი ფანჯრის პრინციპის" (Georgian Governmental Gateway) შესაბამისად (მონაცემთა გაცვლის სააგენტო, 2012). ეს იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა უწყების მიერ შემოთავაზებული ელექტრონული სერვისი თავმოყრილია ერთ პორტალზე – "ერთ ელექტრონულ ფანჯარაში". www.my.gov.ge –ის ძირითად მიზნებში ნაგულისხმევია, რომ მოქალაქე დისტანციურად, მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან შეძლებს მიიღოს სასურველი საჯარო რესურსი და დაზოგოს დრო და ფინანსური რესურსები. შემოთავაზებული ელექტრონული სერვისები გაერთიანებულია რამდენიმე კატეგორიაში, ესენია: ოჯახი, ჯანმრთელობა, სოციალური მომსახურება, ქონება, ბიზნესი, დავალიანება, ჯარიმები, სხვადასხვა და ონლაინ გადახდები.

მიუხედავად იმ სარგებლისა, რომლის მატარებელიც არის მოქალაქის პორტალი, მისი ხარვეზებიც აშკარაა. უპირველეს ყოვლისა, ელექტრონულ პორტალზე საჯარო უწყებებისთვის ელექტრონული სერვისების რეგისტრაცია სავალდებულო არ არის. შესაბამისად, დღესდღეობით MY.GOV.GE პლატფორმა ყველა საჯარო სერვისს არ აერთიანებს, თუმცა მოლაპარაკებები აქტიურად მიმდინარეობს. გარდა ამისა, მოქალაქის პორტალზე ადგილობრივი თვითმმართველობის სერვისებიც არ არის ინტეგრირებული. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები ქალაქ თბილისის მერიასთან და სხვა მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან. ასევე, მონაცემთა გაცვლის სააგენტო გეგმავს საკანონმდებლო ინიციატივას, რომლის თანახმადაც, საჯარო უწყებებისთვის თავიანთი სერვისების მოქალაქის პორტალზე ინტეგრაცია სავალდებულო გახდება.

საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად მიღებულია, რომ საჯარო სფერო ხდება უფრო მოქნილი, მცირდება დროისა და ფინანსური რესურსების დანახარჯი. მაგალითად, ესტონეთმა შექმნა ელექტრონული მინისტრთა კაბინეტი, რაც ბიუროკრატიას მეტად მოქნილს ხდის – მინისტრებს საშუალება ეძლევათ მინისტრთა კაბინეტის სხდომას მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან დაესწრონ (ნაფეტვარიძე, 2014).

ესტონეთის მაგალითი, ასევე, აჩვენებს, რომ ელექტრონული მმართველობის დანერგვა მკვეთრად ამცირებს ბიუროკრატიულ აპარატსაც. ელექტრონულ სერვისებზე გადასვლა ამცირებს საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. 2000 წლიდან ესტონეთი ნაბეჭდი დოკუმენტაციის წარმოებიდან ელექტრონულ დოკუმენტაციაზე გადავიდა. ფინანსური მოგების გარდა, დროისა და ადამიანური რესურსების დაზოგვაც მოხდა და შედეგად ესტონეთმა წელიწადში 192 ათასი ევრო დაზოგა (ნაფეტვარიძე, ელექტრონული მმართველობის დამკვიდრების საკითხები საქართველოში, 2014). ესტონეთში 2005 წლიდან დიანერგა ელექტრონული არჩევნების სისტემა. ელექტრონული არჩევნების საშუალებით, რომელშიც მოსახლეობის უკვე 30% მონაწილეობს, არჩევნებში მონაწილეობა შესაძლებელია მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან. მაგალითად, ესტონეთში ელექტრონული მმართველობის აკადემიის დამფუძნებელი და მრჩეველი ელექტრონული მმართველობის საკითხებში, ივარ ტალო პირისპირ ინტერვიუში აცხადებს, რომ მან 2005 წელს მიანმიდან, ხოლო 2011 წელს – საქართველოდან მიიღო ესტონეთის არჩევნებში მონაწილეობა.

წარმოდგენილი მაგალითისგან განსხვავებით, საქართველოში ელექტრონული მმართველობის

განვითარების კვალდაკვალ, საჯარო მოხელეთა რაოდენობის ზრდა შეინიშნება. 2012 წელს საქართველოს საჯარო სექტორში დასაქმებული იყო 101 017 მოხელე [4], 2015 წელს კი – 116 562 ადამიანი (ალაფიშვილი, 2015). თუმცა, 2016 წლისათვის დაგეგმილია საჯარო მოხელეთა შემცირება 115 756 ერთეულამდე (საქართველოს კანონი "საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ", 2015). ბიუროკრატიის ზრდა აისახება საბიუჯეტო ხარჯებშიც, რაც ნიშნავს, რომ "ყოველი მე–6 დასაქმებული და ყოველი მე–3 დაქირავებული საჯარო სექტორშია დასაქმებული" (ალაფიშვილი, 2015, p. 2) და მათი შრომის ანაზღაურება, 2016 წლის მონაცემებით, დაახლოებით 1.5 მილიარდ ლარს შეადგენს, რაც მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 15%–ია (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2015). კვლევის (ალაფიშვილი, 2015) მიხედვით, ზემოაღნიშნული ფინანსური მაჩვენებლების შესაბამისად, ქვეყანაში ყველაზე დიდი დამსაქმებელი საჯარო სექტორია, ეკონომიკური თვალსაზრისით კი, ეს განვითარებაზე ორიენტაციას არ მიანიშნებს, რადგან ფინანსური კუთხით, საჯარო სექტორი მომხმარებლის როლში გამოდის. სტატიაში ხაზგასმულია, რომ ბიუროკრატიული აპარატის ზრდა იწვევს ხარჯების ზრდას, აღნიშნული ხარჯები კი მოსახლეობას გადასახადების სახით ტვირთად აწვება (ალაფიშვილი, 2015).

სიღრმისეული ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ საჯარო მოხელეებს, როგორც მონაცემთა გაცვლის სააგენტოში, ისე სხვა უწყებებში, სჭირდებათ და ყოველდღიურადაც იყენებენ ელექტრონულ სისტემებს. MY.GOV.GE–ზე საუბრისას სააგენტოში აღნიშნავენ, რომ პორტალზე იტენგრირებული სერვისები ძირითადად საინფორმაციო ხასიათისაა, ყოველდღიურად გამოყენებადი სერვისები კი ნაკლებად არის ინტეგრირებული. ასეთი ვითარების ერთ–ერთ უმთავრეს მიზეზად კი ინტეგრირების არასავალდებულო ხასიათს მიიჩნევენ. როგორც მონაცემთა გაცვლის სააგენტოში განმარტავენ, მოქალაქის პორტალი მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით შეიქმნა. რაც შეეხება კოოპერაციას, შექმნის პროცესში სხვადასხვა საჯარო უწყებებთან მიმდინარეობდა თანამშრომლობა. ესენია: საქართველოს იუტიციის სამინისტრო, საჯარო რეესტრი, შემოსავლების სამსახური, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და შინაგან საქმეთა სამინისტრო. ეს თანამშრომლობა დღემდე გრძელდება და ხსენებულ სტრუქტურებს დაემატა აღსრულების ეროვნული ბიუროც. დღესდღეობით, სამომავლო კოოპერაციისათვის მოლაპარაკებები მიმდინარეობს მუნიციპალიტეტებთან.

კერძო–საჯარო პარტნიორობის კუთხით MY.GOV.GE წარმატებულ მაგალითად ვერ ჩაითვლება, რადგან ის მხოლოდ სახელისუფლებო ინიციატივით შეიქმნა და ხარჯებიც მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიფარა. თუმცა, მოქალაქის პორტალი არაერთ კერძო სერვისსაც აერთიანებს და ამ დროისათვის ინტენსიურია კერძო კომპანიებთან კავშირი. მაგალითად, ელ–პორტალის საშუალებით მოქალაქეს შეუძლია Liberty Bank–ის Payment Gateway სისტემით ისარგებლოს და სახლიდან გაუსვლელად, მოქალაქის პორტალის გამოყენებით, დაფაროს გადასახადები. MY.GOV.GE–ის მაგალითზე, ელექტრონული მმართველობის შედეგად მოტანილ სარგებელზე საუბრისას, მონაცემთა გაცვლის სააგენტოში, ძირითადად, დროში მოგებაზე კეთდება აქცენტი. მოქალაქის პორტალის საშუალებით მომხმარებელი სახლიდან გაუსვლელად იღებს სასურველ მომსახურებას და ამავდროულად, არ უწევს სერვისების ძებნა სხვადასხვა საჯარო უწყების ელექტრონულ გვერდზე. ასევე, აღინიშნა ბიზნესისათვის მოსალოდნელი სარგებელი, რადგან ბიზნესის ელექტრონული რეგისტრაცია ამარტივებს ფინანსურ მოგებაზე ორიენტირებული საქმის წამოწყებას.

მონაცემთა გაცვლის სააგენტო ელექტრონული სისტემებისა და მოქალაქის პორტალის თანმდევ

---

[4] მუნიციპალიტეტების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, საჯარო/სახელმწიფო საწარმოებისა და საჯარო/სახელმწიფო არასამეწარმეო იურიდიული პირების თანამშრომელთა გარეშე

ფინანსურ მოგებაზე ყურადღებას არ ამახვილებს. უწყებაში არც უფიქრიათ შესაძლო ფინანსურ მოგებაზე და არც შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები შეგროვილა. გარდა ამისა, დროში მოგებაზე საუბრისას ძირითადად კერძო სექტორის მიერ შეთავაზებული სერვისები იკვეთება, მაგალითად, ბანკის მიერ იპოთეკური სესხის გაცემა, ხოლო საჯარო სერვისი რამდენად არის დროში მოგებაზე ორიენტირებული, ამ თემაზე საჯარო სექტორის წარმომადგენელი ცოტას საუბრობს. მის მიერ მოყვანილი არგუმენტები, რომლებიც დროით უპირატესობა უკავშირდება, ძირითადად კერძო სერვისებია, რომელთა ინტეგრაციაც მოქალაქის პორტალმა მოახდინა.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოში ბიუროკრატიული აპარატის რაოდენობრივ შემცირებაზე არ საუბრობენ. უწყების პოზიციით, სამომავლოდ საჯარო მოხელეთა რაოდენობა შეიძლება მართლაც შემცირდეს, მეტიც, თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით განხორციელდა, შესაძლოა ბიუროკრატია საერთოდ აღარ იყოს საჭირო და მოქალაქე თავად მოემსახუროს საკუთარ თავს. თუმცა, ამ ეტაპზე პირიქით ხდება. როგორც მონაცემთა გაცვლის სააგენტოში განმარტავენ, ტექნოლოგიების დანერგვამ ახალი ფუნქციები გააჩინა, შესაბამისად, საჯარო სექტორში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტები გახდა საჭირო.

ბიუროკრატიული აპარატის ეფექტურ ფუნქციონირებაზე მეტყველებს მოქალაქეთა ინფორმირების დონე – საჯარო სექტორი რამდენად ცვლის მოქალაქეებთან ინფორმაციას. MY.GOV.GE–ის მომხმარებელთა მცირე რაოდენობა (14 000) აჩენს ეჭვს, რომ მოსახლეობას არ აქვს საკმარისი ინფორმაცია ელექტრონული სერვისების შესახებ. მეორეს მხრივ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოში აცხადებენ, რომ უახლოეს მომავალში პიარ–კამპანია არ იგეგმება. უწყების თანამშრომლის თქმით, ტელევიზიითა და რადიოთი გადიოდა სარეკლამო რგოლები, ავტობუსებზე პლაკატები იყო გამოკრული. სარეკლამო კამპანიის პერიოდში კი, ელ–პორტალზე დარეგისტრირებული ადამიანების რაოდენობა იმატებდა.

საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა 2020-ის მიხედვით, my.gov.ge-ის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების განსახორციელებლად 100 000 ლარის გამოყოფაა გათვალისწინებულ (საქართველოს მთავრობა). თუმცა, მონაცემთა გაცვლის სააგენტოში აცხადებენ, რომ სარეკლამო კამპანია არ არის პრიორიტეტული, რადგან საზოგადოებას სარეკლამო რგოლები ან ბანერები დააინტერესებს. მათთვის, ამ ეტაპზე, უფრო მნიშვნელოვანია ახალი სერვისების დანერგვა და მოქალაქის პროტალზე ადგილობრივი თვითმმართველობების ინტეგრაცია.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოშო სიღრმისეული ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ MY.GOV.GE–ის მაგალითზე, საქართველოში ელექტრონული მმართველობა საჯარო სექტორშივე გარკვეულ სირთულეებს აწყდება. ელექტრონულ სერვისებზე საუბრისას, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თანამშრომელი ყოველთვის ისეთ სერვისებზე აკეთებს აქცენტს, რომლებიც ინფორმირებაზე და არა მოსახლეობის ჩართულობაზეა ორიენტირებული. მაგალითად, MY.GOV.GE–ის ერთ–ერთ მთავარ სასარგებლო შემოთავაზებად საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მექანიზმს მიიჩნევს.

აქვე აღსანიშნავია, რომ ელექტრონული სერვისების მოხმარებისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა. მათ შორის მნიშვნელოვანია ინტერნეტიზაციის ხარისხი, რაზეც ზემოქმედებს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და საზოგადოების ინფორმირებულობის დონე. სხვადასხვა სტატისტიკის თანახმად, დემოკრატიულ და ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ინტერნეტზე წვდომა საკმაოდ მაღალია. მსოფლიო ბანკის მონაცემებით (2015) საქართველოში ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობაა ყოველ ას კაცზე 48.9–ს უდრის.

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (2015) კვლევის თანახმად, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (61%), რომელიც ინტერნეტს ყოველდღიურად იყენებს 18–35 ასაკობრივ ჯგუფში ექცევა, მათი

რიცხვი მცირდება 36–55 ასაკობრივ ჯგუფში (31%) და მინიმუმამდე დადის 56+ ასაკობრივ ჯგუფში (9%). უკანასკნელ ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე დიდი იმ ადამიანების რაოდენობაა (78%), ვინც ინტერნეტს საერთოდ არ იყენებს, ისევე, როგორც მათი რაოდენობა, ვისაც ინფორმაცია არ აქვს ინტერნეტის შესახებ (4%) (კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, 2015).

კვლევის შედეგად გამოკითხულთა 38% საერთოდ არ იყენებს ინტერნეტს, 5%–მა კი საერთოდ არ იცის, რა არის ინტერნეტი (CRRC, 2015). CRRC–ის ოფიციალური მონაცემთა ბაზის მიხედვით (2015), პრობლემას წარმოადგენს არა მხოლოდ ინფრასტრუქტურა, არამედ ისიც, რომ მოსახლეობის მიერ ინტერნეტის გამოყენება გასართობად და პირადი ურთიერთობებისთვის ხდება და არა საზოგადოებრივი სერვისის მისაღებად. აღმოჩნდა, რომ გამოკითხული მოსახლეობის 94% ყველაზე ხშირად გამოყენებად ინტერნეტ–აქტივობად შეტყობინებების გაგზავნას ასახელებს (CRRC, 2015) .

იუსტიციის სახლში მდგარი რიგები, ელექტრონულ პორტალზე დარეგისტრირებული მოქალაქეების სიმცირე მოწმობს, რომ მოქალაქეების საჯარო სექტორის მიერ მიწოდებულ ელექტრონულ სერვისებს აქტიურად არ იყენებენ. მართალია, ყველა საჯარო სერვისი არ არის ელექტრონულად რეგისტრირებული და ჯერჯერობით, არ არსებობს ელექტრონული ხელმოწერის მექანიზმი, არსებული ელ-სერვისების გამოყენების დონე მაინც დაბალია. მაგალითად, იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელი, რომლის ერთ–ერთი ფუნქციაც მოქალაქის პორტალზე მომხმარებელთა რეგისტრაციაა, ინტერვიუირებისას აცხადებს, რომ ამჟამად დარეგისტრირებული მოქალაქეებიდან ბევრი საჯარო სექტორის წარმომადგენელია. მისი თქმით, MY.GOV.GE რაღაც ეტაპზე ყველა საჯარო მოხელისათვის იყო აუცილებელი, ამიტომ მოუწიათ რეგისტრაციის გავლა, რეგისტრაციისადმი მოქალაქეთა ინტერესი კი მინიმალურია.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა 2015 წელს პროექტის „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში“ ფარგლებში გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც წარმოდგენილია www.my.gov.ge -ის საშუალებით მოქალაქის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის სტატისტიკა. გაგზავნილი 52 მოთხოვნიდან მხოლოდ 31-ს გაეცა სათანადო პასუხი. ჯამში, უპასუხოდ დარჩა მოთხოვნათა 40% (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2015).

საქართველოს კერძო სექტორში დასაქმებულები მეტად იყენებენ ელექტრონულ რესურსებს, ვიდრე საჯარო მოხელეები (The World Bank, 2016). აღმოჩნდა, რომ მსხვილ კომპანიებში დასაქმებულთა 40%, საჯარო სამსახურში დასაქმებულთა 30% და კერძო სექტორის დანარჩენი კომპანიების თანამშრომლების 30%–ზე ნაკლები იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს (The World Bank, 2016).

მსოფლიო ბანკის მსოფლიო განვითარების ანგარიშის (2016) თანახმად, საქართველოში განსაკუთრებით პოპულარულია ელექტრონული გადახდების სისტემა. ელექტრონული სისტემების დანერგვამ გადახდის პროცესში გარკვეული სარგებელიც მოიტანა – გადასახადების დარეგისტრირებისა და ელექტრონული გადახდის დანერგვამ საგადასახადო შემოწმების ალბათობა 15%–ით შეამცირა (The World Bank, 2016).

თუმცა ზემოაღნიშნული პოზიტიური ძვრები საკმარისი არ არის. კვლევები ცხადყოფს, რომ საჯარო სექტორის მიერ შეთავაზებული ელექტრონული სერვისების მოხმარების დონე საკმაოდ დაბალია (ნაფეტვარიძე, 2014). მოსახლეობა სათანადო ინტენსივობით არ იყენებს სახელმწიფო ვებ–გვერდებზე შემოთავაზებულ სერვისებს და ხშირად ინტერესი, ისევე, როგორც ინფორმირებულობის ხარისხიც დაბალია იმის შესახებ, თუ რას სთავაზობს მოქალაქეს კონკრეტული საჯარო სტრუქტურა (ნაფეტვარიძე, 2014). როგორც იუსტიციის სახლის თანამშრომელი აღნიშნავს, უწყებაში ხშირად მიდიან მოქალაქეები ისეთი მომსახურების მისაღებად, რაც ელექტრონული სახითაც არსებობს და სახლიდან გაუსვლელად შეუძლიათ მისი მიღება, ერთ–ერთ ასეთ სერვისად კი მშენებლობის ლიცენზიის მიღება სახელდება.
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ანალიტიკოსი სიღრმისეული ინტერვიუსას

აღნისნავს, რომ ელექტრონული სერვისების გამოუყენებლობის ერთ–ერთი მთავარი მზეზი არაინფორმირებულობაა. ელექტრონული მმართველობის შესახებ ჩატარებულ ტრენინგებზე პირადი დაკვირვების შედეგად ასკვნის, რომ 20–დან 15 მონაწილისათვის მოქალაქის პორტალის არსებობა სიახლეა. მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონის გამომწვევ ფაქტორად კი, უმთავრესად, სარეკლამო კამპანიის არ არსებობას ასახელებს.

მოქალაქეთა განწყობების შესაფასებლად სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა ცხრა მოქალაქესთან და ერთი ორგანიზაციის (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი) ანალიტიკოსთან, რომელიც გარე აქტორის პოზიციიდან აფასებს ელექტრონული მმართველობის პირობებში ბიუროკრატიის უფლება–მოვალეობების განხორციელების ეფექტურობას.

მოქალაქეები დაიყო სამ ასაკობრივ კატეგორიად: 18–35; 36–55 და 56+. მიზნობრივი შერჩევის საშუალებით, კვლევის პროცესში აქცენტი კეთდებოდა სხვადასხვა პროფესიების წარმომადგენლებზე. გამოკითხული ადამიანებიდან ორი სტუდენტი (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი), ერთი დიასახლისი, ორი პენსიონერი, ერთი საჯარო მოხელე (სამინისტროს თანამშრომელი), იურისტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომელი იყო. კვლევისას უმეტესად დაცული იყო გენდერული ბალანსიც. რესპონდენტების 45% მამრობითი სქესის წარმომადგენელი, 55 პროცენტი კი – მდედრობითი სქესის წარმომადგენელი იყო.

გამოკითხული მოქალაქეების 80% საჯარო სერვისის მისაღებად ელექტრონულ სერვისს იყენებს, თუმცა, ანალოგიური სერვისის მისაღებად ელექტრონული სერვისის ანალოგიც გამოუყენებია. მაგალითად, ერთ–ერთი რესპონდენტის თქმით, იმის გამო, რომ ინფორმაციის მომზადება საგადასადახო გირავნობის/იპოთეკის უფლების არსებობის შესახებ ათიდან ოცდაათ ლარამდე ჯდება (დამოკიდებულია იმაზე, თუ დოკუმენტს რამდენად სწრაფად მიიღებს მოქალაქე), მას შეეშინდა შეცდომის დაშვების და შესაბამისად, ფინანსური ზარალის. ამიტომ, მან უარი თქვა ელექტრონულ სერვისზე და არჩია საჯარო უწყებაში, პროფესიონალის დახმარებით მიეღო სასურველი დოკუმენტი.

MY.GOV.GE–ის შესახებ ინფორმაცია რესპონდენტთა 60%–ს ჰქონდა, თუმცა ისინი არ არიან ელექტრონული პორტალის ინტენსიური მომხმარებლები. როგორც აღმოჩნდა, მოქალაქის პორტალზე მათი რეგისტრაცია კონკრეტული სერვისის მიღებასთან იყო დაკავშირებული, მას მერე კი, მოქალაქის პორტალით აღარ უსარგებლიათ. მაგალითისათვის, ერთ–ერთი რესპონდენტი MY.GOV.GE–ზე ორი წლის წინ დარეგისტრირდა კერძო ბიზნესის რეგისტრაციისათვის, თუმცა, მას მერე პორტალი აღარ გამოუყენებია.

გამოკითხულთა 100% აღნიშნავს, რომ ელექტრონული სერვისების მიერ მიღებული სარგებელი აღემატება საჯარო უწყებაში, ადგილზე შესრულებული მომსახურების სარგებელს. ყველა მათგანი გამოყოფს დროსთან დაკავშირებულ სარგებელს – ელექტრონული სერვისის საშუალებით, მოქალაქეს შეუძლია სახლიდან გაუსვლელად მიიღოს კონკრეტული მომსახურება და დაზოგოს დრო. მოქალაქეთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ გადატვირთული გრაფიკის გამო პრობლემურია კონკრეტულ საჯარო უწყებებში სიარული, ამიტომ ურჩევნიათ დისტანციურად დაიკმაყოფილონ საჭიროებები. აღსანიშნავია, რომ ამ პოზიციას გამოხატავენ პენსიონირებიც, რომლებმაც ნაკლებად იციან ელექტრონული სისტემების გამოყენება, თუმცა რიგში დგომას ამჯობინებენ შვილიშვილს ან ახლობელს სთხოვონ დახმარება და ელექტრონულად მიიღონ საჭირო მომსახურება.

რიგში დგომის პრობლემურობაზე აქცენტს თითქმის ყველა რესპონდენტი სვამს და მათთვის, ელექტრონული მმართველობის პირობებში ბიუროკრატიული აპარატის ფუნქციონირების ერთ–ერთი ძირითადი მახასიათებელი მოქალაქეთა ენერგიის დაზოგვაა. ენერგიასთან ერთად, მათი აზრით, ფინანსური რესურსებიც იზოგება. თანხების დაზოგვით მიღებულ სარგებელზე აქცენტს განსაკუთრებით

პენსიონერები და სტუდენტები აკეთებენ, რომელთა აზრითაც, მინიმუმ გადაადგილებისათვის საჭირო ფინანსური რესურსები დაიზოგება.

დროითი და ფინანსური რესურსების დაზოგვაზე ყურადღებას ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ანალიტიკოსიც ამახვილებს. მისი აზრით, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისას მოქალაქე ზოგავს დროს, რადგან აღარ უწევს საჯარო უწყებაში სიარული მოთხოვნილი ინფორმაციის მისაღებად. ამავდროულად, ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ელექტრონულ ფორმატში, რაც მატერიალური დოკუმენტაციის შექმნასა და მის მიწოდებაზე დახარჯულ ფინანსურ რესურსებს ამცირებს.
თანხების დაზოგვაზე საუბრისას, მოქალაქეებიდან არც ერთი აკეთებს აქცენტს ბიუჯეტის დანაზოგზე, რაც შესაძლებელი გახდება ელექტრონული მმართველობის პირობებში ბიუროკრატიული აპარატის შემცირების გამო. შედეგად, ბიუჯეტიდან ნაკლები თანხები მიიმართება საჯარო მოხელეთა მიერ გაწეული სამუშაოს ასანაზღაურებლად. ამავდროულად, რესპონდენტების 30% თვლის, რომ ბიუროკრატიული აპარატის შემცირება უარყოფითად აისახება ქვეყანაში დასაქმების დონეზე და არჩევს, საჯარო მოხელეთა რაოდენობა უცვლელი დარჩეს.
ინტერვიუირების შემდეგ გამოვლინდა საერთო ტენდენცია, რომ ელექტრონული სისტემების გამოყენებისას მოქალაქეებს სჭირდებათ შესაბამისი ინსტრუქციები, რათა სწორად შეძლონ კონკრეტული სერვისი მოთხოვნა და მიღება. რესპონდენტთა აზრით, განსაკუთრებით პრობლემურია სპეციფიკურ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული სერვისების მოხმარება. მაგალითად, ერთ–ერთი მოქალაქის თქმით, მას სურდა საცხოვრებელი ადგილის შესახებ ცნობა მიეღო. ცნობის მიღება ელექტრონული სახითაც იყო შესაძლებელი, თუმცა წარმოიქმნა ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული პრობლემა. რესპონდენტმა არ იცოდა რას ნიშნავდა სამახსოვრო ბარათი, ამიტომ ვერ გარისკა და იუსტიციის სახლს მიაკითხა. საჯარო უწყებაში პროფესიონალთან კონსულტაციის შემდეგ გაიგო, რომ საცხოვრებელი ადგილის შესახებ ცნობას სწორედ სამახსოვრო ბარათის სახელწოდებით მოიხსენიებენ.

გამოკითხული ადამიანები უპირატესობას ანიჭებენ ელექტრონულ სერვისებს, თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ პროფესიონალთან კონსულტაციისას მცირდება შეცდომის რისკი. ამავდროულად, რესპონდენტების 20% თვლის, რომ ელექტრონული სერვისის პირადად მოხმარება რისკისგან მეტ დაცულობას უზრუნველყოფს. ერთ–ერთი მოქალაქის თქმით, საჭირო დოკუმენტაციის მისაღებად მისულს, თავისი გვარი დოკუმენტებში არასწორად შეყვანილი დახვდა. როგორც ჩანს, საჯარო მოხელემ, რომელიც მას ემსახურებოდა, სათანადოდ ვერ გაიგო მისი გვარი ან არასწორად შეიყვანა სისტემაში. რესპონდენტის თქმით, როდესაც ადამიანი საკუთარ საქმეს აკეთებს, მეტად აკონტროლებს შეცდომის დაშვების რისკებს, ამიტომ ელექტრონული სერვისები, მისთვის, შეცდომებისგან მეტ დაცულობასთან ასოცირდება.
რესპონდენტებს ინტერვიუს ბოლოსკენ ევალებოდათ დაეფიქსირებინათ თავიანთი აზრი, რატომ არ იყენებენ ისინი/ სხვა მოქალაქეები ინტენსიურად საჯარო სექტორის მიერ შეთავაზებულ ელექტრონულ სერვისებს. მოქალაქეთა ასი პროცენტი, ისევე, როგორც ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ანალიტიკოსი, თანხმდება ერთ საკითხზე – ელექტრონული სერვისების გამოუყენებლობას მოქალაქეებში ინფორმაციის ნაკლებობა იწვევს.

მხოლოდ რამდენიმე რესპონდენტი იხსენებს შემთხვევას, როდესაც გადაწყდომია რეკლამას MY.GOV.GE–ისა თუ სხვა ელექტრონული სერვისის შესახებ. ერთი მათგანის თქმით, რეკლამა განთავსებული იყო დასაქმების ვებ–გვერდზე, მეორე კი რადიოში მოსმენილ აუდიო რეკლამას იხსენებს. თუმცა, რესპონდენტთაგან არც ერთს ახსენდება უახლოეს წარსულში ნანახი ან მოსმენილი რეკლამა, პიარ–კამპანია ან მსგავსი საინფორმაციო დანიშნულების ღონისძიება. ამავდროულად, IDFI–ის ანალიტიკოსი სწორედ ინფორმაციის ნაკლებობასა და ხელისუფლების მხრიდან აქტიური პიარ–კამპანიის საჭიროებაზე ამახვილებს ყურადღებას.
რესპონდენტების 70% მეორეხარისხოვან, თუმცა მნიშვნელოვან პრობლემად ასახელებს ელექტრონული

მმართველობისათვის ასაკობრივ ბარიერს. მათი აზრით, უფროსი ასაკის ადამიანები ვერ შეძლებელ ელექტრონული რესურსებით სარგებლობას. მეორეს მხრივ, გამოკითხული პენსიონერები აღნიშნავენ, რომ მათს მწირ საინფორმაციო–ტექნოლოგიურ უნარებს ოჯახის წევრებისა და ახლობლების დახმარებით დააბალანსებენ.

საბოლოო ჯამში, ბიუროკრატიული აპარატის შემცირებაზე ან ასეთი პროცესის საჭიროებაზე არც საჯარო სექტორი ამახვილებს ყურადღებას და არც რესპონდენტები. მონაცემთა გაცვლის სააგენტოს პოზიციით, ელექტრონული მმართველობის დანერგვის ამ ეტაპზე საჯარო მოხელეთა შემცირება ვერ მოხდება, პირიქით, ბიუროკრატიული აპარატის გაზრდაც არის შესაძლებელი, რასაც უკანასკნელი წლების სტატისტიკაც ადასტურებს (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2015). მოქალაქეთა განწყობა ასეთივე ხისტი არ არის, თუმცა რესპონდენტთა აზრითაც, ამ ეტაპზე ბიუროკრატიის შემცირების საჭიროება არ ჩანს, რიგ შემთხვევებში კი, იკვეთება პოზიცია, რომ საჯარო მოხელეთა რაოდენობის კლება შესაძლოა საზიანოც იყოს.

საჯარო სექტორისა და მოქალაქეთა პოზიციები თანხვდება იმ სარგებლის ანალიზისას, რაც ელექტრონული სისტემების დანერგვას მოაქვს. განსაკუთრებით აღსანიშნავია დროისა და ენერგიის დაზოგვა.

როგორც საზოგადოება, ისე საჯარო სექტორი გამოთქვამს სურვილს, MY.GOV.GE-ზე ინტეგრირდეს რაც შეიძლება მეტი სერვისი, რაც გაზრდის მომსახურების ელექტრონულად მიღების შესაძლებლობებს. გარდა ამისა, მოქალაქეები ემხრობიან საჯარო მომსახურების ელექტრონულ ფორმატზე გადასვლას, რადგან მათთვის შესამჩნევია ელექტრონული სერვისების მოხმარების თანმდევი დადებითი ეფექტები.

თუმცა, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ელექტრონული მმართველობის პირობებში მოქალაქეთა ინფორმირების კამპანიები მოიკოჭლებს. ინერგება ელექტრონული სერვისები, თუმცა მათი მომხმარებლების ინფორმირების პროცესი არ არის საკამრისად ინტენსიური.

როგორც ჩანს, ელექტრონული მმართველობის შესაბამისად, ბიუროკრატიის მოქალაქეებთან კოოპერაცია არ გაზრდილა. შესაბამისად, საჯარო მოხელეებმა ნაკლებად იციან მოსახლეობის რეალური საჭიროებების შესახებ. კვლევის შედეგად წარმოჩენილი უმთავრესი პრობლემაც ურთიერთთანამშრომლობის ნაკლებობაზე მიანიშნებს. მოქალაქეები თვლიან, რომ სჭირდებათ აქტიური პიარ–კამპანია იმისათვის, რომ უკეთ გაიგონ, რომელი ელექტრონული სერვისებია დანერგილი და როგორ შეიძლება მათი მოხმარება. თუმცა, საჯარო უწყების აზრით, საინფორმაციო კამპანია ამ ეტაპზე უშედეგო იქნება და ჯერჯერობით, ელექტრონული სერვისების განვითარებაზე კეთდება აქცენტი.

გარდა ამისა, გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ MY.GOV.GE–ისა და სხვა ელექტრონული სერვისების შესახებ, საჭიროებისამებრ ახლობლებისგან მიიღეს ინფორმაცია. მონაცემთა გაცვლის სააგენტოში კი აცხადებენ, რომ მოქალაქის პორტალის პოპულარიზაციისათვის არაერთი საინფორმაციო ღონისძიება მოეწყო. თუმცა, მოქალაქეები ვერ იხსნებენ მსგავს სარეკლამო კამპანიებს და არც რეკლამებიდან მიღებულ ინფორმაციას ახსენებენ. შესაბამისად, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს არ შეუფასებია სარეკლამო კამპანიების ეფექტი და ამავდროულად, საკმარისად თვლის უკვე ჩატარებულ საინფორმაციო ღონისძიებებს.

ერთ–ერთი მთავარი განსხვავება მოქალაქეებისა და ბოუროკრატიის სურვილებშია – ელექტრონული სისტემებისა და ბოუროკრატიული აპარატის ფუნქციონირების გამარტივების კუთხით, რას ისურვებდნენ ისინი სამომავლოდ. საჯარო სექტორი სხვა საჯარო სტრუქტურებთან კოოპერაციასა და მეტი სერვისის ინტეგრირებაზე ამახვილებს ყურადღებას. მოქალაქეების სურვილები კი, ძირითადად, არსებული სისტემების შესახებ ინფორმაციის საყოველთაოდ გავრცელებას და ელექტრონული სერვისების შესახებ ცნობიერების ამაღლებას შეეხება.

სწორედ აქედან გამომდინარეობს მოქალაქის პორტალისა და სხვა ელექტრონული სერვისების ხარვეზების შესახებ განსხვავებული შეხედულებები. მონაცემთა გაცვლის სააგენტოში თვლიან, რომ მთავარი ნაკლი MY.GOV.GE–ზე სერვისების ინტეგრაციის არასავალდებულო ხასიათია. მოქალაქეები კი მთავარ უარყოფით ფაქტორად საჯარო სექტორთან ნაკლებ კომუნიკაციას და შესაბამისად, ინფორმაციის არ არსებობას ასახელებენ, რაც ბიუროკრატიის აარეფექტურობაზე მეტყველებს.

ერთ-ერთ მთავარ პრობლემად წარმოდგება ის, რომ სამთავრობო დაწესებულებები არ აკვირდებიან ვებ-გვერდების მომხმარებელთა რაოდენობას, ხშირ შემთხვევაში ვებ-გერდებზე არ მოიძიება უკუკავშირის საშუალებები - ელექტრონული ფოსტა ან/და ელექტრონული მიწერის ფორმა (მონაცემები ეფუძნება 2013 წელს ჩატარებულ კვლევას და შესაძლებელია, ამ დროისათვის ცვლილებები არსებობდეს). მათი არსებობის შემთხვევაში კი არ მოქმედებს არანაირი მექანიზმი ამ საშუალებების ფუნქციონირების ხარისხის შესაფასებლად და გასაუმჯობესებლად. 24 საჯარო დაწესებულებიდან მხოლოდ 10 საჯარო დაწესებულების ვებგვერდზეა განთავსებული დამატებითი საკომუნიკაციო სერვისები და აპლიკაციები, რომელთა ეფექტურობაც ასევე არ მოწმდება საჯარო დაწესებულებების მიერ (IDFI, 2013).

სწორედ პოლიტიკური კურსის ბოლო ეტაპის, შეფასების სისუსტე აჩენს ბევრ პრობლემას ელექტრონული მმართველობის კუთხით. ინერგება ელექტრონული სერვისები, უმჯობესდება არსებული, მოქალაქის პორტალზე ინტეგრირდება მეტი საჯარო უწყება, თუმცა თუკი არ მოხდა შეფასება, რამდენი მოქალაქე მოიხმარს ამ სერვისებს და რამდენად ხარისხიანია სერვისების მიწოდება, ბიუროკრატიული აპარატის ფუნქციონირება მოქნილი და ეფექტური ვერ გახდება და როგორც მონაცემთა გაცვლის სააგენტოში ადასტურებენ, ეტაპობრივად, საჯარო მოხელეთა რაოდენობის შემცირების ნაცვლად, ეს რაოდენობა, ხარჯებთან ერთად, გაიზრდება.

ბიბლიოგრაფია

Bhatnagar, S. (2003). *E-Government and Access to Information.* United Nations.

Cordella, A. (2007). e-Government: towards the e-bureaucratic form? *Journal of Informational Technology* , 265-274.

Cordella, A., & Tempini, N. (2015). E-government and organizational change: Reappraising the role of ICT and bureaucracy in public service delivery. *Government Information Quarterly* , 279-286.

CRRC. (2015). *Frequency of internet usage.* Caucasus Barometer 2015 Georgia Dataset.

CRRC. (2015). *Most frequent internet activities - Use instant messenger.* CRRC.

Dann, W. N. (2004). *Public Policy Analysis: An Introduction.* New Jersey: Prentice Hall.

Drew, S., & Alshehri, M. (2010). Implementation of e-Government: Advantages and Challenges.

Herman, H. (2004). Red Tape and Administrational Modernization. *Public Administration , XVII*, 721-730.

Hughes, O. (2001). *The Way Ahead for New Public Management.* Clayton: Monash University.

IDFI. (2013). *სამთავრობო დაწესებულებების ელექტრონული კომუნიკაციის სტრატეგია.*

JAN, T., DAHLSTRÖM, C., DAHLBERG, S., HARTMANN, F., LINDBERG, A., & NISTOTSKAYA, M. (2015). *THE QUALITY OF GOVERNMENT EXPERT II SURVEY IN BRIEF.* Gothenburg: University of Gothenburg.

Krabina, B., Liu, P.-W., Meyerhoff-Nielsen, M., Millard, J., Reichstädter, P., & Wimmer, M. A. (2013). *A Digital Georgia: e-Georgia strategy and action plan 2014-2018.* Twinning Programme.

Kraemer, K. L., & King, J. L. (2003). Information Technology and Administrative Reform: Will the Time after e-Government Be Different? *7th European Conference on e-Government.* Hague: Festschrift für Heinrich Reinermann.

Layne, K., & Lee, J. (2001). *Developing Fully Functional e-Government: a Four Stage Model.* Government Information Quarterly.

Macintosh, A. (2004). *Characterizing E-Participation in Policy-Making.* Edinburgh: International Teledemocracy Centre: Napier University.

Pfiffner, J. P. (2004). Traditional Public Administration versus The New Public Management:Accountability versus Efficiency. *Institutionenbildung in Regierung und Verwaltung: Festschrift fur Klaus Konig* , 443-454.

Snellen, I. (2004). The Quest for a Subserviant Public Administration. *New Public Management and the Web.* Ljubljana: CD-Documentation.

Tat-Kei Ho, A. (2002). Reinventing Local Governments and the E–Government Initiative. *Public Administration Review* , 434–444.

The World Bank. (2016). *World Development Report 2016: Digital Dividends.* The World Bank.

United Nations. (2012). *2012 United Nations Public Service Awards Winners.* New York: United Nations.

United Nations. (2013). *2013 United Nations Public Service Awards Winners.* New York: United Nations.

Weber, M. (1992). *Economy and Society.* Buenos Aires: Fondo de Cultura Economica Primera Edicion 1944.

Welp, Y., Urgell, F., & Aibar, E. (2007). From Bureaucratic Administration to Network Administration? An Empirical Study on e-Government Focus on Catalonia. *Public Organization Review , VII*, 299-316.

Willcocks, L., & Mason, D. (1987). *Computerising work: People, Systems Design and Workplace Relations.* London: Paradigm Press.

World Bank. (2014). *Internet Users (per 100 people).* World Bank.

Zuurmond, A. (1998). *From Bureaucracy to Infocracy: Are Democratic Institutions Lagging Behind?* Amsterdam.

ალაფიშვილი, ლ. (2015, დეკემბერი 16). ბიუროკრატიის ზრდა საქართველოში. თბილისი, საქართველო: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი.

გოგიძე, ლ. (2016). *დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM): საქართველოს წინსვლის ანგარიში 2014–2015.* ვაშინგტონი: ღია მმართველობის პარტნიორობა.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. (2015). *საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში.* თბილისი: IDFI.

მონაცემთა გაცვლის სააგენტო. (2012). *მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა (2013–2016).* თბილისი: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

ნაფეტვარიძე, ვ. (2014). *ელექტრონული მმართველობის დამკვიდრების საკითხები საქართველოში.* თბილისი: უნივერსალი.

როსტიაშვილი, ქ. (2014). *ელექტრონული მმართველობა საქართველოში: მსოფლიო ტენდენციები.* თბილისი: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი.

საქართველოს კანონი "საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ". (2015, დეკემბერი 11).

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. (2015). *საქართველოს 2015 წლის ბიუჯეტი.* თბილისი: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.
ტურაშვილი, თ. (2014). *ელექტრონული ჩართულობის სახელმძღვანელო.* თბილისი: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი.